

მაია ახალაძე

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის ექსპერტი**

სარჩელის/გადაწყვეტილების

აღსრულების უზრუნველყოფა

საქართველოს უზენაესი

სასამართლოს პრატიკაში¹

¹ წინამდებარე კვლევაში მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016-2019 წლების განჩინებები სარჩელის/ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხებზე.

სტილისტ-რედაქტორი

სოფიო განულავვილი

ტექნიკური რედაქტორი

გარიპა გაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2020

შინაარსი

1. სარჩელის უზრუნველყოფა	7
1.1 მოთხოვნის უზრუნველყოფა არამატერიალური ქონებით	67
2. საარჩიტრაზო სარჩელის უზრუნველყოფა	71
3. სარჩელის უზრუნველყოფა სარჩელის აღძვრამდე	86
4. გადაცევის დილექტის აღსრულების უზრუნველყოფა	93
5. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მიორით	115
6. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება	131
სამართლებრივი დასკვნა	152

² ტექსტში სსსკ-აღნიშნავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, ხოლო სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსს.

შესავალი

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალნარმოებაში პოვებს გამოხატულებას.³

რამდენად სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება,⁴ როგორ სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ არ აღსრულდება გადაწყვეტილება.⁵

სამოქალაქო სამართალნარმოებაში მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესის და კერძოდილებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) XXIII თავით გათვალისწინებული სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის განხორციელებაა.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს⁶ წარმოადგენს

³ შ.შმიტი, ჰ.რიპტერი „მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3, მითითებულია: ზ. ძლიერიშვილი, „სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა“, სამართლის უზრნალი, თსუ უნივერსიტეტის გამომცემობა, №1, 2018, 5.

⁴ Sierra S., Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right of Effective Court Protection. A Comparative Approach, European Law, Vol. 10, N1, 2004, 42-60, მითითებულია: ზ. ძლიერიშვილი, „სარჩელისუზრუნველყოფითგამოწვეულიზარალის (ზიანის) ანაზღაურებისუზრუნველყოფა“, სამართლისუზრნალი, თსუუნივერსიტეტისგამომცემლობა, №1, 2018, 6.

⁵ Beck'scheKurz-kommentareZivilprozessordingmitGerichtsverfassungsgesetz und anderenNebengesetzen. Begründet von. A. Baumbach, W.Lauterbach, J. Albers, P. Hartmann, 75, Aufl., 2016, Vorb. 704, 2046, მითითებულია: ზ. ძლიერიშვილი, „სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა“, სამართლის უზრნალი, თსუ უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2018, 6.

⁶ Kramer X., Harmonizationof Provisional and Protective Measures in Europe, 1, Publishes in: Storme M.(ed), Procedural Laws in Europe, Towards Harmonization, Maklu: Antwerpen/Apeloorn 2003, ISBN:90-6215-881-1, 305-319, მითითებუ-

გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხისათვის თავისი ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვისა თუ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენების გზით.⁷ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით სასამართლო იცავს მხარეთა ქონებას, კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს.⁸

სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების, თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას,⁹ სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს,¹⁰ რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიებისგარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.¹¹

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებისას მისი აღსრულების უზრუნველყოფა სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებითაა შესაძლებელი, მოსარჩელე, როგორც წესი, ამ ღო-

ლია: ზ.ძლიერიშვილი, „სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა“, სამართლის ჟურნალი, თსუ უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2018, 6.

⁷ თ. ლილუშვილი, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, მე-2 გამოც. თბ.2005, 299.

⁸ Sierra S., Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right of Effective Court Protection, A Comparative Approach, European Law Journal, Vol. 10, N1, January 2004, 42-60, მითითებულია: ზ. ძლიერიშვილი, „სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა“, სამართლის ჟურნალი, თსუ უნივერსიტეტის გამომცემლობა, №1, 2018, 6.

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრატიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლებისათვის, თბ. 2010,157.

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრატიკული რეკომენდაციების 2015 წლის 25 ნოემბრს განჩინებასაქმეზე №ას-1165-1095-2015.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-956-921-2016.

ნისძიების გამოყენებას არა მარტო სარჩელის წარდგენისას ითხოვს, არამედ სარჩელის აღძვრამდეც, ხოლო მოპასუხეს გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მიყენებული ზიანისაგან საპროცესო თავდაცვის მიზნით შეუძლია, ამ ზიანის უზრუნველყოფა მოითხოვოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური დეპარტამენტის ანგარიშზე შესაბამისი თანხის განთავსებით.

გამომდინარე აღნიშნულიდან, დიდ წილად სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოსარჩელისა და უზრუნველყოფის გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების გარანტის შესახებ მოპასუხის შუამდგომლობათა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებს უწევთ, თუმცა, ვინაიდან აღნიშნულ შუამდგომლობათა დაყენება-განხილვა საქმისნარმობის ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია, ამ მხრივ საინტერესო პრაქტიკა დაგროვდა როგორც სა-აპელაციო, ისე – საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია სარჩელის (მათ შორის – საარბიტრაჟო სარჩელის) გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლო ოთხი წლის (2016-2019) პრაქტიკა. განზოგადებაში განჩინებების ფაბულები მოცემულია საპროცესო კოდექსის ნორმათა მიხედვით, დასაწყისში მითითებულია საკასაციო სასამართლოს განჩინების სამართლებრივი შედეგი, შესაბამისად, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები იქნება მოსარჩელის მოთხოვნის საპროცესო უზრუნველყოფის, ამ უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის გარანტიებისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მათთვის საინტერესო საკითხზე უზენაესი სასამართლოსდასკვნები¹² და მოსაზრებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე განზოგადების მიზანია მართლმსაჯულების პროცესის განხორციელების ეფექტურობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა.

¹² ტექსტში საკასაციო პალატა, საკასაციო სასამართლო გულისხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

1. სარჩელის უზრუნველყოფა

(სსსკ-ის 191-ე მუხლი)

- 1.1. მოპასუხეთა საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოსარჩელეთა განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ყადალა და მოპასუხებს აეკრძალათ უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი თანხის დაკისრების მოთხოვნით მოსარჩელეთა მიერ ინდივიდუალურ პინათმენაშენეთა ამხანაგობის წევრთა წინააღმდეგ წარმოებულ დავაში სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებებით მოსარჩელეთა განცხადები დაკმაყოფილდა და, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადალა დაედო მოპასუხეთა კუთვნილ უძრავ ქონებას. სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ განჩინებებზე საჩივრები წარადგინეს მოპასუხებმა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოპასუხეთა საჩივრები არ დაკმაყოფილდა და, საქმე სსსკ-ის 197¹ მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხედ დასახელებული პირები წარმოადგენენ ბმას წევრებს. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სესხი უზრუნველყოფილი არაა სანივთო საშუალებით, ამასთანავე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის კანონიერებაც სააპელაციო წესით იხილება, სარჩელი, როგორც სესხის ძირი თანხის, ისე – სარგებლისა და შემცირებული პირგასამტებლოს ნაწილში საფუძვლიანადაა მიჩნეული. სარჩელის უზრუნველყოფის საფუძვლად მოსარჩელები ძირითადად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ სოლიდარულად ვალდებულ პირთა ნაწილმა, ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით გაასხვისეს ინდივიდუალური საკუთრების საგნები (უძრავი ქონება) და, თუკი ამგვარი ქმედება გაგრძელდება, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, აღარ იარსებებს აღსრულების საგანი. საკასაციო პალატამ ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით სარჩელის საფუძვლიანობის, მისი უზრუნველყოფის შესახებ გან-

ცხადებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად გაიზიარა სა-აპელაციო პალატის დასკვნა, რომ არსებობს მოსარჩელეთა მოთხოვნის უზრუნველყოფის წინაპირობები. საკასაციო სასამართლომ, სსსკ-ის 191-ე მუხლიდან გამომდინარე, დამატებით განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მართლმსაჯულების რეალური განხორციელების ამოცანას ემსახურება და სასამართლოს მიერ ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი სიკეთით კრედიტორის სარგებლობის ხელშეწყობას ემსახურება, რათა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის, მისი ინტერესი, მოვალის არაკეთილსინდისიერების გამო, არ შეიღავოს, ხოლო მართლმსაჯულება ფორმალური არ გახდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს მოსარჩელის ინტერესების დაცვის ქმედით, თუმცა დროებით ზომას, რომელიც ემყარება განხხადებაში მითითებული გარემოებების, ასევე – სარჩელის საფუძვლიანობის ფორმალურ კვლევას, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კუთხით სასამართლოს დასკვნები საქმის არსებითად განხილვისას ჩამოყალიბებული შედეგის მიმართ გავლენას არ ახდენს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უზრუნველყოფის ინსტრუტის გამოყენებისას, პუნქტორივია, შეფასების ობიექტი იმ სამომავლო სიკეთის დაცვაა, რომელიც შედეგად მართლმსაჯულების განხორციელებას უზდა მოჰყვეს, თუმცა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია პროპორცია ამ სიკეთესა და მოპასუხის ინტერესის შეზღუდვას შორის, ანუ სასამართლომ დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობები და ამის პარალელურად მოპასუხისათვის დაწესებული შეზღუდვა იქნება პროპორციული. ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც მე-6 მუხლი არ გამოიყენება წინასწარი სამართალწარმოებისას, ევროსასამართლომ დაუშვა გამონაკლისი, როდესაც დროებითი განჩინება გამონაკლისის სახით საჭიროებს განსხვავებულ მიღვომას, რადგანაც მოთხოვნილი ზომა არის რადიკალური, სათანადო ხარისხის არმქონე და აპელაციისას, თუ მისი გაუქმების გარეშე, იგი გავლენას იქონიებს მხარეებზე მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში (*ib. Markass Car Hire Ltd v. Cyprus, (dec.), no. 51591/99, 23 ოქტომბერი 2001*).

საკასაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა საჩივარში გამოთქმუ-

ლი მოსაზრებები და მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შერჩევლი ზომა გარკვეულ დისპროპორციას იწვევს მოსარჩელეთა ინტერესებსა და მოპასუხეთა უფლებებს შორის.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საჩივრის ავტორთა არგუმენტიმოთხოვნის მოცულობისა და უზრუნველყოფის სავნის ღირებულების არათანაფარდობის თაობაზე ემყარება მხოლოდ თავიანთ მოსაზრებას, რაიმე მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელეთა მიერ წარდგენილ აუდიტორულ დასკვნებს გააქარწყლებდა, მოპასუხე მხარეს არ წარუდგენია, შესაბამისად, მხოლოდ ეს საკითხი ვერ გახდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი, გარდა ამისა, პალატამ უარყო მოპასუხეთა ის პოზიცია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ორჯერ გამოყენების წინაპირობა არ არსებობდა, რამდენადაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში აღსრულდება მოთხოვნის ჯამური ღირებულებით, თავის მხრივ, ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს სხვადასხვა დროს მიმართეს მოსარჩელეებმა განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და, ბუნებრივია, სასამართლომაც ცალკეული საპროცესო აქტით იმსჯელა ამ განცხადებებზე.

ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რის საფუძველზეც მოპასუხეები მოითხოვენ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, არის ის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი იბას სადამფუძნებლო ხელშეკრულება და ამით განსახილველ დავას გამოეცალა საფუძველი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ერთერთი წევრისათვის ქონების დაბრუნების შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალნარმოების დასრულებამდე სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით შეაჩერა წინამდებარე საქმისწარმოება, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინებით გააუქმდა რა გასაჩივრებული განჩინება უსაფუძვლობის გამო, განმარტა შემდეგი: „განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა საქმისწარმოების შეჩერების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის გადასაწყვეტად შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის სადაცო

დაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს. საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული №2/8777-14 საქმე ეხება იბა დაფუძნების შესახებ სანოტარო აქტის ბათილად ცნობას და სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე განსახილველ დავაზე ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული მოსარჩელების ერთ-ერთი მოპასუხისა და იმავდროულად სააპელაციო საჩივრის ავტორის უძრავი ქონების საკუთრებად აღრიცხვას. საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ სანოტარო აქტის ბათილად ცნობის საფუძველზე პირზე საკუთრების აღრიცხვისა და ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სასამართლო საქმეებს შორის არ იკვეთება იმგვარი კავშირი, რომ ერთ საქმეზე დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მინშვნელობა მიენიჭოს მეორე საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს. იმ დაშვებითაც, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დადგენილია გარკვეული ფაქტები, ეს ვერ შეაფერებებს ფულადი ვალდებულების შესრულებიდან გამომდინარედავის განხილვას მხარეთა შორის, რადგან, თუკი არ დადასტურდება მხარეთა შორის ამ სახელშეკრულებო მოთხოვნების არსებობის საფუძვლიანობა, სასამართლოს კონკრეტული წინაპირობების შემოწმება კონდიქციური სამართლის ნორმებით მოუწევს, რასაც ვერ შეუშლის ხელს კონკრეტულ საქმეზე პირის მიერთვნებითი მოთხოვნის დროს განხილული და გადაწყვეტილი ფაქტობრივი წინაპირობა ამხანაგობის დაფუძნებაზე სანოტარო აქტის ბათილობის შესახებ“.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივარში გამოთქმული პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ქვემდგომმა სასამართლომ თავი აარიდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანისათვის გარანტიის წარდგენის ფაქტს, რადგანაც საქმის მასალებით პირდაპირ არ დგინდება და ვერც მხარე ვერ ადასტურებს სარწმუნოდ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობების არსებობას.

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მხარეთა ინტერესების პროპორციულობის საკითხის შეფასებისას, საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, როგორც დაზუსტებულ საჩივარში, ისე – საქმეში წარდგენილი სხვადასხვა მიმართვები და სახლების ავარიულობის შესახებ შუამდგომლობაში ასახული გარემოება. საკასაციო სასამართლომ იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ზომად შეარჩია უძრავ ქონებაზე ყადალის დადება, აღნიშნა, რომ, მიუხედავად უზრუნ-

ველყოფის ორნისძიების სახის განსაზღვრის თაობაზე მხარის მოთხოვნისა, სსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა, საბოლოოდ, სასამართლოს უპირატესობაა, რომელიც მან უნდა შეარჩიოს გონივრულობის პრინციპით. ამ შემთხვევაში, შეფასების საგანს წარმოადგენს, როგორც სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შესაბამისი გარანტიის შექმნა, ისე – მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების შეძლებისდავარად მინიმალურად შეზღუდვა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ორნისძიებათა ჩამონათვალს და ამ ორნისძიებათაგან ყველაზე მკაცრი სწორედ ქონებაზე ყადალის დადებაა, რამდენადაც, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადალის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებას ყადალა დაედება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვის, ხოლო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებს – ქონების აღწერისა და დაყადალების აქტის საფუძველზე. უძრავ ქონებას ყადალა დაედება მოძრავ ქონებაზე ყადალის დადებისათვის დადგენილი წესით. ყადალის დადების ან გაუქმების აქტი/მიმართვა დაუყოვნებლივ ეგზაქტება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, როგორც მოსარჩელეთა ინტერესების დაცვის, ისე – მოპასუხეთა უფლებების შეზღუდვის პროპორციულ ზომას წარმოადგენს არა ქონებაზე ყადალის დადება, არამედ სსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც მოპასუხებს უნდა აეკრძალოთ ყადალადადებული უძრავი ქონებების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.¹³

¹³ სუს განჩინება, 30 მარტი, 2018, №ას-157-157-2018.

- 1.2. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მიუხედავად საბანკო გარანტიის არსებობისა, სასამართლომ გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება.

ერთ-ერთ საქმეში¹⁴ მხარეთა შორის დავის საგანია პირგასამტებლოს დაკისრება ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, რომელიც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელემ და, სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვა მოპასუხე შპს-ს საბანკო ანგარიშებზე ნებისმიერი ვალუტით ყადალის დადება, ასევე – მოსარჩელე საგენტოს ტერიტორიულ ორგანოში სააგენტოს კუთვნილ და მოწინააღმდეგისათვის უსასყიდლო უზუფრუნვეტით გადაცემულ უძრავი ქონების საწარმოო ფართში განთავსებულ, მოწინააღმდეგის კუთვნილ მოძრავ ქონებაზე (პურ-ფუნ-თუშეულის საცხობისა და იქვე მდებარე მაკარონის საწარმოო ხაზის ყველა შემადგენელ დანადგარებსა და ნაწილებზე) ყადალის დადება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სააგენტოს განცხადებადაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს-ს აკრძალა სააგენტოს კუთვნილ და მოწინააღმდეგისათვის უსასყიდლო უზუფრუნვეტით გადაცემულ უძრავ ქონებაში-საწარმოო ფართში განთავსებულ, მოწინააღმდეგის კუთვნილი მოძრავი ქონების, კერძოდ, პურ-ფუნთუშეულის საცხობ საწარმოო ხაზის ყველა შემადგენელი დანადგარისა და ნაწილის და იქვე მდებარე მაკარონის საწარმოო ხაზის ყველა შემადგენელი დანადგარებისა და ნაწილის გასხვისება და სანივთოსამართლებრივი უფლებით დატვირთვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს-მ შეიტანა საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის თანახმად, დავის საგანს წარმოადგენს არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში მოპასუხის მიერ ნაკის-

¹⁴ სუს განჩინება, 10 თებერვალი, 2017, №ას-1202-1162-2016.

რი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პირგასამტებლოს დაკისრება. სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შესაძლო დარღვევით გამოწვეული პირგასამტებლოს გადახდა უზრუნველყოფილია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოპასუხე მხარის მიერ წარდგნილი საბანკო გარანტით. აღნიშნული საბანკო გარანტია უზრუნველყოფა განსახილველი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე პირგასამტებლოს გადახდას, რაც იმას ნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა, თეორიული თვალსაზრისით, უზრუნველყოფილია შესაბამისი საგარანტიო ვალდებულებით და არ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით შპს-ს საჩივარი, როგორც დაუსაბუთებელი, საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ მიუთითა რა სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაზე (**მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს, ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება უნდა შეიცავდეს დასაბუთებასაც, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება, დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე) და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმა ითვალისწინებს იმ წინაპირობათა ჩამონათვალს, როდესაც საჭიროა სასამართლოს მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის დაცვის ქმე-**

დითი ლონისძიები, რათა მართლმსაჯულების განხორციელებამ არ დაკარგოს ის სამართლებრივი ეფექტი, რაც პირის დარღვეული უფლების აღდგენით ვლინდება. უზრუნველყოფის ღონისძიება განპირობებულია მისალები/მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის რეალური პერსპექტივის შექმნით.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დავის საგანს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევით გამოწვეული მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებითსამართლებრივი საშუალების პირგასამტებლოს დაკისრება წარმოადგენს, ანუ პროცესუალურსამართლებრივი თვალსაზრისით, სასამარჩელო მოთხოვნა თანხის დაკისრებაა. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ღონისძიების ფარგლებში შეძლებისდაგვარად დაიცვა ის სამმხრივი ბალანსი, რომელიც ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნისკენაა მიმართული, კერძოდ: სასამართლომ უზრუნველყო მოსარჩელის ინტერესების დაცვა, რომლის პროპორციულადაც მოპასუხეს შეუზღუდა მოძრავ ნივთებზე სანივთო უფლებები (გასხვისება და გირავნობით დატვირთვა) იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას მესაკუთრის სამენარმეო ინტერესებს და ამით სამომავლოდ მისალები გადაწყვეტილება რეალურად აღსრულებადი გახადა, ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სრულად შეესაბამება სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს.

თეორიული თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას გამო ასანაზღაურებელი პირგასამტებლო უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიით და აღარ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების პროცესუალური საფუძველი, რამდენადაც, სსკ-ის 879-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიის ძალით – ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პროცესუალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, თუმცა, საკასაციო სასამართლოს აზრით, სსკ-ის 885-ე მუხლის მე-2 ნაწილით გარანტია შეზღუდულია ვადით და ამ ვადის გასვლის შემდგომ ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტიის ფარგლებში

აღუსრულებელი ხდება (გარანტიის მოქმედების ვადა წყდება). საკასაციო სასამართლომ საჩივარზე დართულ საბანკო გარანტიის ასლებში მითითებული ვადების გათვალისწინებით აღნიშნა, რომ სასამართლო სისტემაში ფაქტობრივად არსებული ვითარების საქმეთა დიდი ნაკადის გათვალისწინებით, შესაძლებელია, წარდგენილი საბანკო გარანტია უზრუნველყოფის საკმარისი სახე არ აღმოჩნდეს, ამასთანავე, იმ პირობებში, როდესაც დაცულია საჩივრის ავტორის სამეწარმეო ინტერესი, ხოლო უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით მხარეს საჩივარში არ მიუთითება, პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სწორად გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც დაცული მიზნის პროპორციულია და არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

1.3. საკასაციო სასამართლომ გააუქმა საააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და დააკმაყოფილა საჩივარი, რადგან მიიჩნია, რომ გამოყენებული ზომა იჭრება არა მოპასუხის – როგორც ფიზიკური პირის ქონებრივ სფეროში, არამედ მისი, როგორც მენარმე სუბიექტის (საწარმოს 100%-იანი დამფუძნებლის), სამეწარმეო უფლებამოსილებაში.

სხვა საქმეში¹⁵ საწარმოს სარჩელი მეორე მოპასუხე საწარმოსა და ამ საწარმოს დამფუძნებელი ფიზიკური პირის (პირველი მოპასუხე) მიმართ თანხის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ფიზიკურ პირს დაკისრა მოთხოვნილი თანხის ნაწილი, ხოლო მის მიმართ თანხის ნაწილის დაკისრებასა და მოპასუხე საწარმოსათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ. სააპელაციო პალატას განცხადებით მიმართა მოსარჩელემ და მოითხოვა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, პირველი მოპასუხისთვის, როგორც მეორე მოპასუხის 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორისათვის მეორე მო-

¹⁵ სუს განჩინება, 2 თებერვალი, 2016, №ას-1215-1140-2015.

პასუხის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამო-სილი პირებისათვის თანხმობის გაცემის აკრძალვა ამავე კომპანი-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებისა და უფ-ლებრივად დატვირთვის შესახებ, ასევე, თანხმობის გაცემის აკ-რძალვა ორგანიზაციის სახელით სესხის აღებაზე.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოსარჩელის განცხადება დაკმაყოფილდა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზ-ნით, პირველ მოპასუხეს, როგორც მეორე მოპასუხის 100%-ია-ნი ნილის მფლობელ პარტნიორს, აეკრძალა მეორე მოპასუხის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებისთვის თანხმობის გაცემა, ამავე კომპანიის საკუთრე-ბაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებისა და უფლებრი-ვად დატვირთვის შესახებ, ასევე – თანხმობის გაცემა ორგანი-ზაციის სახელით სესხის აღებაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი წარადგინა პირ-ველმა მოპასუხემ და მოითხოვა მისი გაუქმება. სააპელაციო სა-სამართლოს განჩინებაზე, რომლითაც მოსარჩელის წარმომად-გენლის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკ-მაყოფილდა, საჩივარი წარადგინა პირველმა მოპასუხემ და მო-ითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. საჩივრის ავტო-რის წარმომადგენელის მითითებით, განსახილველ საქმეში არსე-ბობს სარჩელის აღდვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონის-ძიების გამოყენების შესახებ საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 სექტემბერს მიღებული №318916-13 განჩინება და ყადაღა და-ედო მეორე მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, დასახელებული განჩინებით განისაზღვრა, რომ კომპანია ვერ გა-ასხვისებს, ვერ დატვირთავს იპოთეკით და მასზე ვერ გაავ-რცელებს ვერანაირ სანივთო უფლებას. ფაქტობრივად გასა-ჩივრებული განჩინებით ხელახლა იქნა მიღებული იგივე და-ნანესი, რომ კომპანიის 100% ნილის მფლობელ პარტნიორს აეკრძალა ამ კომპანიის ხელმძღვანელი პირებისთვის თანხმო-ბის გაცემა კომპანიის კუთვნილებაში მყოფ მიწის ნაკვეთის გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა საქალა-ქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება მე-ორე მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების დაყადაღების შესახებ, საჭირო აღარ იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონის-

ძიების გამოყენება. ამასთან, მომჩივნის განცხადებით, კომპანიისთვის სესხის აღების აკრძალვა, სესხის ოდენობის მითოთების გარეშე, ამავე კომპანიისთვის დისკრიმინაციული დანაწესია, რამეთუ ის მენარმე სუბიექტია და მოცემული დავის დასრულებამდე შესაძლოა, მართლაც დასჭირდეს გარკვეული ოდენობით სესხის აღება, სესხის აღების აკრძალვით კი, გამოდის, რომ სასამართლო ერევა კომპანიის საქმიანობაში, რადგანაც გარკვეულნილად უზღუდავს სამენარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. გასაჩივრებული განჩინების საფუძველზე მეორე მოპასუხე კოტრდება ხელოვნურად, კომპანიის ქონების ღირებულება აღემატება მოსარჩელის მოთხოვნის ოდენობას, ამასთან, მას აქვს მოქმედი სამშენებლო პროექტი, რომლის დასრულების შემთხვევაში, კომპანია მიიღებს რამდენიმე მილიონი ლარის მოგებას, რაც გასაჩივრებული განჩინების გათვალისწინებით, შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და, სსსკ-ის 197¹ მუხლის შესაბამისად, გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს.

სააპელაციო პალატის განმარტებით, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს ქონების გასხვისება, მისი უფლებრივად დატვირთვა და სესხის აღება აეკრძალა სწორედ იმ მიზნით, რომ მეორე მოპასუხეს ქონება არ გაესხვისებინა, უფლებრივად არ დაეტვირთა, რათა პირველი მოპასუხეს კუთვნილი 100% წილის ღირებულება არ შემცირებულიყო მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხემ (საჩივრის ავტორმა) სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მისთვის ზიანის მიყენებს ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს აზრით, მომჩივნი უფლებამოსილია, სასამართლოს, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ნაცვლად, სხვა, მისთვის მისაღები და ნაკლებად ზიანის მომტანი უზრუნველყოფა შესთავაზოს. ამგვარ დასაბუთებას საჩივარი არ შეიცავდა. გარდა აღნიშნულისა, მოპასუხეს სრული უფლება ჰქონდა, ესარგებლა სსსკ-ის 199-ე მუხლის დანაწესით. პალატამ აღნიშნა, ვინადან საჩივრიდან აშკარად არ იკვეთებოდა, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს, რადგანაც საჩივრის ავტორი არ უთითებდა მისთვის ზიანის მიყენების კონკრეტულ ფაქტზე, პალა-

ტის განსჯით, ასეთ ვითარებაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში მოსარჩელეს უფრო მეტი ზიანი შეიძლებოდა მისდგომოდა, ვიდრე მოპასუხეს სარჩელის არდაკმაყოფილების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით – პირველი მოპასუხების საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე და მოსარჩელის განცხადება სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით პირველი მოპასუხებისთვის (როგორც მეორე მოპასუხების 100%-იანი ნილის მფლობელი პარტნიორისათვის) მეორე მოპასუხების წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირებისთვის თანხმობის გაცემის, ამავე კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავიქონების გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვისა და ორგანიზაციის სახელით სესხის აღებაზე თანხმობის გაცემის აკრძალვის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მოსარჩელე ფორმალური, სამართლებრივი თვალსაზრისით პრეტენზიას ასაბუთებდა იმით, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, მისი აღსრულება შეუძლებელი გახდება, რადგანაც პირველი მოპასუხების 100%-იანი ნილი მეორე მოპასუხებისათვის (ამ ნანილში საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული ყადაღა კვლავ ძალაშია) არ არის ღირებული, საწარმო არ ფუნქციონირებს, ნილი იძლევა მხოლოდ დივიდენდის მიღების უფლებას, ხოლო აღსრულების რეალური საშუალება უძრავი ქონებაა (მიწის ნაკვეთი), რომელიც სარჩელის აღძერის შემდეგ, ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებს მიზნით, პრველმა მოპასუხებმ შეიტანა მეორე მოპასუხების საწესდებო კაპიტალში. ამ საფუძვლით კი, განმცხადებელმა მოითხოვა მოსარჩელისათვის უფლებრივი აკრძალვის დაწესება, რის შედეგადაც არ გასხვისდება და უფლებრივად არ დაიტვირთება საწარმოს ქონება, ასევე, საწარმო ვერ აიღებს სესხს.

საკასაციო სასამართლომ სასკ-ის 24-ე და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლების დანაწესების საფუძველზე განმარტა, რომ იურიდიული პირი დამოუკიდებელი უფლებაუნარიანი სამართალსუბიექტია, რომელიც საკუთარი სახელით მონა-

წილეობს სამოქალაქო ბრუნვაში და უფლება-მოვალეობებს იძენს დამოუკიდებლად, მით უფრო საინტერესოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონებრივი დამოუკიდებლობა.

პალატამ გაიზიარა ქვემდგომის სასამართლოს სამართლებრივი მსჯელობა სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების ზოგადი წინაპირობების, ამ ინსტიტუტის მიზნისა და საჭიროების თაობაზე (სსსკ-ის 271-ე და 191-ე მუხლები), თუმცა მიიჩნია, რომ მოხმობილ ნორმათა ამგვარი ინტერპრეტაცია გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენებული ზომა არ გასცდებოდა დავის ფარგლებში. პალატის მითითებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაბუქებია მხოლოდ მოპასუხის მიმართ და/ან მის წინააღმდეგ, რათა დავის საგანი მოპასუხის არაკეთილსინდისიერი (მათ შორის – კეთილსინდისიერი მესამე პირების მართლზომიერი ქმედებისგან) ქმედებისგან იყოს დაცული. უზრუნველყოფის ობიექტი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება, იყოს სხვა პირის მატერიალური და/ან არამატერიალური სიკეთე. ამ დასკვნის საფუძველია თავად სსსკ-ის 191-ე მუხლი, რომელიც ამ ვითარებაში არ შეიძლება, განიმარტოს 198-ე მუხლისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადება ფორმალური, სამართლებრივი თვალსაზრისით უკავშირდება პირველი მოპასუხის ქონებრივი მდგრადობის შენარჩუნებას (მოპასუხისათვის გარკვეული ქმედების აკრძალვას), თუმცა საკითხის მხოლოდ ფორმალურად შეფასება არ ემსახურება უზრუნველყოფის მიზანს, გამოყენებული ზომა იჭრება არა მოპასუხის, როგორც ფიზიკური პირის ქონებრივ სფეროში, არამედ მისი, როგორც მეწარმეს სუბიექტის (საწარმოს 100%-იანი დამფუძნებლის), სამეწარმეო უფლებამოსილებაში, რაც რეალურად ადგენს არაპროპორციულ ჩარჩევას იურიდიული პირის მმართველობაში და, ფაქტობრივად, კრძალავს საწარმოს საქმიანობას. შედეგად უმოქმედოა სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომლის მიმართაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ, სსსკ-ის 1991 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეეძლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გასაჩივრებას-

თან ერთად სააპელაციო წესით ედავა მეორე მოპასუხის ქონებაზე გამოყენებული უზრუნველყოფის ონისძიების გაუქმების კანონიერების საკითხზე, რადგანაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ ნასარგებლები უზრუნველყოფის ონისძიებით განმეორებით იქნა მიღებული უზრუნველყოფის ის ზომა, რომელიც საქალაქო სასამართლომ საქმის განხილვის ეტაპზე უკვე გამოიყენა და შემაჯამებელი გადაწყვეტილებით გააუქმა, ამასთანავე, გამოყენებული შეზღუდვა იმდენად არსებითია, რომ იგი ზიანს აყენებს მენარმის ინტერესებს და მას შედეგად შეიძლება სანარმოს გადახდისუუნარობაც კი მოჰყვეს. ამგვარი ჩარევის პროპორციულად ვერ იქნება მიჩნეული ქვემდგომი სასამართლოს აპელირება სსკ-ის 199-ე მუხლზე, ისიც, რომ 191-ე მუხლის მიზანი მართლმსაჯულების ინტერესის დაცვაა, რადგანაც, გამოყენებული უზრუნველყოფის ონისძიებით შეიზღუდა იმ პირის უფლება, რომელსაც არ ეკისრება პასუხისმგებლობა სასარჩელო მოთხოვნის გამო.

- 1.4. საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი იმ დასაბუთებით, რომ მოძრავი ნივთის გასხვისების/უფლებრივი დატვირთვის მესაკუთრისათვის აკრძალვა მიიჩნია, როგორც მიზნის მიღწევის პროპორციულ, ისე – მოპასუხის ინტერესების საკმარისად დამცავ საშუალებად, რადგანაც ამ შემთხვევაში მესაკუთრეს სსკ-ის 170-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებათაგან მხოლოდ საკუთრების განკარგვის შესაძლებლობა ეკრძალება, როცა მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია საკუთრების სუბსტანცია.

საქმის ფაბულის მიხედვით¹⁶ პირველი ინსტანციის სასამართლოს

¹⁶ სუს განჩინება 9 ნოემბერი, 2018, №ას-1368-2018.

მიერ დასაქმებულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება მიჩნეულ იქნა ამ ურთიერთობის მომნესრიგებელ ნორმებთან შეუსაბამოდ, მოსარჩელეს, როგორც დასაქმებულს, აღუდგა პირვანდელი ვითარება, კერძოდ, იგი აღდგენილ იქნა გათავსუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე და მიეცა, როგორც გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია, ისე – იძულებით მოცდენის მთელი პერიოდისათვის განაცდური და პირგასამტეხლო. სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა დასაქმებულმა და მოითხოვა წინამდებარე საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, მოპასუხისათვის მის საკუთრებაში არსებული ავტომობილის გასხვისებისა და/ან უფლებრივი დატვირთვის აკრძალვა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას მოსარჩელე ასაბუთებდა იმით, რომ მოპასუხე ცდილობდა პროცესის გაჭიანურებას (მორიგების მიზნით სხდომის გადადების მიუხედავად, არ ხვდებოდა მოსარჩელეს, არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს და სხვა), რადგანაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება მოპასუხესა და სხვა სამენარმეო სუბიექტს შორის მოპასუხის აქტივების შეძენაზე, შეჩერდა სესხების გაცემა და შეძენის მსურველი კომპანიის თანამშრომლები სწავლობდნენ პორტფელს, გარდა ამისა, მოპასუხე საწარმოს დამფუძნებელი უცხოელია, რაც მეტად ამყარებს კომპანიის მატერიალური სახსრების საქართველოდან გადინების შესაძლებლობას, ეს ყველაფერი კი, შემდგომში გართულებს ან შეუძლებელს გახდის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა, დამსაქმებელს (მოპასუხეს) აეკრძალა საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (სატრანსპორტო საშუალების) გასხვისება ან/და უფლებრივად დატვირთვა.

ამავე სასამართლოს განჩინებით მოპასუხის საჩივარი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასალებთან ერთად, სსსკ-ის 197¹ მუხლის შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს.

საკასაციონ სასამართლომ არ დააქმაყოფილა მოპასუხის საჩივარი და უცვლელად დატოვა გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შემდეგი დასაბუთებით:

საკასაციონ პალატამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქა-ლაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვე-ბული ზემდგომი სასამართლოს მხრიდან და იგი დადგენილ ვადაში საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა, დადასტურებულად მიჩნია მოსარჩელის ინტერესის ნამდვილობა გადაწყვეტილებით დადგე-ნილი მართლწესრიგის რეალურად აღსრულების მიმართ, ამასთან, აღნიშნა, რომ დასაქმებულის განცხადება წარმოადგენს არა სარ-ჩელის, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნას, რამდენადაც აშკარაა მოსარჩელის სასარგებლიოდ გა-მოტანილი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 271-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამი-სად (ძალადაკარგულია ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც ამ ღო-ნისძიების შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება უზრუნველ-ყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მონინააღმდეგე მხა-რისთვის მიყენებულ ზიანს); (ძალადაკარგულია ის ნორმატიუ-ლი შინაარსი, რომელიც უშვებს დროებითი მმართველისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო პოლიტი-კის განსაზღვრის უფლებამოსილების მინიჭებას)) და არსე-ბობს მისი უზრუნველყოფის წინაპირობები.

საკასაციონ სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ, სსსკ-ის 191-ე მუხლიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მართლმსაჯულების რეალურ განხორციელებასა და სასამართლოს მიერ ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვე-ტილებით დადგენილი სიკეთით კრედიტორის სარგებლობის ხელშეწყობას ემსახურება, რათა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის, მისი ინტერესი, მოვალის არა-კეთილსინდისიერების გამო, არ შეილახოს, ხოლო მართლმსა-ჯულება ფორმალური არ გახდეს. გადაწყვეტილების აღსრუ-ლების უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მოსარჩე-ლის ინტერესების დაცვის ქმედით, თუმცა დროებით ზომას. სა-კასაციონ სასამართლომ განმარტა, რომ უზრუნველყოფის ინ-

სტიტუტის გამოყენებისას, ბუნებრივია, შეფასების ობიექტი იმ სამომავლო სიკეთის დაცვაა, რომელიც შედეგად მართლმა-ჯულების განხორციელებას უნდა მოჰყვეს, თუმცა, ამავდრო-ულად, გასათვალისწინებელია პროპორცია ამ სიკეთესა და მო-პასუხის ინტერესის შეზღუდვას შორის, ანუ სასამართლომ დას-კვნა უნდა გამოიტანოს, რომ არსებობს სარჩელის/გადაწყვე-ტილების ალსრულების უზრუნველყოფის აუცილებელი წინა-პირობები და ამის პარალელურად მოპასუხისათვის დაწესებუ-ლი შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული.

პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომ მოძ-რავი წივთის გასხვისების/უფლებრივი დატვირთვის მესაკუთრი-სათვის აკრძალვა (სსს-ის 198.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) წარმო-ადგენს მიზნის მიღწევის პროპორციულ და მოპასუხის ინტერესე-ბის საკმარისად დამცავ საშუალებასაც, რადგანაც ამ შემთხვევა-ში მესაკუთრეს სსკ-ის 170-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებათა-გან მხოლოდ საკუთრების განკარგვის შესაძლებლობა ეკრძალე-ბა, როცა მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია საკუთრების სუბსტან-ცია და მესაკუთრის, როგორც უფლებრივი, ისე – ფიზიკური კავში-რი საკუთრების ობიექტთან. პალატამ არ გაიზიარა საჩივარში გა-მოთქმული პრეტენზიები (საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მხო-ლოდ დარღვეულ უფლებასა თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება არ შეიძლება, გახდეს უზრუნველყოფის გამოყენების საშუალება და ის გამყარებული უნდა იყოს მისი ავტორის მხრიდან ფაქტობრი-ვი გარემოებებისა ან/და მოსაზრებების სათანადო დასაბუთებით. ამასთან, მოპასუხესა და სხვა საწარმოს შორის მიმდინარეობდა მო-ლაპარაკებები არა პორტფელის რეალიზაციაზე, როგორც ეს და-საქმებულის განცხადებაშია მითითებული, არამედ კომპანიების შერწყმაზე და მარტომდენ მოლაპარაკებების პროცესი არ შეიძ-ლება, გახდეს იმ დაშვების წინაპირობა, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით კომპანია გასხვისდება. მოლაპარაკებების პროცესის წარ-მატებით დასრულების შემთხვევაში, კომპანიები ერთმანეთს შე-ერწყმება) და განმარტა, რომ ამ პრეტენზიათა შინაარსობრივი კვლევით არ გამოირიცხება მოპასუხის მხრიდან გარკვეული წინა-სახელშეკრულებო ურთიერთობები სხვა სამეწარმეო სუბიექტთან, ამასთანავე, არც ის ფაქტი დგინდება უალტერნატივოდ, რომ იგეგ-მება კომპანიის რეორგანიზაცია (შერწყმა) და არა აქტივების რეა-ლიზაცია, საჩივარს არ ერთვის მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელთა წარდგენა მოპა-

სუხისათვის ხელმისაწვდომი იყო.

საბოლოოდ, პალატაშ დაასკვნა, რომ ქვემდგომი სასამართლომ სწორად გამოიყენა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც პროპორციულია დასახული მიზნის მიღწევისა და ადგენს გონივრულ ბალანსს მხარეთა ინტერესებს შორის, ხოლო საჩივრის ავტორს, სსსკ-ის 393-ე – 394-ე მუხლების შესაბამისად, არ წარუდგენია იმგვარი დასაბუთებული შედავება, რაც გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმებას დაედებოდა საფუძვლად.

- 1.5. **სააპელაციო სასამართლომ განცხადება ერთი და იმავე შუამდგომლობით სწორად დატოვა განუხილველად, რაც საჩივრდება საჩივრით, მაგრამ, ვინაიდან მოცემული სა- ჩივარი სააპელაციო სასამართლოს არ განუხილავს, უზე- ნაესი სასამართლოს კი საჩივრის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება მხოლოდ სააპელაციო პალატის მიერ თავისი მოტივირებული განჩინებით საჩივრის საფუძვლე- ბის გაუზიარებლობის შემთხვევაში აქვს, საკასაციო სა- სამართლომ საჩივარი გადააგზავნა სააპელაციო სასამარ- თლოში.**

საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე- თა მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის ღო- ნისძიების სახით მოპასუხისათვის სადაცო უძრავ-მოძრავი ქონე- ბის გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის შესახებ, ხოლო ამავე სასამართლოს განჩინებით, სარჩელის უზრუნველყო- ფის გამო, მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების თაობაზემოპასუხის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს მოგვიანებით განცხადებით მიმართა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის (უზრუ- ნელყოფის გარანტის) გამოყენება. მხარის მითითებით, მოსარჩე- ლებს უნდა დაჰკისრებოდათ მოპასუხისათვის მიყენებული ზია- ნის – კონკრეტული თანხის ანაზღაურების უზრუნველყოფა და, სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ თანხის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლო-

ების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით განცხადება დარჩა განუხილველად სსსკ-ის 372-ე მუხლის, მე-7 მუხლის მეორე ნაწილის, 194-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ შუამდგომლობის ავტორი, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე, სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში გარანტიის გამოყენების საფუძვლად უთითებდა ერთსა და იმავე გარემოებას, კერძოდ, გარანტიის გამოყენების თაობაზე მოპასუხის ყველა განცხადების საფუძველი იყო ქონების გაუსხვისებლობის ფაქტი და მის შედეგად მიღებული ზიანი, კერძოდ, მოპასუხე, გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის გამო, ვერ ახერხებდა ქონების გასხვისებასა და თანხის მიღებას. განხსნავება წინამორბედა და ამჟამინდელ გაცხადებებს შორის არის მხოლოდ ზიანის ოდენობის გაანგარიშება, რაც არსობრივად არ ცვლის მოთხოვნის საფუძველს, ფაქტს, რომ აკრძალვის გამო, ქონების გაუსხვისებლობით განმცხადებელს ადგება ზიანი.

შესაბამისად, ვინაიდან სასამართლომ ორჯერ უკვე იმსჯელა და არ დააკმაყოფილა განმცხადებლის ანალოგიური მოთხოვნა იდენტური საფუძვლით, სააპელაციო პალატამ, სსსკ-ის 194-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის (უზრუნველყოფის გარანტიის) გამოყენების თაობაზე მოპასუხის განცხადებაგანუხილველად დატოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხებ შეიტანა საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება, განცხადების განხილვა და დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საჩივარი საქმესთან ერთად განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.¹⁷

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა იმ ნაწილში, რომ კანონმდებელი პირდაპირ არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნული განცხადების (როგორც სასამართლოს მიერ უკვე გადაწყვეტილ საკითხზე ხელმეორედ წარმოდგენილი მოთ-

¹⁷ სუს განჩინება 14 მარტი, 2017, №ას-228-217-2017.

ხოვნის) განხილვისა და მოცემული სამართლებრივი შინაარსის გან-
ჩინების გასაჩივრების წეს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ
სსსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილისა (თუ არ არსებობს სამოქა-
ლაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არ გაულირებს სასამართლო
წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყე-
ნებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს
მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო, თუ ასეთი ნორ-
მაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცე-
სო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია)) და,
სსსკ-ის 194-ე მუხლის მეხუთე ნაწილის (სარჩელის უზრუნველყო-
ფის შესახებ განცხადების დაუკავშიროვილებლობის შემთხვევაში,
სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის
თქმის თაობაზე განჩინება. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და
იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში, მიღება
განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება, რაც
გასაჩივრდება საჩივრით) დანაწესების გათვალისწინებით მართე-
ბულად ჩათვალა, რომ განცხადების განუხილველად დატოვების
შესახებ განჩინების გასაჩივრება მხარეს შეეძლო საჩივრის წარ-
დგენის გზით.

სსსკ-ის 197¹ მუხლის დანაწესი (სასამართლო საჩივარს წარმოება-
ში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექ-
სით გათვალისწინებული წესების თანახმად. თუ სასამართლო სა-
ჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფი-
ლებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი საქმის მასალებ-
თან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება
ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში)
გულისხმობს, რომ საჩივრის შემტანი პირი თავის პრეტენზიას წა-
რუდგენს იმავე სასამართლოს, რომელმაც მიღო გასაჩივრებული
განჩინება. შესაბამისი ინსტანციის სასამართლო, კანონით დადგე-
ნილი წინაპირობების არსებობისას, წარმოებაში მიღებს საჩივარს
და თავადვე იმსჯელებს მის სამართლებრივ დასაბუთებულობა-
ზე. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გაიზიარებს საჩივრის მოტი-
ვებს, იგი დააკმაყოფილებს საჩივარს, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში, სასამართლო ვალდებულია, მიღოს განჩინება, სადაც დაა-
საბუთებს საჩივრის დაუკმაყოფილებლობის თაობაზე თავის მო-
საზრებას და საქმეს საჩივართან ერთად 5 დღის ვადაში გადაუგ-
ზავნის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ მართებულად შეიტანა საჩივარი სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა განჩინება მისი განცხადების განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებით, თუმცა სააპელაციო პალატას აღნიშნული საჩივრის დასაშვებობაზე არ უმსჯელია, არც საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობა არ შეუმოწმებია და საქართველოს უზენაეს სასამართლოს საქმე ყოველგვარი რეაგირების გარეშე გაუგზავნა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უზენაეს სასამართლოს საჩივრის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ სააპელაციო პალატის მიერ თავისი მოტივირებული განჩინებით საჩივრის საფუძვლების გაუზიარებლობის შემთხვევაში. იმ პირობებში, როდესაც მოცემული საჩივარი სააპელაციო სასამართლოს არ განუხილავს, საკასაციო სასამართლო მოკლებულია მასზე მსჯელობის შესაძლებლობას და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო პალატას, რათა არ დაირღვეს მოპასუხის საპროცესო უფლება საჩივრის ორი ინსტანციით განხილვასთან დაკავშირებით.

1.6. საააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი და დაადგინა სარჩელის უზრუნველყოფა. შემდეგ კი ამ განჩინებაზე მოპასუხის საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და დაუკმაყოფილებელ ნაწილში გადაგზავნა უზენაეს სასამართლოში. უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო საჩივარი, ვინაიდან სააპელაციო ინსტანცია საბოლოოა.

საქმის ფაბულის მიხედვით, მოსარჩელე ბანკმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის 2017 წლის 01 იანვრიდან 6 თვეის განმავლობაში კონკურენტ ბანკში დასაქმების აკრძალვა და რაიმე სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი თანამშრომლობა, ასევე – მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მისთვის გადაცემული ბონუს აქციების უკან დაბრუნების დავალდებულება. მოგვიანებით, მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სახით მოპასუხისათვის

2017 წლის 01 იანვრიდან 6 თვის განმავლობაში ბანკში დასაქმები-სადა რაიმე სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი თანამშრომლობის აკრძალვა, რაზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი. საქალაქო სასამარ-თლოს განჩინებით აღნიშნულ განჩინებაზე შეტანილი მოსარჩელის საჩივარიც არ დაკმაყოფილდა და საქმესთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი და, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხეს აუკრძალა 2017 წლის 01 იანვრიდან 6 თვის განმავლობაში ბანკში დასაქმება და რაიმე სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი თანამშრომლობა. იმავ-დროულად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველ-ყოფის მიზნით განმცხადებელს დაავალა საქართველოს იუსტიცი-ის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 90 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლა-რის შეტანა. განჩინება გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

განჩინებაზე საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული უზრუნველყო-ფის ღონისძიების გაუქმება, აგრეთვე, იშუამდგომლა უზრუნველ-ყოფის შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერების თაობაზე. თბი-ლისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საჩივარი წარმოებაში მიიღო [სსსკ-ის 197¹ მუხლი].

ამავე განჩინების ბათილად ცნობისა და საქმისწარმოების განახ-ლების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადე-ბით მიმართა ბანკმა. სააპელაციო სასამართლომ მისი, როგორც და-ინტერესებული მხარის, საჩივარიც მიიღო წარმოებაში [სსსკ-ის 197¹, 285-ე, 368-ე მუხლები]. სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის განჩინებით ბანკის საჩივარი დაკმაყოფილ-და ნაწილობრივ. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ შეცვლით მიი-ღო ახალი განჩინება. მოსარჩელის განცხადება სარჩელის უზრუნ-ველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნა-წილობრივ და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხეს აეკ-რძალა 2017 წლის 15 მარტიდან 2017 წლის 01 ივლისამდე ბანკში დასაქმება და რაიმე სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი თანამშრომ-ლობა.

სააპელაციო სასამართლომ უზრუნველყოფის განჩინება დაასაბუ-

თა სსსკ-ის 191-ე მუხლზე მითითებით. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სარჩელის მოთხოვნის თავისებურების გათვალისწინებით, სრულიად დასაშვებია სარჩელისა და უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნების თანხვედრა, რაც არ ნიშნავს იმავე ობიექტების, გამომდინარე იქიდან, რომ მათ სხვადასხვა სამართლებრივი წინაპირობები აქვთ, ვინაიდან ერთი ემსახურება მეორის განხორციელებას. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიება ყველა შემთხვევაში დროებითი მოქმედებაა, რომელიც სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად.

პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია რა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება, რომ კონკურენტ საბანკო დაწესებულებაში დასაქმების პირობებში არსებობს მაღალი ხარისხის რისკი, რომ მოპასუხე უკვე იყენებს და მომავალშიც გამოიყენებს კორპორაციული ბიზნესის მართვის მიმართულებით წლების განმავლობაში მოპოვებული კონკურენტული კომპანიის მიერ მისი თანამშრომლების ამ კომპანიაში საქმიანობის შედეგად მოსარჩელე ბანკში დაგროვებულ ინფორმაციასა და ცოდნას, რომლის კომპენსირება მოპასუხებისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შეუძლებელია. მხარეთა უფლებების პროპორციულად დაცვის პრინციპის გათვალისწინებით პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოიყენების სტანდარტების მხარის ე.ნ. „ლეგიტიმური ბიზნესი ინტერესის“ დაცვას უპირობის პირდებოდა მოპასუხების თავისუფალი შრომის უფლების შეზღუდვა, რომლის კომპენსირებაც, სასამართლოს მოსაზრებით, შესაძლებელი იყო ექვსთვიან შეზღუდვაზე უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებით, რაც დადგენილ იქნა მოცემულ საქმეზე მოსარჩელის თვის 90 000 აშშ დოლარის უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენით. ბანკის საჩივართან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც წესი, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დასაბუთებული განცხადების პირობებში გამოიყენება, თუმცა, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოიყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულებე-

ბის წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს არც სსსკ-ის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის სხვა ნორმებიდან. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, აღბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ეყარება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის აღბათობა უნდა გადაწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ (2012 წლის 3 დეკემბრის განჩინება №ას-1461-1379-2012). განმცხადებელმა მიუთითა იმ გარემოებებზე, რომ კონკურენტ საბანკო დაწესებულებაში დასაქმების პირობებში არსებობს მაღალი ხარისხის რისკი, რომ მოპასუხე უკვე იყენებს და მომავალშიც გამოიყენებს მოსარჩელე ბანკში საქმიანობის შედეგად მიღებულ კორპორაციული ბიზნესის მართვის მიმართულებით დაუფლებულ ინფორმაციასა და ცოდნას, რომლის კომპენსირებაც მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შეუძლებელია. პალატამ აღნიშნა, რომ აკადემიურ ლიტერატურაში არსებობს ე.წ. „გარდაუვალი გამჟღავნების დოქტრინა“, რომლის შესაბამისად, შეუძლებელია იმის უზრუნველყოფა, რომ სამსახურის შეცვლისას პირი არ გამოიყენებს წინა დამსაქმებელთან მუშაობისას მიღებულ ცოდნას, რაც სასარგებლო იქნება ახალი დამსაქმებლისთვის, მაგრამ ქმნის წინა დამსაქმებლის დაზარალების საფრთხეს (Harris, Y.O. The doctrine of inevitable Disclosure, Washington University law Review 78(1).

დაუკმაყოფილებულ ნაწილში მოპასუხისა და ბანკის საჩივრები, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებულ განჩინებაზე დაუსაბუთებლობის გამო, საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლომ მოპასუხისა და ბანკის საჩივრები დაუშვებლად ცნო.¹⁸

საკასაციო პალატამ საჩივრის ფარგლებში მიღებული განჩინების, თუნდაც მოწინააღმდეგე მხარისათვის კვლავ გასაჩივრების შესაძ-

¹⁸ სუს განჩინება, 19 აპრილი, 2017, №ას-471-439-2017.

ლებლობის მინიჭების შესახებ ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობაარ გაიზიარა, რადგანაც ამგვარ შესაძლებლობას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში, სახელმძღვანელო ნორმას წარმოადგენს სსსკ-ის 1971 მუხლი, რომლითაც მონესრიგებულია უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის განხილვის პროცედურები, კერძოდ, სსსკ-ის 1971 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აქმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე ზემდგომ სასამართლოს გაეგზავნება განჩინების მიღებიდან ვადით – 5 დღეში. ამდენად, უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საჩივრებზე კანონმდებლობა ითვალისწინებს ორი ინსტანციის წესით საქმის განხილვის შესაძლებლობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს განჩინება საბოლოოა და აღარ საჩივრდება, შესაბამისად, მის კანონიერებას დამატებით მესამე ინსტანცია აღარ შეამონებს. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია სსსკ-ის 1971 მუხლის მე-3 ნაწილით, რომელიც პროცესუალური შედეგის განმსაზღვრელად მიიჩნევს სსსკ-ის 419-ე მუხლს, სადაც ერთმნიშვნელოვანი დათქმა ზემდგომი სასამართლოს განჩინებით საჩივრის განხილვის დასრულებაზე (სსსკ-ის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებების კანონიერებაზე საჩივრის ფარგლებში იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ, როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ და მიიღო განჩინება საჩივრის/განცხადების დაკმაყოფილების შესახებ. ეს უკანასკნელი კი სსსკ-ის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ, ზემდგომი სასამართლოს განჩინებას წარმოადგენს, რომლის კანონიერების შემოწმების საკითხი, შეუძლებელია, რაიმე ფორმით მესამე ინსტანციამ – საკასაციო სასამართლომ განიხილოს.

ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებითსაჩივრის თაობაზე პალატამ მიუთითა საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან

პრაქტიკაზე, სადაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არა-ერთხელ განმარტა, რომ, სსსკ-ის 197¹.3 და 419.3 მუხლებიდან გა-მომდინარე, ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრის ფარგლებ-ში მიღებული გადაწყვეტილება, მიუხედავად სამართლებრივი შედეგისა, საბოლოოა და არცერთი მხარის მიერ მისი გასაჩივ-რების შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალის-წინებს (იხ. სუსგ №ას-976-940-2016, 25 ნოემბერი, 2016 წელი; სუსგ №ას-625-597-2016, 29 ივლისი, 2016 წელი). ამავე საპროცე-სო სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, საკასაციო პა-ლატამ არ იმსჯელა მომჩივნის უზენაეს სასამართლოში წარდგე-ნილ მოთხოვნაზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ გა-მოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების აღსრულე-ბის შეჩერებას შეეხება.

- 1.7. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის განცხადება და გააუქმა ყადაღა, მოგვიანებით კი, არ და-აკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი. საკასაციო სასამარ-თლომ მოსარჩელის საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა გა-საჩივრებული განჩინება და გამოყენებული სარჩელის უზ-რუნველყოფის ონისძიების გაუქმების შესახებ მოპასუ-ხის განცხადება არ დააკმაყოფილა.

რაიონული სასამართლოს განჩინებით, სარჩელის აღვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ პოტენციური მოსარჩელის განცხადე-ბა დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო შემდგომში მოპასუხის სა-კუთრებაში არსებულ კონკრეტულ უძრავ ქონებას.

კანონით დადგენილ ვადაში მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამარ-თლოში მოპასუხის მიმართ, მოითხოვა მხარეთა შორის დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად, ხოლო ნასყიდობის საგ-ნის უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყ-ოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მხარეებს შორის დადებული სა-დავო ნასყიდობის ხელშეკრულება, მოსარჩელე ცნობილ იქნა უძ-რავი ქონების მესაკუთრედ, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელა-ციონ წესით. სააპელაციო სასამართლოში მხარეთა შორის დამტკიც-

და მორიგება შემდეგი პირობებით: მოსარჩელის მიერ 7000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, აპელანტი (მოპასუხე) დაუბრუნებს საკუთრებაში მოწინააღმდეგე მხარეს (მოსარჩელე) სადაცო უძრავ ქონებას. მითითებული თანხის სრულ გადახდამდე დაგის ობიექტი დარჩება მოპასუხის საკუთრებაში, რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების გარეშე. მითითებული თანხის – 7000 აშშ დოლარის სრულად გადახდა წარმოადგენს მოპასუხის მიერ უძრავი ქონების მოსარჩელისათვის გადაფორმების ვალდებულების საფუძველს, რომლის განუხორციელებლობა ანიჭებს უფლებას მოსარჩელეს, მიმართოს სააპელაციო სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით და მის საფუძველზე უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში თავის სახელზე აღრიცხოს. სააღსრულებო ფურცლის გაცემის წინაპირობას წარმოადგენს თანხის სრულად გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების ორიგინალის წარდგენა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის. მორიგების აქტით გათვალისწინებული გრაფიკის ზედიზე დორჯერ დარღვევის შემთხვევაში, მიმპასუხე უფლებამოსილია, მიმართოს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სააღსრულებო ფურცლის მისაღებად, რომლის გაცემის წინაპირობას წარმოადგენს საბანკო ანგარიშის ამონანერის დამონმებული ასლი, რომლიდანაც დადასტურდება ვალდებულების დარღვევა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მოპასუხემ და, სსსკ-ის 199¹ მუხლის შესაბამისად, მიოთხოვა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის გაუქმება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით – ყადაღის მოხსნის თაობაზე მოპასუხის განცხადება დაკამაყოფილდა, გაუქმდა მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე რაიონული სასამართლოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაზეც მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოსარჩელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და საქმესთან ერთად განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატის მიერ სადაც უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნა გაუმართლებელია, შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ მოპასუხის განცხადება არ დააკმაყოფილა¹⁹ შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამოქალაქოსამართლებრივი მოწესრიგების პროცესში მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. საქმისნარმოება და მორიგებით დასრულება მხარეთა უფლებაა. საქმის შედეგით მატერიალურსამართლებრივი დაინტერესება გულისხმობს, რომ საქმის გადაწყვეტის შედეგად ერთ-ერთმა მხარემ, შესაძლოა, შეიძინოს რაიმე მატერიალური სიკეთე, ხოლო მეორე მხარე – ამ სიკეთეს კარგავს. მორიგებისას ვითარებაგანსხვავებულია, აქ ინტერესი და სამართლებრივი სიკეთით სარგებლობა ერთდროული და ორმხრივია.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ განსახილველი მორიგების შინაარსი უნდა განიმარტოს მხარეთა შეთანხმების მიზნებიდან და მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე იმგვარად, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხის სასარგებლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების გრაფიკის ზედიზედ ორჯერ დარღვევა წარმოშობს მოპასუხის უფლებას, სააპელაციო სასამართლოსაგან მიიღოს სააღსრულებო ფურცელი და კომპეტენტური ორგანიზაციის მისი წარდგენის შედეგად დაინტენსიული დარჩენილი ნაწილის მისაღებად. მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი (დაგვიანებით) შესრულების შემთხვევაში მორიგებით რაიმე სხვა სანქცია გათვალისწინებული არ ყოფილა. მეორე მხრივ, მოსარჩელის მიერ დავალიანების სრულად დაფარვა წარმოშობს მოსარჩელის უფლებას, დაიბრუნოს საკუთრების უფლება სადაც უძრავ ქონებაზე. საჩივრის უარყოფას საფუძვლად დაედო სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი მოსარჩელის მიერ მოპასუხის სასარგებლოდ მორიგების აქტით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებე-

¹⁹ სუს განჩინება 14 ივნისი, 2019, №ას-836-2019.

ბის სრული მოცულობით შესრულების ფაქტი.

საკასაციონ სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენებას კანონმდებელი უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტივულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალობნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. სააპელაციო პალატის განჩინებით დამტკიცებული მხარეთა მორიგების პირობების თანახმად კი, არსებობს მოსარჩელისათვის სადაც კონკრეტული დაბრუნების ფაქტობრივასამართლებრივი წანამძღვრები, შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გაუქმებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს იმ განჩინების აღსრულებას, რომლითაც მხარეთა შორის მორიგება დამტკიცდა. ამდენად, სააპელაციო პალატამ სადაც ნივთზე უფლებრივი შეზღუდვის გაგრძელება და ამ გზით მესაკუთრისათვის საკუთრებით სარგებლობაში ხელშეშლა გაუმართლებლად არასწორად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა მოსარჩელის მიერ მორიგებით გათვალისწინებული თანხის გადახდის გარიგების დარღვევასთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს სადაც კონკაზე ყადაღის გაუქმების საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სარჩელის უზრუნველყოფის სადაც ლონისძიების გაუქმება მიზანშეწონილი არ არის არც იმ გარემოებაზე აპელირებით, რომ დაყადალებული უძრავი ნივთი გამოყენებულ უნდა იქნეს მოპასუხის ფულადი მოთხოვნის დაკმაყოფილების გარანტად. ამგვარი დანაწესი მხარეებს მორიგების პირობებში არ გაუთვალისწინებათ.

1.8. საკასაციო სასამართლომ მხარეთა საჩივრები არ დაკავყოფილა, სააპელაციო სასამართლოს განჩინებები უცვლელად დატოვა.

უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ მოთხოვნით წარმოებულ დავაში მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენებაზე განცხადებით მიმართა და მოით-

ხოვა მოპასუხის კუთვნილ სადავო მისამართზე მდებარე ფართზე ყადაღის დადება, მოპასუხისათვის აღნიშნული ქონების გასხვი-სების, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების აკ-რძალვა, უკანონოდ აშენებულ ფართში, კერძოდ, სადავო ნაგებო-ბებსა და აივანზე, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე სარესტორ-ნო საქმიანობის შეწყვეტა, ასევე – საჯარო რეესტრისთვის მოპა-სუხის სახელზე ზემოაღნიშნულ ფართთან დაკავშირებით რაიმე მარეგისტრირებელი ქმედების განხორციელების აკრძალვა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩი-ნებით მოსარჩელის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მო-პასუხეს აეკრძალა სადავო აივანზე და თანასაკუთრების მიწის ნაკ-ვეთზე რესტორნის საქმიანობა, ხოლო დანარჩენ მოთხოვნებზე მხარეს ეთქვა უარი.

განჩინება სააპელაციო სასამართლოში საჩივრით გაასაჩივრა ორი-ვე მხარემ. მხარეებმა სადავოდ გახადეს, ერთი მხრივ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონიერება, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გამოყენება-ზე უარის თქმის მართლზომიერება. სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საჩივრები, დაუსაბუთებ-ლობის გამო, საქმის მასალებთან ერთად გაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველად.

საკასაციო სასამართლომ მხარეთა საჩივრები არ დააკმაყოფილა²⁰ და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უცვლე-ლად დატოვა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემო-ებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიე-ბათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებასა და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება მიაჩნია მოსარ-ჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებუ-ლი ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციე-

²⁰ სუს განჩინება, 21 ოქტომბერი, 2016, №ას-958-923-2016.

ლებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება, დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ სასამართლოს შეუქმნას რწმენა.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას, შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების, თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვა მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსი-სა და პროპორციულობის პრინციპით უნდა განისაზღვროს. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოება-

ზე, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობასაც და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნულ დავაზე სამართლებრივ გავლენას ვერ მოახდენს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილისა (საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად) და ამავე ნორმის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულებისა კრძალვა) მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არჩევა დამოკიდებულია არა მხოლოდ მხარეზე, რომლის როლი აღნიშნულ პროცესში შემოიფარგლება დისპოზიციურობის დაცვით სასამართლოსათვის იმ სახის ღონისძიების გამოყენებაზე მითითებით, რომლითაც თავად სურს სარჩელის უზრუნველყოფა, არამედ, საბოლოოდ, გადამწყვეტია სასამართლოს შეფასება, მისი არჩევანი, თუ რომელი ღონისძიებითაა შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღწევა – სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გარანტირება. სასამართლოს ამგვარი უპირატესობა განპირობებულია იმით, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა, უზრუნველყოფის ღონისძიებით არ დაირღვეს სამართლიანი ბალანსი მხარეთა ინტერესების დაცვას, ასევე, დასაცავ სიკეთესა და უზრუნველყოფის შედეგად მხარის უფლების შეზღუდვას შორის.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მართებულად განხორციელდა და მხარეთა უფლება სამართლიანი სასამართლოს მიერ დავის განხილვაზე არ დარღვეულა („ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლი).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახის არჩევისას მნიშვნელოვანია დავის საგნის თავისებურებათა განსაზღვრა. ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ სარჩელებზე მეტად ეფექტურია უზრუნველყოფის სახით ქონებაზე ყადალის დადების ან მისი გასხვისების სხვაგვარი აკრძალვის გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მატე-

რიალური სიკეთის განკარგვა და ამ გზით ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება, თუმცა, როდესაც საუბარია უკანონო ხელშეწლის აღკვეთისა (ზეგატორულ) და უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ (სავინდიკაციო) სარჩელებზე (სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე მუხლები) ზემოთ მითითებული ღონისძიება არაეფექტურია და იწვევს მოპასუხისათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას, რაც დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო პალატის უარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების, საჯარო რეესტრისათვის მოპასუხის სახელზე სადაც ფართთან დაკავშირებით რაიმე მარეგისტრირებელი ქმედების განხორციელების აკრძალვის მოთხოვნაზე, ვინაიდან არც თავდაპირველი განცხადებით და არც გასაჩივრებულ განჩინებაზე შეტანილი საჩივრით არ დასტურდება, რომ ზემოაღნიშული სადაც ღონისძიებების გამოყენება რაიმე გავლენას იქონიებს სამომავლოდ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთ გარემოებად ვერ შეფასდება საჩივრის ავტორის მითითება, რომ მოპასუხება, შესაძლოა, სადაც ქონებაზე ისეთი გარიგება დადოს ან მოქმედება განახორციელოს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გააჭიანურებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. ქონებას ეყოლება ახალი მესაკუთრე, დამქირავებელი ან მოიჯარე და მათთან ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის კანონით გათვალისწინებული წესების დაცვას, მოპასუხის მიერ უკანონოდ აშენებული ნაგებობების მოშლას დასჭირდება გარკვეული დრო.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ არ არსებობს პირდაპირი კავშირი სასარჩელო მოთხოვნებსა (დავის საგანს) და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნილ ისეთ ღონისძიებას შორის, როგორიც არის ყადაღის დადება მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე, უკანონო ფართთან დაკავშირებით, მოპასუხის სახელზე საჯარო რეესტრისათვის დასარეგისტრირებლად რაიმე ქმედების აკრძალვა.

მოპასუხის საჩივრის განხილვისას საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება სსსკ-ის 199-ე მუხლის სასამართლოს

ინიციატივით გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ნორმა ეხება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას. მისი პირველი ნაწილის ძალით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება, მიადგეს ზარალი, მას შეუძლია, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება, გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზეც.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისაგან მოპასუხის თავდასაცავ მექანიზმს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ სახის ღონისძიების გამოყენების შედეგი მოპასუხისათვის ზიანის მომტანია. ასეთ დროს დასაშვებია, მოსარჩელეს მოეთხოვოს ობიექტურად სავარაუდო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სასამართლო საკუთარი ინიციატივით აამოქმედებს აღნიშნულ მექანიზმს მხოლოდ მაშინ, თუ მოპასუხისათვის ზიანის მიყენების საფრთხე აშკარაა, ნინააღმდეგ შემთხვევაში, მითითებული გარემოების სარწმუნოდ დადასტურების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება (სსკ-ის 102-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატას არ გააჩნდა ზემოთ დასახელებული ნორმის საკუთარი ინიციატივით გამოყენების ფაქტოპრივსამართლებრივი საფუძველი, ხოლო მხარეს შესაბამისი განცხადება ამ კუთხით არ წარუდგენია და ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის აუცილებლობა სათანადოდ არ დაუსაბუთებია.

1.9. ერთ-ერთ საქმეში²¹ საკასაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული მხარეთა შორის მორიგებით, დაფგინდა, რომ მოპასუხებმა მოსარჩელეს განსაზღვრული გრაფიკით უნდა გადაუხადონ გარკვეული თანხა, მორიგების პირობად დამტკიცდა კასატორების ქონებაზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადალის გაუქმება მორიგების აქტით გათვალისწინებული ფულადი თანხის სრულად გადახდისთანავე.

1.10. საკასაციო სასამართლომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ საჩივარი დაკმაყოფილა, ხოლო სააღსრულებო ფურცლის შეჩერებაზე განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მოსარჩელების სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ა(ა)იბს გარკვეული თანხის გადახდა დაეკისრა.

მუნიციპალიტეტმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმისწარმოების განახლება. ამ განცხადების უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 191-ე, 193-ე, 194-ე და 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, სადაც გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, მუნიციპალიტეტის განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც ამ უკანასკნელმა საჩივრით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, მუნიციპალიტეტის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება

²¹ სუს განჩინება, 29 ნოემბერი, 2017, №ას-1247-1167-2017 .

დაკმაყოფილდა, შეჩერდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მოსარჩელეების სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე მუნიციპალიტეტის განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინეს მოსარჩელეებმა. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 197¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით და მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და მოსარჩელეების სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით განახლდა საქმისნარმოება. ამრიგად, რადგანაც აღსასრულებელი გადაწყვეტილება გაუქმდა, რაც სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულების შეწყვეტის საფუძველია, არ არსებობდა საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები.

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელეთა საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმია გასაჩივრებული განჩინება და მუნიციპალიტეტის განცხადება სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერების შესახებ, არ დააკმაყოფილა.²² საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის, 419-ე, 420-ე, 199¹ მუხლების საფუძველზე აღნიშნა, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მოსარჩელეების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობისა და საქმისნარმოების განახლებაზე მუნიციპალიტეტის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ და მუნიციპალიტეტის განცხადება არ დაკმაყოფილდა, ამიტომ ამ განცხადებასთან დაკავშირებით გამოყენებული უზრუნველყოფის ლონისძიებებიც უნდა გაუქმდეს.

²² სუს განჩინება, 20 მარტი, 2018, №ას-269-269-2018.

1.11. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი ვადის გასვლის გა-
მო დაუშვებლად მიიჩნია, ხოლო საკასაციო სასამართლომ
დაუშვებლად ცნო და განუხილველად დატოვა, ამასთან
მიუთითა, რომ საჩივარი წარუმატებელიც იყო, ვინაიდან,
მოსარჩელის მოთხოვნა – ჩუქების ხელშეკრულების გა-
უქმება, რომლითაც მოპასუხემ დაირეგისტრირა საკუთ-
რების უფლება სადავო ქონებაზე, თავისი არსით, უარყო-
ფითი ხასიათის აღიარებითი ანუ დადგენითი მოთხოვნაა,
რომლისთვისაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყე-
ნება დაუშვებელია.

საქმის ფაბულის მიხედვით – რაიონული სასამართლოს კანონიერ
ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპასუხე ცნობილია უძრავი
ნივთის მესაკუთრედ და ბათილად არის ცნობილი ქონებაზე (შემ-
დეგში სადავო ქონება) მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგის-
ტრაცია საჯარო რეესტრში.

სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია მოსარჩელის სააპელაციო
საჩივარი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლი-
თაც მოთხოვნილია ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ა
რომლის საფუძველზეც, მოპასუხე მესაკუთრედაა რეგისტრირე-
ბული სადავო უძრავ ქონებაზე.

მოპასუხემ საჯარო რეესტრში განცხადებით მოითხოვა საკუთრე-
ბის უფლების რეგისტრაცია რაიონული სასამართლოს კანონიერ
ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოსარჩელის წარმომადგენლებმა შუამდგომლობით მიმართეს სა-
აპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს „სააპელაციო საჩივარზე
განხილვა-გადაწყვეტის დამთავრებამდე და მას შემდეგ საკასა-
ციონ წარმოების დასრულებამდე ვადით“, მოპასუხეს აკრძალვოდა
გარკვეულ ქმედებათა შესრულება, კერძოდ: ამ განჩინების პირ-
ველ პუნქტში მითითებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვე-
ტილების აღსრულება და საჯარო რეესტრისათვის მიმართვა შე-
ჩერებული სარეგისტრაციო წარმოების განახლების მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სარჩელის უზრუნველყო-
ფის თაობაზე მოსარჩელის განცხადება არ დაკმაყოფილდა. სასა-
მართლომ განჩინებაში მიუთითოთა საქართველოს სსსკ-ის 191-ე მუხ-
ლის პირველ ნაწილზე, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და „ი“ ქვე-

პუნქტებზე და დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადება (შუამდგომლობა) დაუსაბუთებელი იყო, რადგან მის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოთხოვნილი ღონისძიება, ფაქტობრივად გამოიწვევდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეჩერებას. განსახილველ შემთხვევაში, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი ამომწურავი შემთხვევა ვიდან არცერთი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით მოსარჩელის საჩივარი, ამავე სასამართლოს დაუშვებლად იქნა მიჩნეული იმ დასაბუთებით, რომ, სსსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა, რისთვისაც კანონით დადგენილი 5-დღიანი ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან. მოსარჩელის საჩივარი, საქმესთან ერთად, გადაევზავნა საკასაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 197.1. მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე საჩივარი განუხილველად დატოვა დაუშვებლობის გამო.²³

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც იმპერატორულად ადგენს ფორმალურ წესებსა და ვადებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე დამოკიდებული ვერ იქნება.

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასება გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან, რაც მიუთითებს, რომ განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია. განჩინებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, დადგენილია, რომ მხარემ დაარღვია სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისათვის დადგენილი 5-დღიანი საპროცესო ვადა, რომლის აღდგენა კანონით დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეს რომც არ

²³ სუს განჩინება, 22 აპრილი, 2016, №ას-299-284-2016.

დაერღვია განჩინების გასაჩივრების 5-დღიანი ვადა, მის საჩივარს მაინც ვერ ექნებოდა წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნა – ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, რომლითაც მოპასუხემ დაირეგისტრირა საკუთრების უფლება სადაც ქონებაზე, თავისი არსით, უარყოფითი ხასიათის აღიარებითი, ანუ დაგენითი მოთხოვნაა, რომლისთვისაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისათვის დადგენილი 5-დღიანი საპროცესო ვადის დარღვევით, მოსარჩელემ თვითონვე გამოაცალა სამართლებრივი საფუძველი უზენაეს სასამართლოში გადმოგზავნილი საჩივრის განხილვას; საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ განიხილავს საჩივარს, რომელიც ჯერ კიდევ სააპელაციო სამართალნარმოების ეტაპზე ვადის დარღვევით იქნა წარდგენილი, რის გამოც იგი დაუშვებლად მიიჩნია.

1.12. საკასაციო სასამართლომ წაწილობრივ დააკმაყოფილა მოპასუხის საჩივარი, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაზე, გარკვეული თანხის ფარგლებში ყადაღა დატოვა საპანკო ანგარიშების წაწილზე, ხოლო მოპასუხის მეორე საჩივარი სრულად დააკმაყოფილა და საწარმოს მოპასუხის წილისა და უძრავი ქონების გასხვისების აკრძალვის მოთხოვნით მოსარჩელის განცხადება უარყო.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა წაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხის საჩივრების სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე, მოსარჩელემ წარმატებას მიაღწია წაწილობრივ, მისი დაკმაყოფილებული მოთხოვნის სახით. სარჩელის დაკმაყოფილებული წაწილის, ანუ მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისა და სადაც წაწილის – დაუკმაყოფილებელი სარჩელის უზრუნველყოფა მოსარჩელემ სააპელაციო საქმისწარმოების ეტაპზე მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო მოპასუხე საწარმოს ფულად სახსრებს 2 305 362 (ორი მილიონ სამას ხუთი ათას სამას სამოცდაორი) ლარის ფარგლებში კონკრეტულ საპანკო ანგარიშებზე.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მოსარჩელის განცხადებაც და მოპასუხე საწარმოს აეკრძალა შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალის 100% წილის გასხვისება და დატვირთვა (დაგირავება), ხოლო დავის დასრულებამდე, შვილობილი საწარმოს ბალანსზე არსებული უძრავი ქონების გასხვისების აკრძალვის თაობაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამავე განჩინებით დადგინდა მისი დაუყოვნებლივ აღსრულება და გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლომ ზემოთ მითითებულ ორივე განჩინებაზე წარდგენილი მოპასუხის საჩივრები არ დაკმაყოფილა და გადააგზავნა საკასაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საჩივარი, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის იმ განჩინების გაუქმების თაობაზე, რომლითაც დაყადალდა მოპასუხის ფულადი სახსრები 2 305 362 ლარის ფარგლებში, დააკმაყოფილა ნაწილობრივ, გასაჩივრებული განჩინებით უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული ყადაღა დარჩა მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებზე 700 000 აშშ დოლარის ფარგლებში. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით დადებული ყადაღა მოეხსნა საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების გაუქმების თაობაზე მოპასუხის საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, კერძოდ, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა შვილობილ კომპანიაში საწესდებო კაპიტალის 100 % წილის გასხვისება, დატვირთვა (დაგირავება) და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოსარჩელის შუამდგომ-

ლობა არ დაკმაყოფილდა.²⁴

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, სსსკ-ის 191-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელებრ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ მყარი რწმენა. „აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტილისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების, თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვანი გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად“ – იხ. სუსგ № ას 1165-1095-2015, 25.11.2015.

საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების მსჯელობასა და დასკვნებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ მენარმე სუბიექტის საბანკო ანგარიშების დაყადალებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს სასამართლო, რადგან იმთავითვე პრეზუმირებულია, რომ ეკონომიკურ მოვებაზე ორიენტირებული იურიდიული პირი, სამენამე თავისუფლების ფარგლებში, მისი საბანკო ანგარიშების დაყადალებისას, იზღუდება ისეთ ქმედებებში, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მისი ფუნქციონირებისათვის (მა-

²⁴ სუს განჩინება, 2 ნოემბერი, 2016, №ას-956-921-2016.

გალითისათვის, საკუთარ თანამშრომლებთან, სხვა კონტრაპენტებთან არსებული ვალდებულებები და ა.შ). საპანკო ანგარიშების დაყადაღებით, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება ფულადი სახსრების განკარგვა, რაც მენარმეობის ხელისშემმლელი გარემოებაა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციაზე: „თუ სასამართლო **მიიჩნევს**, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება, მიადგეს ზარალი, **მას შეუძლია**, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, და, **იმავდროულად**, **მოსთხოვოს პირს**, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს მოწინააღმდეგებების განცხადების საფუძველზეც. აღნიშნული ნორმის დებულება წარმოადგენს მოპასუხების ინტერესების დაცვას და მიმართულია იმისკენ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის უმართებულობის შემთხვევაში, სათანადო იყოს უზრუნველყოფილი მოპასუხების უფლებები, რათა მას დაუსაბუთებლად არ მიადგეს ზიანი. აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება არა ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ მაშინ, როდესაც სასამართლოს ექმნება ვარაუდი შესაძლო ზიანზე. ზიანის დადგომის აღბათობა შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც უშუალოდ საქმის მასალებიდან, ისე მოპასუხების მითითებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოპასუხე, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება“ – სუსგ №ას-832-884-2011, 13.06.2011.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამენარმეო სუბიექტის საბანკო ანგარიშების დაყადაღებისას, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების დროს, საპელაციო სასამართლოს, რომელსაც საქმისწარმოების ამ ეტაპზე მიმართა მოსარჩელემ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, განჩინებაში არ უმსჯელია იმავდროულად მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე (სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომელიც უნდა მოეთხოვა პირისათვის, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. საპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ განჩინებაში ასეთი მსჯელობა და დასკვნები არაა ასახული. დასახელებული ნორმის შინაარსი-დან გამომდინარე, დადგენილია სასამართლოს დისკრეციული

უფლებამოსილება, რომელმაც უნდა შეაფასოს სარჩელის უზ-
რუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართებულობის სა-
კითხი, ცხადია, ამ საპროცესოსამართლებრივი ეტაპის მიხედ-
ვით, არა საქმის არსებითი განხილვის, არამედ მოსარჩელის მოთ-
ხოვნის წარმატების შემთხვევაში, მისი აღსრულების შესაძლებ-
ლობის დაცვის ფარგლებში. სსსკ-ის 199-ე მუხლი, თითქოსდა იმ-
პერატიულად არ აღვენს სასამართლოს ამგვარ ვალდებულე-
ბას, მაგრამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს სასამარ-
თლოს მეტად სპეციფიკური დისკრეციული უფლებამოსილება,
კერძოდ, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყო-
ფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზა-
რალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღო-
ნისძიება. აღნიშნული დეფინიცია მოიცავს იმპერატიულ ელემენ-
ტსაც, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამო-
ყენების შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, მეორე მხარი-
სათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის
მიზნით, იმავდროულად უზრუნველყოფა მოსთხოვოს პირს, რო-
მელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესა-
ხებ. კანონმდებლის აღნიშნული ნება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირ-
ველ ნაწილში ფორმულირებულია ზედმიწვნითი სიზუსტით და
სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება ეხება სარჩე-
ლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწო-
ნილობის გადაწყვეტას, ხოლო, თუ ასეთი ღონისძიების გამოყე-
ნებას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, კანონმდებელი მაერთე-
ბელი, „და“ კავშირით ვალდებულებას ადგენს, რაც იმას ნიშნავს,
რომ სასამართლომ „იმავდროულად“ უნდა მოსთხოვოს მოსარ-
ჩელეს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყო-
ფა, როგორც მოწინააღმდეგე მხარის ინტერესის დამაბალანსე-
ბელი საპროცესოსამართლებრივი საშუალება. აღნიშნული და-
ნაწესი ერთგვარ სამართლებრივ ნონასწორობას ადგენს, ერთი
მხრივ, მოსარჩელის ინტერესის დაცვასა და, მეორე მხრივ, მო-
პასუხის შეზღუდულ უფლებას შორის.

სასამართლომ მიუთითა, რომ დასახელებული ნორმით დადგენი-
ლი დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლოს არ ათავისუფ-
ლებს ვალდებულებისაგან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძი-
ების გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასების შემდეგ, თუკი,
მიიჩნევს, რომ დასაბუთებულია ასეთი ღონისძიების გამოყენება,
იმავდროულად, სასამართლო კონტროლის ფარგლებში, მოპასუ-

ხის ინტერესების დაცვის მიზნით, იმსჯელოს შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფაზეც. **საქართველოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სასამართლომ, დავისა და მისი მონაწილე სუბიექტების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეძლოს მის ხელთ არსებული ყველა საპროცესოსამართლებრივი საშუალების გამოყენება. საკასაციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე²⁵ დაყრდნობით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ დავაში მართებულად დააკისრა მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა და მოსარჩელეს ვადაც კი განუსაზღვრა სასამართლების სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განსათვალებლად, ხოლო აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რადგან მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება (სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 პუნქტი).**

მსჯელობისა და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, როდესაც სამენარმეო სუბიექტის საბანკო ანგარიშებისათვის ყადაღის დადება მაღალი ალბათობით ქმნის პრეზუმაციას, რომისი საქმიანობა შეწყდება (პარალიზება), სასამართლო კონფრონლის ფარგლებში, უზრუნველყოფის ღონისძიების თანმდევი, მხარეთათვის თანაბარი რისკების გათვალისწინებით, სასამართლოებმა, რომლებიც გადაწყვეტენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს, უნდა იმსჯელონ მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების დამაბალანსებელი ბერკეტის გამოყენების თაობაზე, შესაბამისად, მოპასუხისათვის საჩივარი სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით მოპასუხისათვის განსაზღვრულია უფლებამოსილება, განცხადებით მოითხოვოს მისი უზრუნველყოფის გარანტია სასამართლოსაგან. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს არ მიუმართავს საკასაციო სასამართლოსათვის უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნით, შესაბამისად, სა-

²⁵ სუსგ 28 ივლისი, 2015, №ას-759-718-2015.

სამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, ამ კონტექსტით იმსჯელოს. სააპელაციო საქმისწარმოების ეტაპზე, მოპასუხეს უფლება ჰაჟქონდა, გამოყენებინა სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით დადგენილი შესაძლებლობა, რაღაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი სწორედ ამ ეტაპზე იქნა განხილული.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის განცხადებით (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ) პრაქტიკულად, მოთხოვნილია სარჩელის დაკავილებული ნაწილის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა (სსსკ-ის 271-ე მუხლი) და, იმავდროულად, სარჩელის უარყოფილი ნაწილი (რომელიც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა) უზრუნველყოფა (სსსკ-ის 191-ე, 198-ე მუხლები).

„საკასაციო პალატამ მიუჰთითა სსსკ-ის 271-ე მუხლზე, რომლის თანაბეჭდაც, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად... დასახელებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი რეგულირების ფარგლებში მოქცეულია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაც, ამავდროულად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუძლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველყოფილ იქნას გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასაბეჭიდის ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწერიგის აღსრულებამდე, სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართლწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული

გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ღონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედვე გვევლინება“ (**სუსგ №ას-69-63-2015, 19.03.2015**).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ უკვე დაკმაყოფილებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფადუნდა შენარჩუნდეს ადეკვატური და პროპორციული უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც გამოიხატება საქალაქო სასამართლოს მიერ მოსარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის – 700 000 აშშ დოლარის ფარგლებში მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე სააპელაციო სასამართლოს მიერ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სახით – ყადაღის შენარჩუნებით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც, რომლის მიხედვით, მოპასუხეს აეკრძალა შვილობილი სანარმოს 100% წილის განკარგვა (გასხვისება, დატვირთვა, დაგირავება), თუმცა აღნიშნული ღონისძიების გამოყენების მიზანშეწილობის დასაბუთებულობა არადამაჯერებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს განმეორებით მიმართა განცხადებით და ხელმეორედ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფა შემდეგი სახით: **სანარმოს აეკრძალოს შვილობილ სანარმოში საწესდებო კაპიტალის 100% წილის გასხვისება, დატვირთვა (დაგირავება), ასევე, აღნიშნული დავის დასრულებამდე, მოპასუხეს აეკრძალოს მის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების გასხვისება.** მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველია ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელემ ჩააბარა აღსრულების ეროვნულ ბიუროს აღსრულების მიზნით, ხოლო, მოგვიანებით, ბიუროს მიმართა წერილით და მოითხოვა ინფორმაცია, თურა თანხა ფიქსირდებოდა მოპასუხეს სანარმოს დაყადალებულ საბანკო ანგარიშებზე. ინფორმაციის კონფიდენციალურობის გამო მოსარჩელეს უარი ეთქვა მის გაცემაზე;

მოსარჩელეს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოპასუხე აპირებს, მიზერულ ფასად გაასხვისოს საკუთარი წილი შვილობილ სანარმოში,

რაც შეუძლებელს გახდის, საწარმოს 39% მფლობელი პარტნიორის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

საპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელის არ-გუმენტები და ნაწილობრივ დაკმაყოფილა მოთხოვნა, მოპასუხე საწარმოს აეკრძალა შეილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალის 100% წილის გასხვისება და დატვირთვა (დაგირავება).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია მოსარჩელის მიერ მეორედ წარდგენილი განცხა-დების დასაბუთებულობა, ისე დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა, ამას-თან, თავად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემო-ებები, რაც დადასტურებულია მოპასუხის საჩივარში აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი მტკაცებულებებით, მხოლოდ იმის ვარაუდის საფუძველს ქმნის, რომ მოპასუხე საწარმოს არაერთი ვალდებულება აქვს აღებული კონკრეტული პროექტების განსა-ხორციელებლად და მოსარჩელის დასაბუთება, თუკი საწარმო მი-ზერულ ფასად გაასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ წილს შეი-ლობილ საწარმოში, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შე-უძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება, ალოგიკურია, რადგან საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებ-ლობა დიდი ფინანსური რისკისა და კონკრეტული სანქციების და-კისრების წინაშე დააყენებს მოპასუხეს, ამდენად, მის მიერ შეი-ლობილი საწარმოს გასხვისების ვარაუდი დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

საკასაციო სასამართლოს აზრით, „კანონმდებელი სარჩელის უზ-რუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცე-ბის ტვირთს, მართალია, მოსარჩელეს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუ-მენტების ანალიზის საფუძველზე უზრდაშეექმნას დასაბუთებული ვა-რაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილი იქნას სარჩელი, ამასთან, მი-უხედავად შუამდგომლობის ავტორის მითითებისა, თუ სასა-მართლო მიიჩნევს, რომ საჭიროა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იგი არაა შეზღუდული, თავად გადაწყვიტოს უზ-რუნველყოფის რომელი ღონისძიება იქნება უფრო ეფექტური. აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა კი სწორედ უზ-რუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტე-რესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძვლიანობის

ნინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლიობაში განხილვა-გადაწყვეტაა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული მოქმედებები პირდაპირ უკავშირდება რა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს და მხარეთა მატერიალურ უფლებებს, მასთან დაკავშირებული რის კი მომეტებულია, რის გამოც სასამართლოს განსაკითხის მაქსიმალურად სწრაფი და სწორი გადაწყვეტისთვის სპეციფიკური და განსაკუთრებული საკანონდებლოდანაწებია გათვალისწინებული“ – (სუსვ №ას-1185-1114-2012, 13.11.2012, ასევე, სუსვ №ას-1227-1156-2012, 08.11.2012**)**

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვება რეალურ საფრთხეს წარმოადგენს სანარმოს ფუნქციონირებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის, ამიტომ საკასაციო სასამართლომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკამაყოფილა და შედეგად, 700 000 აშშ დოლარის გარდა, სხვა ნაწილში გააუქმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და მის საფუძველზე იმავე დღეს გაცემული სააღსრულებო ფურცელი, ასევე, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა შვილობილ კომპანიაში საწესდებო კაპიტალის 100% წილის გასხვისება, დატვირთვა (დაგირავება) და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოსარჩელის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილა.

1.13. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე პაციენტის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი და, პაციენტის სასარგებლოდ, კლინიკას დაეკისრა, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა პაციენტმა და მოითხოვა ამავე სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა შემდეგ გარემოებებზე მითითებით: არსებული ვითარებით, კლინიკის

წინააღმდეგ მიმდინარეობს სხვა სასამართლო დავებიც, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოს განჩინებით აკრძალულია მოპასუხის სხვადასხვა ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, მოწინააღმდეგე მხარეს აქვს საგადასახადო ვალდებულებებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ვარაუდობს, რომ მოწინააღმდეგის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით – პაციენტის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსასრულებლად გადაცემის საკითხზე მსჯელობისას, უნდა დადგინდეს გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს თუ არა მხარეს. ამასთან, ამ გარემოების დამტკიცების ტევითი ეკისრება შუამდგომლობის აღმძვრელ პირს. სასამართლომ უარი უნდა თქვას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე, თუ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვერ დაამტკიცებს ზემოთ მითითებულ გარემოებებს ან, თუ შეუძლებელი იქნება იმ ზარალის (ზიანის) გამოთვლა, რომელიც შეიძლება, მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც დაუყოვნებლივ აღსრულების მომთხოვნი პირი ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

სასამართლომ განმცხადებლის მოტივაციაზე მსჯელობისას, მიიჩნია, რომ მარტოოდენ მითითება მოსალოდნელ ზიანზე, არ ნარმოადგენს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საფუძველს, ხოლო დასახელებული გარემოების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები განმცხადებელს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

საკასაციო სასამართლომ პაციენტის კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა,²⁶ ვინაიდან მიიჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია სამართლებრივად დაუსაბუთებელია და ვერ აპათილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ პაციენტისათვის სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებულ არგუმენტებსა და სამართლებრივ დასაბუთებას.

²⁶ სუს განჩინება, 29 იანვარი, 2016, №ას-1102-1038-2015.

სასამართლომ ამასთან, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ კლინიკის საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა დაუშვებლობის გამო. შესაბამისად, მითითებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში (სსსკ-ის 264-ე, 266-ე მუხლები), რაც, კანონის შესაბამისად, მისი აღსრულებისა და პაციენტის ინტერესის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია, შესაბამისად, კერძო საჩივრის პრეტენზიას, მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივი დასაბუთებაც გამოეცალა, რაც მისი უარყოფის საფუძველია.

1.14. საკასაციო სასამართლომ პირველი მოპასუხის საჩივარი განუხილველად დატოვა, მეორე მოპასუხის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილა, ხოლო მესამე მოპასუხის საჩივარი ხელახლა განსახილველად დაბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩევემ თოთხმეტი მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სარჩევლით მოითხოვა მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 85 000 აშშ დოლარის დაკისრება.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მოპასუხეებს, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 55 000 აშშ დოლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩევემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვა პირველი, მეორე და მესამე მოპასუხეების საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება. განმცხადებელმა თავისი მოთხოვნა იმ გარემოებაზე დააფუძნა, რომ შეიძლებოდა, მოპასუხეებს გაესხვისებინათ თავიანთ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რაც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: პირველ, მეო-

რე და მესამე მოპასუხეებს აეკრძალა სხვადასხვა უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა;

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ ვითარებაში, როდე-საც მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცვა შესაძლებელი იყო გაცილებით ნაკლები შეზღუდვის მქონე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენება. გასხვისების აკრძალვით, ერთი მხრივ, დავის საგნის აუცილებლობიდან გამომდინარე დაცული იქნებოდა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი და, მეორე მხრივ, მოპასუხის კანონიერი ინტერესი არ შეიზღუდებოდა. აღნიშნული სახით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ორივე მხარის ინტერესებს დაბალანსებდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებულ განჩინებაზე საჩივრები შეიტანეს პირველმა, მეორე და მესამე მოპასუხეებმა. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ისინი საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით პირველი მოპასუხის საჩივრარი სრულად, ხოლო მეორე და მესამე მოპასუხეების საჩივრები ნაწილობრივ და კმაყოფილდა²⁷ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განუხილველად უნდა დაეტოვებინა პირველი მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე ყადალის დადების შესახებ მოსარჩელის განცხადება. ასეთი დასკვენა გამომდინარებს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესიდან (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვთ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე განჩინება). სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით). საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმა კრძალავს სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე სასამართლოსათვის განმეორებით მიმართვის შესაძლებლობას,

²⁷ სუს განჩინება, 31 მარტი, 2017, №ას-1109-1066-2016.

თუ პირველად მიმართვისას, სარჩელის უზრუნველყოფისგანცხა-დება არ დაკმაყოფილდა და, ამასთან, მოთხოვნილია იმავე სახის უზრუნველყოფის ღონისძიება იმავე საფუძვლით. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მოსარჩელის განცხადება, კერძოდ, პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის დადებაზე, არ დაკმაყოფილდა, ხოლო, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, მოსარჩელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში (სსსკ-ის 419.3 მუხლი, 264.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში მოსარჩელე იმავე ქონებაზე და იმავე საფუძვლით, მოითხოვს ყადაღის დადებას, როგორც – ადრე შეტანილი განცხადებით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, დაუშვებელი იყო მოსარჩელის განცხადების როგორც სრულად, ასევე – წაწილობრივ დაკმაყოფილება, ვინაიდან ეს განცხადება საერთოდ არ უნდა განეხილა სასამართლოს. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსარჩელის განცხადება განუხილველად უნდა დარჩეს, ვინაიდან მოსარჩელემ იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით (სსსკ-ის 187.2 მუხლი).

საკასაციო პალატამ წაწილობრივ საფუძვლიანად მიიჩნია მეორე მოპასუხის საჩივარი, კერძოდ: პალატამ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უძრავი ქონება, რომლის მიმართაც გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, არ წარმოადგენს მეორე მოპასუხის საკუთრებას. საქმის მასალების მიხედვით, უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული უძრავი ქონების მესაკუთრე არ არის მოცემულ საქმეში მეორე მოპასუხედ დასახელებული პირი, ვინაიდან მათი პირადი ნომრები ერთმანეთს არ ემთხვევა.

პალატა დაეთანხმა საჩივრის ავტორის მოსაზრებასაც იმის შესახებ, რომ მეორე უძრავი ქონება, რომლის მიმართაც გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, აგრეთვე, არ არის

მეორე მოპასუხის საკუთრება, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, რომლითაც იხელმძღვანელა სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებული უძრავი ქონების მესაკუთრეს ნამდვილად წარმოადგენდა მეორე მოპასუხე, მაგრამ გასაჩივრებული განჩინების მიღების დროს ეს უკანასკნელი უკვე აღარ იყო მითითებული ქონების მესაკუთრე. სადაც უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებულია სხვა ფიზიკური პირი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს მითითებულ უძრავ ქონებაზე და ამ ნაწილში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოსარჩელის განცხადებარ უნდა დაკავშირდეს (სსსკ-ის 411-ე მუხლი), ვინაიდან ამ ქონების მესაკუთრები განსახილველ დავაში არ არიან მოპასუხეები, ეს კი ენინააღმდეგება სსსკ-ის 198.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესას, რომლის მიხედვით, მხოლოდ მოპასუხეს შეიძლება, აეკრძალოს გარკვეული მოქმედების შესრულება.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მეორე მოპასუხის საჩივრის სხვა პრეტენზიები და დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სარჩელის საფუძვლიანობა საქმის არსებითი განხილვის დროს უნდა შემოწმდეს, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვის ეტაპზე საკმარისია, არსებობდეს ვარაუდი, რომ სარჩელი შეიძლება, დაკამაყოფილდეს. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ასეთი ვარაუდი, საქართველოს სსსკ-ის 629-ე, 352-ე, 405-ე და 937-ე მუხლების საფუძველზე, შეიძლება დაეფუძნოს ბინათმებურბლობის ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) შესახებ ხელშეკრულებას, სადაც ამხანაგობის დამფუძნებელ და გამგეობის ერთ-ერთ წევრად მითითებულია მეორე მოპასუხე. ცხადია, საქმის არსებითი განხილვის დროს ეს მტკიცებულება უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად, მეორე მოპასუხის ახსნა-განმარტების ჩათვლით და ისე იქნეს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, რომელზედაც გავლენას ვერ მოახდენს სარჩელის დაკამაყოფილების შესახებ არსებული ზემოხსენებული ვარაუდი (სსსკ-ის 191.1 მუხლი). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ოთხი უძრავი ქონების მიმართ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ნაწილში გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნაწილობრივ საფუძვლიანია მე-სამე მოპასუხის საჩივარი, ვინაიდან, პალატის მოსაზრებით, ამუკა-ნასკნელის მიმართ გამოკვეთილი არაა სარჩელის შესაძლო დაკ-მაყოფილების ვარაუდი, კერძოდ, მესამე მოპასუხის მიმართ მო-სარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ მესა-მე მოპასუხე ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) დამფუძნე-ბელი წევრია და, შესაბამისად, მან პასუხი უნდა აკოს მოსარჩელის წინაშე სსკ-ის 937-ე მუხლის საფუძველზე. პალატამ აღნიშნა, რომ მესამე მოპასუხესა და ამხანაგობას შორის დადებული გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით ასე-თი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, ვინაიდან, ამ ხელშეკრუ-ლების მიხედვით, მესამე მოპასუხემ ამხანაგობას მიჰყიდა კუთ-ვნილი მიწის ნაკვეთი. ცხადია, ნასყიდობის ხელშეკრულება არ წარ-მოშობს ამხანაგობის წევრობას და მასთან დაკავშირებულ უფლე-ბა-მოვალეობებს, რაც გამორიცხავს მესამე მოპასუხის პასუხის-მგებლობას სსკ-ის 937-ე მუხლის საფუძველზე. ამასთან, საკასა-ციო პალატის მოსაზრებით, თუ სააპელაციო სასამართლო მაინც დაუშვებს სარჩელის დაკავილების ვარაუდს, მაშინ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, სსკ-ის 199-ე მუხ-ლის მიხედვით, მან უნდა იმსჯელოს მესამე მოპასუხის განცხა-დებაზე უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების შესახებ. მი-თითებული განცხადების საფუძვლიანობაზე საკასაციო პალატამ ვერ იმსჯელა, ვინაიდან ეს განცხადება სააპელაციო სასამართლოს არ განუხილავს და შესაბამისი დასკვნებიც არ გამოუტანია. ამდე-ნად, საკასაციო პალატამ მესამე მოპასუხის ნაწილში გასაჩივრე-ბული განჩინება გააუქმა და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილ-ველად დაუბრუხა იძავე სასამართლოს (სსკ-ის 412-ე მუხლი).

1.15. უზენაესი სასამართლოს განჩინებით – გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმისწარმოების განახლების თაობაზე განცხადება არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის შუამდგომლობაც საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადების უზრუნველყოფაზე.²⁸

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვისას პირის უფლებადამცავ ნორმას წარმოადგენს სსკ-ის 432-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, საქმის განახლების შესახებ განცხადება ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების იძულებით დასრულება იმაზე იქნება დამოკიდებული, გასცემს თუ არა საქმისწარმოების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადაც უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო მამკვიდრებლის სახელზე, შესაბამისად, ხსენებული ნორმა, თეორიული თვალსაზრისით, ვერ დაიცავდა განმცხადებლის უფლებას. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის შეფასება სსკ-ის 191-ე მუხლის ფარგლებში. დასახელებული ნორმის წინაპირობები კი, შემდეგია: განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის კონკრეტული ლონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ფორმალურსამართლებრივი თვალსაზრისით უნდა იკვეთობოდეს მოთხოვნის წარმატებულობა. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ წარდგენილი ამონანერით უძრავ ქონებაზე დასტურდება, რომ ნივთი გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებული, ამასთანავე, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ არც სამკვიდროს მიღების კანონისმიერი ვადაა გასული და არც რომელიმე მემკვიდრეს არ მიუღია სამკვიდრო,²⁹ შესაბამისად, განმცხადებლის ვარაუდ, რომ შესაძლებელია, ქონება გასხვისდეს, ხოლო გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულება შეუძლებელი გახდეს, გაუმართლებელია, უფრო მეტიც, ვინაიდან განცხადება, პროცესუალური თვალსაზრისით, უსაფუძვლოა, განცხადების უზრუნველყოფის აუცილებლობის თაობაზე მისი მტკიცების გაზიარება სსკ-ის 191-ე მუხლის კონტექსტითაც დაუშვებელია, რაც ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

²⁸ სუს განჩინება, 31 იანვარი, 2019, №ა-3811-ბ-9-2018.

²⁹ იხ. სსკ-ის 1421-ე მუხლი.

1.16. საკასაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა, მოსარგებლის მიერ დაკავებული უძრავი ნივთის ნაწილზე დადგენილი გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა უცვლელად დარჩა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარე (მოსარგებლე) რეალურად ითხოვდა გადაწყვეტილების აღსრულებისა და არა სარჩელის უზრუნველყოფას, თუმცა აღნიშნული მოსარჩელის საჩივრის ბეჭდს არ ცვლის და მისი დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარგებლე ცნობილ იქნა საცხოვრებელ სახლში მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ – მოსარჩელისთვის გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ.

მხარეთა სააპელაციო საჩივრებზე სამართალწარმოების ეტაპზე მოსარგებლის განცხადება, მოსარჩელის უძრავი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის მოთხოვნით, დაკმაყოფილდა. აღნიშნულ განჩინებაზე მოსარჩელის საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, ნაწილობრივ გაუქმდა გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს აეკრძალა მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების მოსარგებლის (მოპასუხის) მიერ დაკავებული ფართის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქმე განსახილველად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ საჩივარი დაუსაბუთებლად მიიჩნია და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვა.³⁰

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თავდაპირველი სარჩელით მოთხოვნილია კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ მფლობელობის შეწყვეტა, ხოლო შეგებებული სარჩელის საგანს, თანხის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების გადაცემა წარმოადგენს. უდავოა ისიც, რომ პირველი ინსტანციის სასა-

³⁰ სუს განჩინება, 16 დეკემბერი, 2019, №ას-1609-2019.

მართლომ თავდაპირველი სარჩელი უარყო, ხოლო შეგებებული სარჩელი დააკმაყოფილა და სწორედ შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, პალატამ დაასკვნა, რომ შეფასების საგანს არა სარჩელის, არამედ – გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს, თუმცა, ხსენებული საპროცესო დარღვევა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საჩივრის წარმატებას ვერ დაედება საფუძვლად, რადგანაც, ამავე კოდექსით სასამართლოს შეუძლია, უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნებს ადგენს რა სსსკ-ის 191-ე მუხლი, იგი წარმოადგენს ამ მიზნის მიღწევის დროებით და ეფექტურ სამუალებას, რომელიც რეალიზებული უფლების აღსრულების ხელშეწყობას ემსახურება და უნდა არსებობდეს მანამ, ვიდრე გამოკვეთილია მართლმსაჯულების ინტერესის დაცვის კრიტიკული აუცილებლობა, თუმცა, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოთხოვნის წარმატებულობის ვარაუდს, ბუნებრივია, არსებობს მისი გაუქმებისა თუ შეცვლის დიდი შესაძლებლობაც. ასეთ პირობებში კი, მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული წონასწორობის დაცვის საჭიროება თავად განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს, კერძოდ, სასამართლო, რომელიც დაადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას, გალდებულია, შეაფასოს უზრუნველყოფის გამოყენებული საშუალების მასშტაბებიც და დაიცვას თანაზომიერება მხარეთა ინტერესებს შორის.

საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა, რომ ზოგადად არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენების წინაპირობა, რამდენადაც შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თანხის გადახდის სანაცვლოდ არსებობს სანივთო უფლების გადაცემის წინაპირობები, ამასთან, სსსკ-ის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე, ვინაიდან რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრე დავის განმავლობაში უფლებამოსილია, განკარგოს დავის საგანი, ნივთის გასხვისება ან მისი უფლებრივი დატვირთვა მართლაც გაართულებს გადაწყვეტილების აღ-

სრულებას მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში. ამგვარი მოცემულობისას, სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მოპასუხეს კანონიერად შეუზღუდა დავის საგნის გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის უფლება (ვინაიდან იპოთეკა გარდამავალი უფლებაა და მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში შეგებებულ მოსარჩელეს გადაეცემა უფლებრივად ნაკლიანი ნივთი, გარდა ამისა, მესაკუთრის ცვლილება, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს კანონის 2.2. მუხლის თანხმად, არ გამორიცხავს მართლზომიერი მოსარგებლის უფლებებს, თუმცა უფლებამონაცვლეობის თაობაზე სამართალწარმოების გაგრძელება და კავშირებულია გარკვეულ დროსთანაც, რაც უფლების რეალიზაციის ხელისშემსლელ მექანიზმად შეიძლება გამოიყენოს არაკეთილსინდისიერმა მხარემ).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო საპროცესო შეზღუდვები მართებულად გაავრცელა ქონების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეგებებული სარჩელის საგანს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივარში გამოთქმული შედაგება, რომ ქონება სხვა სარჩელის უზრუნველყოფის ფარგლებში ისედაცაა დატვირთული ვალდებულებით და აღნიშნა, რომ სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება, ემსახურებოდეს კონკრეტულ დავაზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობას. ფაქტობრივი თვალსაზრისით, შესაძლებელია იგი მართლაც ახდენდეს უფლების დარღვევის პრევენციას, თუმცა, სსსკ-ის 199¹ მუხლის თანხმად, თუკი სხვა საქმეზე მოსარჩელის ინტერესის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი, სასამართლო გააუქმებს უკვე გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას და ამ საქმეზე დღის წერიგში მაინც დადგება განსახილველი საკითხი.

1.17. საკასაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც მისი აღსრულება ობიექტურად შეუძლებელი არ გახდება.

საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით წარმოებულ დავაში მოსარჩელის განმარტებით, მხარეთა საერთო საკუთრებაში ირიცხება უძრავი ნივთი, რომლის კანონის მოთხოვნათა დაცვით ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა შეუძლებელია. ამდენად, საზიარო უფლება უნდა გაუქმდეს ქონების აუქციონზე გაყიდვისა და ამონაგების ნილების პროპორციულად განაწილების გზით. მოპასუხემ სარჩელი არ ცნონ და მიუთითა, რომ საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით შესაძლებელია.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ მოპასუხემ მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული სადავო ფართის კუთვნილი ნაწილი გაასხვისა მესამე პირზე (შემდგომ – მოპასუხის უფლებამონაცვლე). მხარემ მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული წილზე ყადალის დადება, რადგან არსებობს მაღალი ხარისხის ალბათობა, რომ აპელანტი კვლავაც გაასხვისებს ქონებას და ხელს შეუშლის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოსარჩელის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 372-ე, 191-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნასა და მოცემულ საქმეზე მის სასარჩელო მოთხოვნას შორის (დავის საგანს) შორის არ არსებობს პირდაპირი კავშირი და მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა ვერ გააძნელებს, მით უფრო, შეუძლებელს ვერ გახდის ნინამდებარე საქმეზე მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის პირობებში აპელანტს შესაძლებლობა აქვს, გაასხვისოს უძრავი ქონება, რითაც ხელს შეუშლის და დააბრკოლებს გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც ენინააღმდეგება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დარჩენის შემთხვევაში მოსარჩელე იძულებული გახდება, ყველა ეტაპზე მოითხოვოს უფლებამონაცვლის დადგენა, რითაც გაჭიანურდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოსარჩელის საჩივარს ეთქვა უარი და საქმე მასალებთან ერთად განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საჩივარი უარყოფილ იქნა³¹ შემდეგი მოტივაციით:

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებელმა მოითხოვა, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხეს აეკრძალოს მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი და კმაყოფილდა, გაუქმდა საზიარო უფლება მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაზე მისი რეალიზაციისა და ამონაგები თანხის თანაბარნილად მხარეთა შორის გაყოფის გზით. მოსარჩელის მითითებით, ირკვევა, რომ მოპასუხემ გაასხვისა კუთვნილი წილი, რის საფუძველზეც მოსარჩელემ მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფა, რადგან მოპასუხის მიერ კუთვნილი უძრავი ნივთის კვლავ გასხვისების ალბათობა არსებობს და მოსარჩელეს სჭირდება სასამართლოსათვის მიმართვა მოპასუხის უფლებამონაცვლის ჩასაბმელად, რაცგამოიწვეს საქმისნარმოების გაჭიანურებას.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მსჯელობა და მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარე-

³¹ სუს განჩინება, 1 ოქტომბერი, 2019, №ას-1220-2019.

მოება არ წარმოადგენს მოპასუხისათვის საკუთრების უფლების შეზღუდვის დაწესების საქმარის წინაპირობას, რადგან განცხადებაში ასახული გარემოება მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც მის აღსრულებას ობიექტურად მეუძღველს არ გახდის.

1.1. მოთხოვნის უზრუნველყოფა არამატერიალური ქონებით

(სსსკ-ის 198.3)

1.1.1. საკასაციო სასამართლოს განჩინებით მოპასუხის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის მოთხოვნის უფლებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსარჩელის (კატორის) განცხადება დაკმაყოფილდა.

საიჯარო ქირის დაკისრების მოთხოვნით აღძრული სარჩელი, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ, დაკმაყოფილდა. მოპასუხის საკასაციო საჩივარზე საკასაციო სამართალწარმოება მიმდინარეობს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, იმავე მხარეებს შორის სხვა საქმეზე, მოპასუხის (მოცემულ საქმეზე) მიერ განმცხადებლის წინააღმდეგ უძრავი ქონების სარემონტო-სარეკონსტრუქციო ხარჯის დაკისრების მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე, კერძოდ, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და განმცხადებელს, კასატორის სასარგებლოდ, დაეკისრა სარემონტო-სარეკონსტრუქციო ხარჯი – 114 258 ლარისა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 798.90 ლარის გადახდა. მითითებული სარჩელი უზრუნველყოფილი იყო, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ბანკში განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე დადებული ყადაღის ნაწილში შეიცვალა იმგვარად, რომ ყადაღა დაედო აღნიშნულ ანგარიშზე რიცხულ ფულად სახ-

სრებს 120 000 ლარის ფარგლებში.

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება – საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპა-სუხის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის მოთხოვნის უფლე-ბაზე ყადალის დადება, კერძოდ კი, მოსარჩელის საბანკო ანგა-რიშე არსებული ყადალადადებული თანხიდან 9 495 აშშ დო-ლარის ეკვივალენტი ლარის მოთხოვნის უფლებაზე ყადალის დადება. განმცხადებლის მითითებით, ეს არის მოპასუხის ერთა-დერთი აქტივი. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყე-ნების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ კასატორმა მხა-რეთა შორის დავების არსებობისას, მოასწრო და გაასხვისა საკუთ-რებაში არსებული რამდენიმე უძრავი ქონება, რითაც, პრაქტიკუ-ლად, გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახადა.

საკასაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიე-ბის გამოყენების თაობაზე მოსარჩელის განცხადება დააკმაყოფი-ლა,³² რადგან მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძი-ების გამოყენება აუცილებელია, რათა დაზღვეულ იქნეს მოსარჩე-ლე გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებ-ლობისაგან შემდეგი მოტივაციით:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის XXIII თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფ-ლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციე-ლების სწრაფ და ეფექტურ საპროცესოსამართლებრივ გარან-ტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენე-ბას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასა-მართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრუ-ლება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნ-ველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფ-ლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობე-ბის შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნ-ველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კონცენტრი-რებულია სსსკ-ის 191-ე მუხლში, კერძოდ კი, იმ წინადადებაში,

³² სუს განჩინება, 31 ოქტომბერი, 2019, №ას-1601-2019.

რომლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სათანადოდ დაასაბუთა იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, კერძოდ, განმცხადებლის მითითებით, საქალაქო სასამართლოს განჩინებით მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. განჩინება ვერ აღსრულდა, რამდენადაც მოპასუხემ მოასწრო ქონების გასხვისება – იმავე წელს მან ბინა თავის შვილს აჩუქა. გარდა ამისა, საქალაქო სასამართლოს განჩინებით სარჩელის აღდვრამდე უზრუნველყოფა იქნა გამოყენებული მოპასუხის 100%-იან წილზე შპს-ში. საქმის განხილვის დაწყებამდე კი, აღმოჩნდა, რომ ქონებრივი ღირებულება ყადაღადადებულმა წილმა დაკარგა, რამდენადაც საწარმომ ქონება გაასხვისა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი სარჩელის უზრუნველყოფის სახედ ითვალისწინებს მოპასუხის კუთვნილ ფულად სახსრებზე ყადაღის დადებას. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც განმცხადებელს დაეკისრა 115 056.9 ლარის გადახდა მოპასუხის (მოცემულ დავაში) სასარგებლოდ, აღსრულებული არ არის. შესაბამისად, დაკისრებული თანხა მოპასუხის საკუთრებაში არ გადასულა, თუმცა, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით სწორედ ამ სასარჩელო მოთხოვ-

ნის უზრუნველსაყოფად დაედო ყადაღა მოპასუხის კუთვნილ 120 000 ლარს, ნათელია, რომ ალსრულდება განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე ყადაღადადებული თანხიდან. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა წარმოადგენს მის ერთადერთ აქტივს (მოპასუხის სახელზე არ ირიცხება არცერთი ქონება), საკასაციო პალატამ სსსკ-ის 198.3 (სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის) მუხლის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია, ისეთი ღონისძიების გამოყენება, რაც აუცილებელია განსახილველი სარჩელის უზრუნველყოფისათვის, კერძოდ, აღმასრულებელს დაევალა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ალსრულებისას განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე არსებული, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით ყადაღადადებული, 120 000 ლარიდან 115 056.9 ლარის მოპასუხისათვის გადაცემისას, ყადაღა დაადოს 9 495 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს და შეიტანოს ალსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე. სასამართლომ მიუთითა, რომ აღმასრულებლისათვის ასეთი ვალდებულების დაკისრების სამართლებრივ საფუძველს სსსკ-ის 198.3 მუხლთან ერთად ქმნის, ასევე – „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი (აღმასრულებელს ყადაღადადებული ფული დაუყოვნებლივ შეაქვს ალსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე).

2. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა

(„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი, სსსკ-ის 356¹⁸-ე, 192-ე, 198-ე, 191-ე მუხლები)

2.1. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ყადაღა დაედო მოვალის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთს.

საარბიტრაჟო სარჩელის მიხედვით მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული „ოვერდრაფტით სარგებლობის შესახებ“ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულება მოვალემ დაარღვია, რის გამოც მას საარბიტრაჟო მოსარჩელის მიმართ დავალიანება ეკისრება. მოსარჩელემ (კრედიტორმა) განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და სსსკ-ის (შემდეგში – სსსკ) 356¹⁸-ე, 191-ე მუხლების თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სს-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 356¹², 356¹³, 356¹⁸, 192-ე, 198-ე, 191-ე მუხლებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის დავის საგანია მოპასუხისათვის 1 616.78 ლარის დაკისრება. სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებლის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოთხოვნილი ღონისძიება არ არის დავის საგანთან დაკავშირებით ადეკვატური. მოთხოვნილ დავალიანებას მკვეთრად აღმატება უზრუნველყოფის საგნის ფასი, ასეთ ვითარებაში დაუსაბუთებელია ვარაუდი იმის შესახებ, რომ საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება გადაწყვეტილების აღსრულება.

ზემოხსენებულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა საარბიტრაჟო მოსარჩელემ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და განცხადების დაკმაყოფილების მოთხოვნით.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია გადაწყვეტილება აღუსრულებელი არ დარჩეს, გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილში მართლმსაჯულება ეფექტური იყოს, აღსრულება არ გაჭიანურდეს. კრედიტორი მიიჩნევს, რომ მის მიერ წარდგენილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა წათელია, რადგან მოვალე განმცხადებლის წინაშე წაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს, ლოგიკურია ვარაუდი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც არ შეასრულებს გადაწყვეტილებას ნებაყოფლობით. საარბიტრაჟო მოსარჩელე მსსკ-ის 191-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ პროპორციულობის პრინციპზე მსჯელობისასუნდა გათვალისწინდეს არა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შესაბამისობა უზრუნველყოფის საგანთან, არამედ საკუთრების შეზღუდვა პასუხობს თუ არა დასასულ მიზანს, საკუთრების უფლების შეზღუდვით შესაძლებელი იქნება თუ არა გადაწყვეტილების აღსრულება. საჩივრის ავტორმა კანონით გათვალისწინებულ შესაძლებლობაზე მიუთითა, რომლითაც მოპასუხეს შეუძლია, დავის საგნის ტოლფასი სხვა ქონება შესთავაზოს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ყადაღა დაედო მოვალის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთს.³³

საკასაციო სასამართლომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად დაუდო შემდეგი მსჯელობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსსკ-ის 356¹⁸-ე, 192-ე, 198-ე, 191-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. იმისთვის, რომ სარ-

³³ სუს განჩინება, 6 ივნისი, 2019, №ას-54-2019.

ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იქნეს გამოყენებული, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და, ასევე, მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომლებიც განმცხადებელს მიზანშეწონილად და გამართლებულად მიაჩინა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ, შესაძლოა, მოპასუხებ სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღნევის მიზნით შეასრულოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლო არ იკვლევს სარჩელის საფუძვლიანობასა და მის დასაბუთებულობას, არამედ ხელმძღვანელობს სამართლებრივი დასკვნით, რომ, შესაძლოა, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს (შდრ. სუსგ №ას-16-354-09, 05.02.09 წ).

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითად დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს კონკვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. საქმეშპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“). სხვა საქმეში ევროსა-სამართლოს განმარტებით, სასამართლოსათვის სარჩელის ნარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ – ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება (იხ. Hornsby, cited above, §§ 40 and seq.).

სასამართლოს აზრით, ვინაიდან, სარჩელის დავის საგანია თანხების დაკისრება და სარჩელი არის მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებითი, ეს ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე, არამედ მოპასუხის ნებაზეც – განახორციელოს გარკვეული მოქმედება, გადაიხადოს დაკისრებული თანხა. თანხის გადახდის თაობაზე ნების არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგი დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა – იძულებითი აღსრულება.

სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან შეუზღუდავია მესაკუთრის ნება, განახორციელოს საკუთარი ქონების მიმართ სამართლებრივი შედეგის მქონე მოქმედები, მაგალითად, გაყიდოს, გააჩუქოს და სხვა, მოცემულ შემთხვევაში, არ არის უსაფუძვლო, რომ საარბიტრაჟო მოპასუხის ქმედებით, სხვადასხვა მოტივით, უძრავი ქონება აღმოჩნდეს მესამე პირთა, შესაძლო კეთილსინდისიერ პირთა მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს ქონება, რომელზედაც შესაძლოა, მიქცეული იქნეს იძულებითი აღსრულება, გადაწყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადაწყვეტილებად, ხოლო სარჩელის მიზანი მიღწეული ვერ იქნება, შესაბამისად, განცხადება შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 198.1-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხს სასამართლო წყვეტს იმის მიხედვით, თუ როგორია სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი. საქმის გარემობებისა და სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, სასამართლომ მართებულად მიიჩნია საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მოთხოვილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რამდენადაც ამგვარი შეზღუდვით უზრუნველყოფილი იქნება საარბიტრაჟო მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების აღსრულება. საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ ქონება, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს უზრუნველყოფის ღონისძიება, მოვალის საკუთრებაა (სუსგ №ას-413-413-2018, 27.04.18).

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეზე გამოყენებული უზრუნველყოფის სახის დავის საგანთან ადეკვატურობის თაობაზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკა არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სარჩელი საერთოდ უზრუნველყოფის გარეშე დარჩეს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 196-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობას, რაც საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დასასვებია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუმცა ეს არ არის მხარის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება, გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (სუსკ №ას-498-478-2016, 28.07.2016).

ანალიგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული სხვა საქმეზე,³⁴ სადაც საკასაციო სასამართლომ დააკავაყოფილა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადება და დაადგინა ერთ-ერთი მოპასუხის საქუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა.

2.2. ამხანაგობამ მოითხოვა არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადალის გაუქმება, სააპელაციო სასამართლომ ამხანაგობის საჩივარი არ დააკავაყოფილა. საჩივრის ავტორის მითითებასთან დაკავშირებით, არბიტრაჟს შეჩერებული აქვს ფუნქციონირება, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მენარმე სუბიექტის საქმიანობის შეჩერებას.

საკასაციო სასამართლომ ამხანაგობის საჩივარი დააკავაყოფილა, გააუქმა განცხადების დაკავაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული განჩინება და ამხანაგობის მიერ წარდგენილი განცხადების – საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნ-

³⁴ სუს განჩინება, 27 აპრილი, 2018, №ას-413-413-2018.

ველყოფის ლონისძიების გაუქმებაზე საქმე სააპელაციო სასა-მართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხა-დებით მიმართეს ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა და მო-ითხოვეს არბიტრაჟის განჩინების გაუქმება და ამხანაგობის უძ-რავ ქონებაზე ამ განჩინებით გამოყენებული ყადაღის მოხსნა. სა-აპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინე-ბით განცხადება არ დაკმაყოფილდა. განჩინებაზე საჩივარი წარად-გინა საჩივრის ავტორმა (ამხანაგობამ). საჩივრის ავტორის განმარ-ტებით, გამსესხებელსა და მსესხებელს (ფიზიკურ პირებს) შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახ-მადაც გამსესხებელმა მსესხებელს გადასცა გარევეული თანხა, აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ამ-ხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. მსესხებელი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, რადგან მან ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება უკანონოდ დატვირთვა იპოთეკით, ხოლო გამსესხებელი ცნობილ იქნა დაზა-რალებულად.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამხანაგობამ თბილისის საქალა-ქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ვალდებულების არარსებო-ბის აღიარებისა და ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით. თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ამხანაგობის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნაწი-ლობრივ გაუქმდა 2007 წლის 14 ნოემბრის ხელშეკრულება იპოთე-კის ნაწილში და უძრავი ქონება უფლებრივი დატვირთვისგან გა-თავისუფლდა.

საქალაქო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენისას, აღ-მოჩნდა, რომ არბიტრაჟის განჩინების საფუძველზე უძრავ ქო-ნებაზე რეგისტრირებულია ყადაღა. საჩივრის ავტორის მითი-თებით, მან არბიტრაჟს მიმართა უზრუნველყოფის ლონისძიე-ბის გაუქმების მოთხოვნით, თუმცა ამხანაგობას ეცნობა, რომ არბიტრაჟს შეჩერებული აქვს ფუნქციონირება, რის გამოც სა-არბიტრაჟო საქმეებს არ განიხილავს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით – ამხანაგობის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და,

საქმის მასალებთან ერთად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 356¹²-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმებს სასამართლო განიხილავს ამავე კოდექსით დადგენილი წესებით, ხოლო, მეორე ნაწილის შესაბამისად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 191-ე მუხლით და განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება ავტომატურად არ წარმოშობს არბიტრაჟის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნის უფლებას, რადგან არბიტრაჟის განჩინებიდან დგინდება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულია ფიზიკურ პირებს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამოქალაქო დავაში, ხოლო არბიტრაჟი განსახილველი დავის საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულება როგორც იპოთეკის, ისე – სესხის ნაწილშიც, ასევე, უცნობია საარბიტრაჟო დავის შედეგი.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი, ასევე – სსსკ-ის 356¹³-ე, 356¹⁴-ე, 356¹⁵-ე მუხლები და აღნიშნა, რომ უძრავ ქონებაზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საკითხზე უნდა იმსჯელოს არბიტრაჟმა ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით. საჩივრის ავტორის მითითებაზე არბიტრაჟის ფუნქციონირების შეჩერების შესახებ, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მეწარმე სუბიექტის საქმიანობის შეჩერებას.

საკასაციო სასამართლომ საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული განჩინება და ამხანაგობის მიერ წარდგენილი განცხადების – საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე საქმე სააპელაციო სასამართლოს ხე-

ლახლა განსახილველად დაუბრუნა.³⁵

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, მხარეს შეუძლია, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, ხოლო დასახელებული ნორმის მე-3 ნაწილით, სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება სსსკ-ის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 199¹-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ამ მუხლით სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების წინაპირობებია განსაზღვრული. სააპელაციო სასამართლომ ისე უთხრა უარი საჩივრის აფთორს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე, რომ არ გამოკვლევია, არსებობდა თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების წინაპირობები, სასამართლოს არსებითად არც კი უმსჯელია უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძვლიანობაზე. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა და არცშეაფასა ამხანაგობის პრეტენზია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საფრთხესთან დაკავშირებით, ვინაიდან დავის განმხილველ არბიტრაჟს საქმიანობა შეჩერებული აქვს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამართალნარმოების მიზანი პირის დარღვეული უფლების დაცვა და აღდგენაა, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს. გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის სთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებითაც კი ვერ დაკმაყოფილდება მისი სამართლებრივი ონტერესი (იხ. სუსგ №ას-595-554-2017, 15.12.2017). საქმის განხილვის შედეგის აღსრულება მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად შეასრულა საჩივრის ავტორმა მტკიცების

³⁵ სუს განჩინება, 17 იანვარი, 2018, №ას-1383-1303-2017.

ტვირთი, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღ-
სრულების მიზნით, სხვა სამართალნარმოების (საარბიტრაჟო)
დროს ამხანაგობის კუთვნილ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული
უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივი საფუძვლისა და
ამის მიხედვით, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გა-
უქმების დასაბუთებულობის ნაწილში. სასამართლომ ყოველ კონ-
კრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს დავის
ფაქტობრივი გარემოებები, მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცე-
ბულებების სანდოობა და დასაბუთებულობა და ამის შემდეგ მიი-
ღოსსარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობა-
ზე გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა თანას-
წორობის პრინციპის გამოყენებისა და მტკიცებულებათა სრულ-
ფასოვნად გამოკვლევის გზით უნდა გამოიკვლიოს ის გარემოებე-
ბი, რაც მნიშვნელოვანია საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამარ-
თლომ უნდა გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით მინი-
ჭებული უფლებამოსილება და საქმე განიხილოს ზეპირი მოს-
მენით, მხარეთა მონაწილეობით, რაც შესაძლებლობას მისცემს
მას, შეკითხვებისა და დამატებითი მტკიცებულებების წარდგე-
ნის გზით, მიიღოს ინფორმაცია და მტკიცებულებები იმ საკით-
ხზე, რომლის დადგენის გარეშე შეუძლებელია არბიტრაჟის გან-
ჩინების საფუძველზე ამხანაგობის კუთვნილ უძრავ ქონებაზე
გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების
მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

ზეპირი მოსმენა, მხარეთა მონაწილეობით, არის ერთ-ერთი შესაძ-
ლებლობა, დეტალურად იქნეს გამოკვლეული მხარეთა პოზიციები
(სსს-ის 419.2-ე მუხლი). საკასაციო სასამართლომ ყურადღება
გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქალაქო სასამართლოს კა-
ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოსარჩელეა ამხა-
ნაგობა, ხოლო მოპასუხე – გამსესხებელი, რომლის საარბიტ-
რაჟო პრეტენზიის დაკმაყოფილების საფუძველზე ყადაღა და-
ედო ამხანაგობის უძრავ ქონებას. განსახილველი დავის საგა-
ნია არბიტრაჟის განჩინების საფუძველზე, გამსესხებელის სა-
სარგებლოდ, ამხანაგობის უძრავ ქონებაზე რეგისტრირებუ-
ლი უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის გაუქმება. ამ-
დენად, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი დავის მხა-
რეა ამხანაგობა (მოსარჩელე), მას სასამართლომ შესაძლებე-

ლია, მიუთითოს საქმეში მოთავსებული დოკუმენტის – საქა-ლაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-ლების შინაარსის გასარკვევად სასამართლოს გადაწყვეტილე-ბის სრული ტექსტის წარდგენაზე, რაც, სავარაუდოდ, სიცხა-დეს შეიტანს ამხანაგობის მოთხოვნის დასაბუთებულობაში, კერძოდ, შესაძლოა გაირკვეს მოპასუხის (გამსესხებლის) პო-ზიცია სესხის ხელშეკრულების ნაწილში, შესაბამისად, გადაწ-ყვეტილების სრული ტექსტის წარდგენა არ ჩაითვლება ახალ მტკიცებულებად (სსკ-ის 380-ე მუხლი). საქალაქო სასამარ-თლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის გაცნობა სააპელა-ციონ სასამართლოს შესაძლებლობას მისცემს დაადგინოს, თუ რა საფუძვლით დაკმაყოფილდა მოსარჩელის (ამხანაგობის) მოთხოვნა იპოთეკის გაუქმების ნაწილში და ცნო თუ არა სარ-ჩელი მოპასუხემ გამსესხებელმა) სესხის ნაწილში, როგორც ამას საჩივრის ავტორი უთითებს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სააპელაციო სასამარ-თლოს, თუკი დადგინდა, რომ მოპასუხემ არ ცნო მის წინააღ-მდეგ ამხანაგობის მიერ ალძრული სარჩელი სესხის ნაწილში, ანუ დავა არ არის გადაწყვეტილი ამ თვალსაზრისით, მაგრამ, სააპელაციო სასამართლომ უნდა ისარგებლოს სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით და, კანონის ანალოგიით, კერძოდ, სსკ-ის 374-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო საჩივრის და-საშვებობის შემოწმებისათვის დადგენილი წინაპირობების სა-ფუძველზე უნდა შეაფასოს ამხანაგობის საჩივრის დასაშვებო-ბის დასაბუთებულობა, რადგან მოცემულ შემთხვევაში სააპე-ლაციო სამართალწარმოების ეტაპზე, სასამართლოს უკვე გა-მოყენებული აქვს კანონით დადგენილი წესით საჩივარზე სარ-ვეზის დადგენის უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო-სათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებით მიზნად ისა-ხავს, დაცული იქნეს მხარეთა თანასწორობისა და მტკიცებულე-ბათა შეფასების სსკ-ით დადგენილი სტანდარტები. სარჩელის უზ-რუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, თავისთავად ცხადია, მოვალის უფლებები იზღუდება, თუმცა, ეს კანონით გათვალისწი-ნებული საშუალებაა, დაცულ იქნეს სასამართლოს კანონიერ ძა-ლაში შესული გადაწყვეტილება აღუსრულებლობის საფრთხისგან.

2.3. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ღონისძიება უცვლელად დატოვა და, შესაბამისად, საჩივარი არ დაკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს სამიქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განმცხადებლის (საარბიტრაჟო მოსარჩელის) განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საარბიტრაჟო მოპასუხეს (თავდები) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული ორი უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, განმცხადებელს უარი ეთქვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე მეორე საარბიტრაჟო მოპასუხის (თავდები) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნის ნაწილში. განჩინება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საარბიტრაჟო მოპასუხებმა (მსესხებელმა და ორმა თავდებმა) შეიტანეს საჩივარი, რომელიც უარყო სააპელაციო სასამართლომ და საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა.³⁶

საკასაციო სასამართლომ შეაფასა სააპელაციო პალატის იმ განჩინების კანონშესაბამისობა, რომლითაც დადგინდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება და მსარეს აეკრძალა კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

სასამართლომ მიუთითა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის აღდერისას მისი უზრუნველყოფის წესს ითვალისწინებს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი, რომელიც ადგენს მსგავს შემთხვევებში სსსკ-ის XXIII თავის გამოყენების შესაძლებლობას.

განმარტა რა სარჩელისა თუ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მინაარსი, სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა დავის

³⁶ სუს განჩინება, 11 ოქტომბერი, 2019, №ას-1294-2019.

სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპრობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალნარმოებაში პოვებს გამოხატულებას (იხ. შ. შმიტი, ჰ. რიპტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3.). როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ გადაწყვეტილება არ აღსრულდება.

საკასაციო პალატის მითითებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და განმარტავს, რომ „სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება“ (იხ. „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №40765/02; Burdov v. Russia, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; Hornsby v. Greece , judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 Hornsby; Mutishev and Others v. Bulgaria, 18967/03, §129, 3 December 2009; Antonetto v. Italy, no. 15918/89, §28, 20 July 2000).“

შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხისათვის თავისი ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვის თუ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენების გზით“ (თ. ლილუაშვილი, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, მეორე გამოცემა, თბ. 2005, 299).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი რეგულაციის

შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურ აღსრულებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება... უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გა-დაწყვეტილება, II-30).

საკასაციო სასამართლოს აზრით, სსსკ-ის 2-ე მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი ისაა, რომ მან მოსარჩელის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები შექმნას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი დგება, როცა საჭიროა კანონის ეფექტურობის უზრუნველყოფა.

სასამართლომ აღნიშნა, „მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდიდესი მნიშვნელობისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება, შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/2/466). „უფლების მზღვედავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №3/1/512).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო ამონმექს მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება მომავალი, მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე (Sdr. Beck'sche Kurz-Kommentare Band1, Zivilprozessordnung mit

Gerichtsverfassungsgesetz und anderen Nebengesetzen. Begründet von Dr. Adolf Baumbach, Professor Dr. Wolfgang Lauterbach, Dr. Jan Albers, Dr. Dr. Peter Hartmann. Verlag C.H. Beck, München 2003, 2375.).

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაში (სუსგ 2014 წლის 6 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1135-1082-2013), მაგრამ ამ უფლების რეალიზაციამდე მესრულებული უნდა იყოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. წარდგენილი სარჩელის შინაარსი მაღალი ალბათობით უნდა ქმნიდეს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მხარის სასამარჩელო მოთხოვნა პერსპექტიულია და, მასში მითითებული ფაქტობრივი წინაპირობების განხორციელების შემთხვევაში, სწორედ ის სამართლებრივი შედეგი მიღება, რისი ინტერესიც აქვს მოსამარჩელეს, ანუ მოთხოვნა იურიდიულად უნდა ამართლებდეს სარჩელს (ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია; „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბ., 2004, 37.).

საკასაციო პალატის განმარტებით, კანონი ყოველთვის არ ქმნის იმის საშუალებას, მოსამართლემ შეძლოს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაცული იქნება ორივე მხარის, როგორც მოსამარჩელის, ისე – მოპასუხის ინტერესები (თანაზომიერების პრინციპი), მოსამარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აქვარა შეუსაბამობა არ იკვეთებოდეს. „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საკუთრების შეზღუდვის გამართლება უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით – სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესების ურთიერთშეჯვერების საფუძველზე“ (სუსგ 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1165-1095-2015).

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ, მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის ინტიტუტის მიზანია მოსამარჩელის მატერიალური უფლების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, თუმცა, მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცული უნდა იქნეს მოპასუხის ინტერესებიც. „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა

იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორ მოპასუხის უფლებები) შორის. უფლების დროებით შეზღუდვის დროს მინშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის“ (სუსგ 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-114-107-2015).

სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტის სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადებელმა მოითხოვა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, მოპასუხეს აეკრძალოს თანასაკუთრებაში არსებული ორი უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება, თითქოს საარბიტრაჟო მოსარჩელეს არ გააჩნდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის საფუძველი, რადგან მსესხებელი საარბიტრაჟო მოპასუხე ყოველთვიურად იხდის თანხას და ფარავს არსებულ დავალიანებას.

განსახილველ საქმეში საარბიტრაჟო მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების წარდგენისას მიუთითა, რომ მსესხებლის – საარბიტრაჟო მოპასუხის დავალიანება მის მიმართ შეადგენდა 10636,82 ლარს, რაც დადასტურდა განცხადებაზე თანდართული დავალიანების შესახებ ცნობით. მითითებული დოკუმენტისა და ზოგადად ფაქტის საწინააღმდეგოდ საჩივრის ავტორებმა რაიმე მტკიცებულება ვერ წარადგინეს. შესაბამისად, სარწმუნოდ არ დადასტურებულა, რომ მსესხებელმა მოპასუხემ, მართლაც გადაიხადა დავალიანების თანხის წაწილი და აგრძელებს ყოველთვიურად მის დაფარვას.

3. სარჩელის უზრუნველყოფა სარჩელის აღძვრამდე

(სსსკ-ის 192-ე მუხლი)

- 3.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების შეჩერების მოთხოვნით საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს-ს 26% წილის მესაკუთრემ და მოითხოვა, საარბიტრაჟო სარჩელის აღ-ძვრამდე უზრუნველყოფის მიზნით, შპს-ს პარტნიორისათვის სხვა პარტნიორებთან შეუთანხმებლად კომპანიის წესდების 7.3.7 მუხლით სარგებლობის შეზღუდვა, კერძოდ, სხვა პარტნი-ორებთან შეთანხმების გარეშე, პარტნიორისთვის უფლების შეზღუდვა, როგორც კომპანიის პარტნიორმა, უყაროს კენჭი (დაუჭიროს მხარი) შპს-ს გენერალური დირექტორის დანიშვნა-სა და გამოწვევას, შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვე-ტას და მიმართოს სამეწარმეო რეესტრს შესაბამისი ცვლილე-ბის განხორციელების მიზნით.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა, შპს-ს პარტნიორს შე-ეზიღუდა სხვა პარტნიორებთან შეთანხმების გარეშე კომპანიის წესდების 7.3.7 მუხლით სარგებლობის უფლება, კერძოდ, სხვა პარტნიორებთან შეთანხმების გარეშე შეეზღუდა უფლება, რო-გორც კომპანიის პარტნიორმა, უყაროს კენჭი (დაუჭიროს მხა-რი) შპს-ს გენერალური დირექტორის დანიშვნასა და გამოწვე-ვას, შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტას და მიმარ-თოს სამეწარმეო რეესტრს შესაბამისი ცვლილების განხორცი-ელების მიზნით. ამ განჩინების საფუძველზე გაიცა სააღსრუ-ლებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა შპს-ს პარტნი-ორმა (რომლის უფლებამოსილება შეიზღუდა უზრუნველყოფის ღონისძიებით), მოითხოვა მისი გაუქმება, ასევე, საჩივრის სა-ბოლოოდ გადაწყვეტამდე გასაჩივრებული განჩინების აღსრუ-ლების შეჩერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის განჩინებით საჩივრის ავტორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შეჩერდა ამავე სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება ამავე განჩინებაზე პარტნიორის მიერ წარდგენილ საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. განჩინებაზე გაიცა შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა განმცხადებელმა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

უზენაესი სასამართლოს განჩინებით კერძო საჩივარი უარყოფილია.³⁷ უზენაესმა სასამართლომ საარბიტრაჟო სარჩელის აღდვრამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიების/განჩინების აღსრულების შეჩერების კანონიერების გარკვევისას შეაფასა მსგავს სამართლებრივ საკითხზე მიღებული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, სსსკ-ის 356¹² მუხლის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით. არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე კოდექსის 356¹⁸ მუხლის თანახმად კი, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია, საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ კოდექსის XXIII თავი აწესრიგებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხს და, ზემოხსენებული გამონაკლისის გარდა, დასაშვებია, სასამართლომ საკითხი მოაწესრიგოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის

³⁷ სუს განჩინება, 4 მაისი, 2018, №ას-753-704-2017.

აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე წარდგენილი საჩივრით მოწინააღმდეგე მხარემ მოითხოვა საკითხის გადაწყვეტამდე განჩინების აღსრულების შეჩერებაც. ამ საკითხს აგვარებს სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია, გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები. მითითებული ნორმა არ შეიცავს საკითხის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს, რაც, ერთი შეხედვით, შეიძლება, განჩინების გასაჩივრების დაუშვებლობაზე მიუთითებდეს, როგორც ეს გასაჩივრებული განჩინებითაც განმარტა სასამართლომ, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე მიღებული განჩინება, ამავე კოდექსის 195-ე მუხლის თანახმად, აღსრულდება დაუყოვნებლივ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილ წესით. ამ ნორმათა ერთობლივი ანალიზის შედეგად საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებული ღონისძიების აღსრულების შეჩერების საკითხის გადაწყვეტის პროცესუალურ წესს, სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-4 ნაწილთან ერთად, ამავე კოდექსის 267¹ მუხლი წარმოადგენს, რომლის პირველი ნაწილი პროცედურულია, ხოლო მე-2 ნაწილი განსაზღვრაუს, რომ გადაწყვეტილება მიღება განჩინების ფორმით. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის (მათ შორის საარპიტ-რაჟო სარჩელის) უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების შეჩერების საკითხზე მიღებული განჩინება შეიძლება, გასაჩივრდეს, რომლის სახესაც წარმოადგენს კერძო საჩივარი, ხოლო განხილვის პროცესუალურ საფუძველს-სსსკ-ის 414-ე – 420-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის უარყოფისას დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოპასუხის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე წარდგენილი საჩივრის საფუძვლიანობას, კანონის თანახმად, 2- თვითან ვადა განიხილება და ამ პერიოდის განმავლობაში შესაძლებე-

ლია, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამ, მისმა ალსრულებამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს, როგორც მოპასუხეს, ასევე – მესამე პირებს, რაც ენინაალმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და პრინციპებს. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინების ალსრულების შეჩერება არ ხელყოფს მოწინაალმდეგე მხარის (მოსარჩელის) უფლებებს, ვინაიდან ალსრულების შეჩერების საკითხის არსებობა დამოკიდებულია საქმეზე წარმოდგენილი საჩივრის არსებით გადაწყვეტაზე და იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ალბათობა საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმისა, იმავდროულად განახლდება ალსრულების წარმოება და მოსარჩელეს შესაძლებლობა მიეცემა, დაიცვას და უზრუნველყოს მის სასარგებლოდ მისაღები, სავარაუდო გადაწყვეტილების ალსრულება. ამასთან, საკასაციო პალატამ გაიზიარა კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ არც გასაჩივრებული განჩინება და არც პარტნიორის საჩივარი არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეჩერების აუცილებლობის თაობაზე, თუმცა აღნიშნა, რომ სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-4 ნაწილი წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციას და ამ დისკრეციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების მართლწინაალმდეგობრიობის მტკიცება ეკისრება მხარეს, რომლის წინაალმდეგაცაა მიმართული განჩინება. ამ მხრივ, დასაბუთებულ პრეტენზიას, კერძო საჩივარი არ შეიცავს, არამედ შემოფარგლება განჩინების ზოგადი კრიტიკით და სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ალსრულების შეჩერების შედეგად ზიანის მიყენების ფაქტი კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაამტკიცა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კერძო საჩივრის პრეტენზია მხარეთა თანასწორობისა თუ სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის თაობაზე და მიუთითა, რომ მხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიების ალსრულების შესახებ განჩინების დროებით შეჩერება არ შეიძლება, სსსკ-ის მე-5 მუხლის დარღვევად იქნეს მიჩნეული, ხოლო ის გარემოება, რომ მომჩივანს არ გააჩნია სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობა, წინამდებარე პროცესის ფარგლებში არ დგინდება. სასამართლომ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ წინასწარი სამართალწარმოება [სარჩელის უზრუნველყოფა], მსგავსად დროებითი ღონისძიებებისა, ჩვეულებრივ არ მიიჩნევა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელად და,

შესაბამისად, მე-6 მუხლიც ვერ იცავს მას (იხ. *inter alia*, Wiot v. France, (dec.), no. 43722/98, 15 marti 2001; APIS a.s. v. Slovakia, (dec.), no. 39794/98, 13 იანვარი 2002; Verlagsgruppe News GMBH v Austria, (dec.), no. 62763/00, 16 იანვარი 2003; da Libert v Belgium, (dec.), no. 44734/98, 8 ივნისი 2004). აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სასამართლო მე-6 მუხლს იყენებს მხოლოდ საქმის არსებითი მხარის განხილვისას და არა ამგვარი ღონისძიებების პირველადი მოთხოვნის მომენტიდან (იხ. Jaffredou v. France (dec.), no. 39843/98, 15 დეკემბერი 1998, და Kress v. France [GC], no. 39594/98, §90, ECHR, 2001-VI). წინასწარი სამართალწარმოების მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენება, მართალია, არა-ერთ საქმეზე დასაშვებადაც კი იქნა მიჩნეული, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, პალატა ითვალისწინებს იმას, რომ დავა საარბიტრაჟო სასამართლოს განხჯადობიდან გამომდინარეობს და მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მხარისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივრის ავტორის შუამდგომლობა გასაჩივრებულ განჩინებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერებაზე განუხილველად დატოვა, იმ საფუძვლით, რომ სსსკ-ის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მართალია, დასაშვებია მსგავს საკითხზე საპროცესო მოქმედების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობა, თუმცა, ამ კუთხით დასაბუთებას კერძო საჩივარი არ შეიცავს, ასეც რომ არ იყოს, საქმის მასალებით დგინდება, რომ განჩინებით სააპელაციო პალატამ დააკამდით კომპანიის პარტნიორის საჩივარი და გააუქმა ამავე სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, რაც, სსსკ-ის 197-ე მუხლის თანახმად, საჩივრდება 5 დღის ვადაში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ განხილვის დასრულებამდე განვლილი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მიუხედავად, საკასაციო სასამართლოსათვის არავის მიუმართავს საჩივრით, პალატამ მიიჩნია, რომ განჩინების გაუქმებით, მისი აღსრულების შეჩერებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების მიმართ კერძო საჩივრის ავტორს არ გააჩნია ინტერესი, რაც შუამდგომლობის განუხილვებად დატოვების საფუძველია.

3.2. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩა უცვლელად, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

კრედიტორმა საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განკხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა, მოვალეს (საარბიტრაჟო მოპასუხეს) აეკრძალოს თავის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, აღნიშნული ავტომობილები დააკავონ, დალუქონ და გადაიყვანონ დაცულ ტერიტორიაზე.

განმცხადებლის მითითებით, მსესხებელმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, არ გადაიხადა სესხი, საპროცენტო სარგებელი, აგრეთვე – პირგასამტკებლო. მოვალის ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდა, შესაბამისად, იქმნება საფრთხე, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ, იმავე განმცხადებელმა, ვერ აღასრულოს თავის სასარგებლოდ მიღებული სამომავლო გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მსესხებელს, აეკრძალა თავის სახელზე რიცხული ავტომანქანების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული ღონისძიება აღსაძრავი სარჩელის შესაბამისია. რაც შეეხება, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სატრანსპორტო საშუალების დაკავების, დალუქვისა და დაცულ ავტოსადგომზე გადაყვანის შესახებ მოთხოვნას, პალატამ აღნიშნა, რომ ამ მასშტაბის ღონისძიების გამოყენებას არ მოითხოვდა მოსარჩელის კანონიერი ინტერესი. პალატამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სესხი უზრუნველყოფილი იყო თავდებობითაც.

სააპელაციო სასამართლოს განცხადება, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, გაასაჩივრა განმცხადებელმა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საჩივარი, დაუსაბუთებლობის გამო, არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 199-ე, 197¹.4.-ე, 419-420-ე, 410-ე მუხლების საფუძველზე საარბიტრაჟო მოსარჩელის საჩივარი არ დააკმაყოფილა, ³⁸ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასაბუთება და მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით დაწესდა საარბიტრაჟო მოსარჩელის კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის გონივრული ფარგლები. სასამართლომ მიუთითა, რომ მოვალე ვერ შეძლებს უზრუნველყოფის საგნის რეალიზებას ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვას განმცხადებლის უფლებების საზიანოდ. შესაბამისად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მხარის განცხადების მიზანი მიღწეულია.

სასამართლოს აზრით, საჩივრის ავტორმა დამატებით იმ საჭიროების არსებობა, რომ მოვალეს ჩამოერთვას ავტომანქანა და დალუქული გადაყვანილ იქნეს დაცულ ტერიტორიაზე, სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს საარბიტრაჟო მოპასუხის უფლებების არათანაზომიერ და გაუმართლებელ შეზღუდვას. შესაბამისად, საჩივრის ავტორმა ვერ დაასაბუთა, რით დასტურდება მისთვის მოსალოდნელი ზიანის მიყენების აღბათობა, რაც, სსსკ-ის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების სტანდარტის თანახმად, მისი მოვალეობა იყო.

³⁸ სუს განჩინება, 30 მარტი, 2018, №ას-209-209-2018.

4. გადაცევეფილების აღსრულების უზრუნველყოფა

(სსსკ-ის 271-ე მუხლი)

- 4.1. საკასაციო სასამართლომ საჩივარი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე და მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების შესახებ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ წარმოებულ დაცაში სარჩელი დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე კრედიტორის (მოსარჩელის) განცხადება დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილებაში აღნიშნული თანხის ოდენობით ყადაღა დაედო მოვალის საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხას საქართველოს ყველა კომერციულ ბანკში (სსსკ-ის 271-ე; 191-ე და 198-ე მუხლები).

განმცხადებელმა მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ მოვალის მიერ გადაწყვეტილების საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრების უფლების გამოყენებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა და, შესაბამისად, აღსრულების დაწყება გადაიდება, ამ დროის მანძილზე კი, მოვალემ შესაძლოა, ხელი შეუშალოს გადაწყვეტილებით მიღებული იურიდიული შედეგის აღსრულებას, იმგვარად, რომ საბანკო ანგარიშიდან გაიტანოს თანხა, მოახდინოს საწარმოს ლიკვიდაცია და ა.შ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოვალეს შეეძლო საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები გაეხარჯა. ამ შემთხვევაში, მას ქონება აღარ დარჩებოდა და არარსებულ ქონებაზე აღსრულების მიქცევაც შეუძლებელი იქნებოდა. იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მოვალეს რაიმე სახის ლიკვიდური ქონება ჰქონდა, საქმეში წარმოდგენილი არ იყო. შესაბამისად, არსებობდა გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინების გაუქმების, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნით საჩივარი წარად-

გინა მოვალეობის (მოპასუხეობის), რომელიც შემდეგნაირად დაასაბუთა: მოვალე მოღვაწეობს ბიზნესსექტორში და კომპანიის საქმიანი რეპუტაცია არასდროს დაყენებულა ეჭვებებს; მოვალის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებით ვერ მოხერხდება ხელფასებისა და საიჯარო ქირის გასტუმრება, შეკვეთილი და იმპორტირებული დაყოვნდება, დაეკისრება დამატებითი ფულადი ჯარიმები.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოვალის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მას უარი ეთქვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზეც და საქმის მასალები უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა.

საკასაციო სასამართლომ მოვალის საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.³⁹

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, სსსკ-ის 271-ე მუხლის შესაბამისად (საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებულია ამ მუხლის მხოლოდ იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ გამოვლენილა), სასამართლოს შეუძლია, უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ამავე კოდექსის XXIII თავით დაგენილი წესების შესაბამისად. მაშასადამე, სსსკ-ის 271-ე მუხლის ბლანკეტური დათქმის პირობებში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად სასამართლო ხელმძღვანელობს სარჩელის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საპროცესო ნორმებით.

სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნისა და მისი განხორციელების საპროცესო წინაპირობების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა, რომ – „გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაპრკოლდეს. ოუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპა-

³⁹ სუს განჩინება 11 აპრილი, 2017, №ას-450-422-2017.

სუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს“ (№ას-859-825-2016, 28 ნოემბერი, 2016).

სსსკ-ის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გარეშე რამდენად შეშლება ხელი მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასასვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, გამონაკლისია მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარებს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე, სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართლნარმოება ფორმალური ხასიათის არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავს ღონისძიებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედ გვევლინება (სუსგ №ას-69-63-2015, 19.03.2015).

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებ-

ლის კანონიერი ინტერესის დაცულობისათვის საჭირო იყო მოვალის საბანკო ანგარიშებზე ყადალის დადება, ხოლო მომჩივნის პრეტენზია, რომ არ არსებობდა ვარაუდის საფუძველი იმასთან დაკავშირებით, მოვალე რაიმეს გააკეთებდა გადაწყვეტილების აღსრულების ხელშესაშლელად, საფუძვლად ვერ დაედება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას. მოვალის ამგვარი პოზიცია, მართალია, პატივისაცემია, თუმცა, განმცხადებლის დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს უფლებაა და, იმავდროულად, ვალდებულებაც ლეგიტიმურ საფუძველზე, გონივრულ ფარგლებში განახორციელოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება [სსსკ-ის 271-ე, 191-ე 198-ე მუხლები].

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მომჩივნის არ მიუთითებია იმგვარ გარემოებებზე, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო. ამასთან, პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არის პროპორციული და ადეკვატური, ხოლო მისმა გამოყენებლობამ შესაძლოა, გააძნელოს გადაწყვეტილების აღსრულება ან გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომელიც კომპარისორებული ვერ იქნება მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული ღონისძიების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

უარყო რა საჩივრის ავტორის მოთხოვნა მის მიმართ მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის გარანტიის შექმნის მიზნით, მოსალოდნელი ზარალის, არანა კლებ დაყადაღებული საბანკო ანგარიშების ფარგლებში, სასამართლო დეპოზიტზე განთავსების შესახებ, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობა მოპასუხის (მოვალის) მტკიცების ტვირთია, ვინაიდან ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სასამართლოს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება, გაუმართლებელი აღმოჩნდეს და აშკარაა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზრუნველყოფის ღონისძიებით ადგება ან შეიძლება მიადგეს. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ზიანის უზრუნველყოფის გამოყენებლობის შემთხვევაში ზიანი მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება ხდება და მან უნდა ამტკიცოს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მისი უფლე-

ბები დაუშვებლად ილახება და ზიანი ადგება ან გარდაუვალია მის-
თვის ზიანის მიყენება (სსსკ-ის 199-ე, მე-4 და 102-ე მუხლი), რაც
მომჩივანმა ვერ შეძლო.

**4.2. საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის
განცხადება და გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ
ნაწილობრივ უზრუნველყო, ყადაღა დაადო არა განმცხა-
დებლის მიერ მითითებულ უძრავ ქონებასა და წილებს სა-
მენარმეო საზოგადოებაში, არამედ მხოლოდ ერთ უძრავ
ნივთს.**

საოჯახოსამართლებრივ დავაში, სადაც დავის საგანს მამობის აღი-
არება და ალიმენტის დაკისრება წარმოადგენდა, ქვედა ინსტან-
ციის სასამართლოებმა სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. მო-
სარჩელებ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა რასააპელაციო სასა-
მართლოს გადაწყვეტილება, ამავდროულად, იშუამდგომლა სსსკ-
ის 271-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტის
საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების
გამოყენება და მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებასა და სამენარ-
მეო საზოგადოებებში მის წილებზე ყადაღის დადება.

განმცხადებელმა მიიჩნია, რომ მოპასუხე არ ასრულებს მშობლის
ვალდებულებებს და არ ნახულობს საკუთარ შვილს. შესაბამისად,
არსებობს იმის ალბათობა, რომ მან გაასხვისოს ან გადააფორმოს
კუთვნილი ქონება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების
თავიდან ასარიდებლად.

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის განცხადება ნაწილობ-
რივ დააკმაყოფილა და, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის
მიზნით, ყადაღა დაადო მოპასუხის სახელზე რიცხულ სასოფ-
ლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს შემდეგ გარემო-
ებათა გამო:⁴⁰

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 191-ე და 271-ე მუხლე-
ბის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას

⁴⁰ სუს განჩინება, 10 ივნისი, 2019, №ას-876-2019.

აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ სასამართლოს შეუქმნას რწმენა.

სასამართლოს აზრით, აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღდუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტილებისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების, თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიებისგარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

სასამართლომ მიუთითა, რომ საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი პალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

სარჩელისა თუ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობასაც და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტის სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. სარჩელის ან გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს ყა-

დალის დადება ქონებაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ფარგლებში საკუთრების უფლება უნდა შეიზღუდოს უზრუნველსაყოფი თანხის მოცულობით. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელმა, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვა მოპასუხის სახელზე რიცხული რამდენიმე უძრავი ნივთისა და სამენარმეო საზოგადოებაში მისი კუთვნილი წილების დაყადალება.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება, რომ წინამდებარე საქმეში როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა სარჩელის ნაწილობრივ დაკამაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, შესაძლოა, მოპასუხე შეცვალოს მისი აღსრულების თავიდან აცილებას, შესაბამისად, მიზანშეწონილია გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მოთხოვნილი ღონისძიების გამოყენება, თუმცა აღნიშნული სათვის განმცხადებლის მიერ მითითებულ მთლიან ქონებაზე ყადალის დადების საჭიროება არ არსებობს და, შესაბამისად, ნაწილობრივ დაკამაყოფილა მოთხოვნა.

4.3. საკასაციო სასამართლომ სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით სარეალიზაციოდ მიქცეულ ერთ ქონებაზე სააღსრულებო წარმოების შეჩერება კანონიერად, ხოლო მეორე ქონებაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია.

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე ითხოვს მისი სარჩელის უზრუნველყოფასა და სისი აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ საქმეზე დაწყებული იძულებითი აღსრულების შეჩერებას, რომელიც, თავის მხრივ, დაიწყო სხვა კრედიტორის განცხადების საფუძველზე და, რომლის შესაბამისად, სარეალიზაციოდ გატანილია წინამდებარე დავის განმავლობაში დაყადალებული ერთ-ერთი მოპასუხის საკუთრებაში არსებული ორი უძრავი ქონება, ამასთან, ამ ქონებიდან ერთ-ერთი ქონება წარმოადგენს მოცემული დავის საგანს, რომლის მიმართაც მომავალში მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ საფუძვლით, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აუქციონზე გასატანად მზადდება მოცემულ საქმეზე წარდგენილი სარჩელის უზრუნველსაყოფად დაყადალებული ქონება, შესაბამისად, არსებობს ამ საქმეზე აღსრულების შეჩერების საკმარისი წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით განმცხადებლის შუამდგომლობა და კმაყოფილდა: საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად შეჩერდა სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით სააღსრულებო საქმისწარმოება მოვალის (ერთ-ერთი მოპასუხის) საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის დასრულებამდე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ითხოვს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას.

საკასაციო სასამართლომ სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით სარეალიზაციოდ მიქცეული ორი ქონებიდან, ერთ ქონებაზე სააღსრულებო წარმოების შეჩერება კანონიერად, ხოლო მეორე ქონებაზე სააღსრულებო წარმოების შეჩერება უსაფუძვლოდ მიიჩნია, ვინაიდან ამ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დაიწყო შესაბამისი პროცედურები, აღუსრულებელი დარჩება. შესაბამისად, ყოველგვარი აზრი ეკარგება კრედიტორის დარღვეული უფლების აღიარებას.⁴¹

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სასკ-ის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ამ კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესე-

⁴¹ სუს განჩინება, 1 დეკემბერი, 2017, № ას-1263-1183-2017.

ბის შესაბამისად. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სასა-მართლო იმ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სა-კითხს, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული არ არის, განიხილავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-მოყენების საკითხის გადაწყვეტისათვის დადგენილი წესების შე-საბამისად.

სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის (გადაწყვეტილების აღსრუ-ლების) უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ქონების რე-ალიზაციის შეჩერება, თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიების ამ სახის გამოყენებისათვის უნდა არ სებობდეს შემდეგი წინაპირო-ბები: ა) დავა, რომლის გამოც უზრუნველყოფის ზომად ქონების რეალიზაციის შეჩერება გამოიყენება, აღძრული უნდა იყოს ყადა-ლისაგან ქონების განთავისუფლების თაობაზე და ბ) არ უნდა იკვე-თებოდეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კა-ნონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა (იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქ-ციონის (სააღსრულებო წარმოების) შენწყვეტა, შეჩერება, გადადე-ბა, ქონების ყადალისაგან გათავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხ-ლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/ აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემ-თხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირე-ბით პროცესურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს და-საბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითა-რების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვ-ნული ბიუროს თავმჯდომარე). გარდა ამისა, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს უზრუნველყოფის ღო-ნისძიების სახით სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერებას ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგო-მით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ სა-ქართველოს კანონის საფუძველზე ან, რომლებზეც შეტანილია-საქმისნარმოების განახლების თაობაზე განცხადება.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „სააღსრულებო წარმოე-ბათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლზე, რომლის პირ-ველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას იმ ქონების ყადალისა-გან გათავისუფლების შესახებ სარჩელის წარდგენისას, რომელ-

ზედაც მიქცეულია გადახდა – სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტითა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ითხოვს იმ ქონების საკუთრებაში დაბრუნებას, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფება მოპასუხეთა საკუთრებაში და, სხვა ქონებასთან ერთად, მოცემული დავის ფარგლებში, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადო ყადაღა. ასევე დადგენილია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადავო ქონება აღირიცხა მოსარჩელის (განმცხადებლის) საკუთრებად და ამავე გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ ქონებაზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება (ყადაღა) დარჩა უცვლელად. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მოპასუხეთა მიერ და საქმის-წარმოება მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში.

ამავე დროს მოსარჩელე ითხოვს მისი სარჩელის უზრუნველყოფას და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ საქმეზე დაწყებული იძულებითი აღსრულების შეჩერებას, რომელიც, თავის მხრივ, დაიწყო სხვა კრედიტორის განცხადების საფუძველზე და რომლის შესაბამისად, სარეალიზაციოდ გატანილია წინამდებარე დავის განმავლობაში დაყადაღებული ერთ-ერთი მოპასუხის საკუთრებაში არსებული ორი უძრავი ქონება, ამასთან, ამ ქონებიდან ერთ-ერთი ქონება წარმოადგენს მოცემული დავის საგანს, რომლის მიმართაც მომავალში მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება, რომელთა ერთობლიობამაც უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ადამიანების რეალური შესაძლებლობა, სრულყოფილად და ადეკვატურად დაიცვან, აღიდგინონ საკუთარი უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლება-თავისუფლებებში ჩარჩინდება, დაიცვას ადამიანი სახელმწიფოს თვითნებობისაგან. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების თითოეული უფლებრივი კომპონენტის როგორც ფორმალური, ისე მატერიალუ-

რი შინაარსით, საკმარისი პროცედურული უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-59).

იმისათვის, რომ პირმა სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონანილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერი ინტერესებს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9). ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების, მით უფრო – დარღვეული უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულდება (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივნისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე „სააქციო საზოგადოებები – „საქაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის, მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს, თუმცა, გასათვალისწინებელია, სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანების პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტი უნდა შეფასდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხების პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვ-

ნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ლონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების ალსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს, ამიტომ სასამართლომ გადაწყვეტილების ალსრულების უზრუნველყოფის ლონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ყოველთვის უნდა შეაფასოს, გადაწყვეტილების ალსრულების უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ლონისძიება არის თუ არა შესაბამისი მოსარჩევის იმ მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.

სასკ-ის 271-ე, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის ერთობლივი ანალიზის შესაბამისად, საკასაციო სასამართლომდასკვნა, რომ აშკარაა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასამართლოს მიერ დაწყებული სააღსრულებო წარმოების – ნაწილობრივ შერჩევების საფუძველი: კერძოდ, მოცემულ დავაზე სარჩევი წარდგენილია სწორედ იმ ქონების საკუთრებაში დაბრუნების მოთხოვნით, რომელზეც სხვა დავის ფარგლებში მიქცეულია გადახდა – სხვა კრედიტორის მოთხოვნით დაწყებულია იძულებითი ალსრულება, ხოლო წინამდებარე სარჩელზე ჯერ არ არის მიღებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება. ამასთან, აღნიშნული სარჩელი წინ უსწორებდა სხვა კრედიტორის მოთხოვნით სააღსრულებო წარმოების დაწყებასა და ქონების დაყადალებას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელი აღიძვრება მაშინ, როდესაც მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას ალსრულების საგანზე უფლება აქვს. მოცემულ შემთხვევაშიც, მოსარჩელე ამტკიცებს, რომ მას ალსრულების საგანზეუფლება ენიჭება, თუმცა ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების სარჩელს ვეღარ აღძრავს, რადგან უკვე აღძრული აქვს სარჩელი მოვალის მიმართ ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, რომელიც თავისი არსით იმავე მიზანს ემსახურება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოცემული დავა დასრულდება მოსარჩელის

სასარგებლოდ და დადგინდება მოთხოვნილი ქონების მის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო აღნიშნულ ქონებაზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება გაგრძელდება და მოხდება ქონების რეალიზაცია, სასამართლოს გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება. ამით საფუძველი გამოეცლება და აზრი დაეკარგება დავასაც, რაც არღვევს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ თანაზომიერების პრინციპს, რომლის მიხედვით, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ არსებობს წინამდებარე დავის დასრულებამდე მოცემული დავის ფარგლებში სადაც გამხდარ ქონებაზე სააღსრულებო საქმისწარმოების შეჩერებისა და ამ ნაწილში განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ მეორე ქონებაზე დაწყებული იძულებითი აღსრულების შეჩერების თაობაზე მოპასუხეთა მიერ წარდგენილი საჩივარი საფუძვლიანად მიიჩნია და დაკმაყოფილა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში სარეალიზაციოდ მომზადდა ერთ-ერთი მოპასუხების საკუთრებაში არსებული ორი უძრავი ქონება. ორივე ქონებაზე სააღსრულებო წარმოება დაიწყო ამ მოპასუხების მიერ სხვა კრედიტორის მიმართ შესასრულებელი სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფად.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლითაც განსაზღვრულია იძულებითი აუქციონის გამართვის წესი და პირობები. კანონის 69-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, ყადაღადადებულ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ წარმოებაში მიღებული სხვა აღსასრულებელი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოთხოვნა დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იძულებითი აუქციონის შედეგად შემოსული თანხა აჭარბებს საფასურს, აღსრულების ხარჯს და იმ კრედიტორ-

თა მოთხოვნებს, რომელთა სასარგებლოდაც იმართება იძულებითი აუქციონი. ამასთანავე, დარჩენილი თანხა აღარ უბრუნდება მოვალეს და მას აღსრულების ეროვნული ბიურო ყადაღას ადებს სხვა კრედიტორის სასარგებლოდ. ქონებაზე სხვადასხვა აღმასრულებლის მიერ მრავალჯერადი ყადაღის დადების შემთხვევაში ამ ქონებაზე აუქციონს მართავს ის აღმასრულებელი, რომელმაც ყველაზე ადრე დაარეგისტრირა ყადაღა მარეგისტრირებელ ორგანოში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების შემდევ წარმოებაში მიღებული სხვა აღსასრულებელი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოთხოვნა კმაყოფილდება, როგორც მეორე რიგის მოთხოვნა, ხოლო, თუ ქონებაზე სხვადასხვა აღმასრულებელს აქვს დარეგისტრირებული მრავალჯერადი ყადაღა, აუქციონს გამართავს ის, ვინც ყველაზე ადრე დაარეგისტრირა ყადაღა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით სარეალიზაციოდ მიქცეულ მეორე ქონებაზე სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ამ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დაიწყო შესაბამისი პროცედურები, დარჩება აღსრულებელი. შესაბამისად, ყოველგვარი აზრი ეკარგება კრედიტორის დარღვეული უფლების აღიარებას.

მხარისათვის მოსალოდნებლი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების შესახებ საჩივრის ავტორთა განცხადებაზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან საპელაციო სასამართლოს მოცემულ საკითხზე არ უმსჯელია და, სსსკ-ის 199-ე მუხლის შესაბამისად, არ შეუფასებია მის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით ხომ არ ადგება ზიანი მოპასუხეს, განცხადება განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

4.4. საკასაციონ სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, კერძოდ, მოპასუხის ორ უძრავ ნივთზე ყადაღის გამოყენების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის (მოსარჩელის) შუამდგომლობაც მოპასუხის სხვა ქონებაზე ყადაღის გამოყენების შესახებ იმ საფუძვლით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უკვე გამოყენებული ყადაღა ვერ უზრუნველყოფდა პირველი ინსტანციის სასამართლოში ნაწილობრივ მიღწეული წარმატებული შედეგის სახით დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნისა და სააპელაციო საჩივრის მიხედვით სადავოდ გამხდარი დაუკმაყოფილებელი სარჩელის დარჩენილი ნაწილის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხისათვის დაკისრებული თანხების ამოღებას (აღსრულებას).

მყიდველის მიერ გამყიდველის წინააღმდეგ, მისთვის გადახდილი თანხის დაკისრებისა და მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარმოებულ დავაში, რაონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ, კერძოდ, მყიდველის მიერ გამყიდველისათვის გადახდილი თანხის დაკისრების მოთხოვნით დაკმაყოფილდა, ხოლო მიუღებელი შემოსავლის სახით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში უარყოფილ იქნა. რაიონული სასამართლოს განჩინებით – სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო მოპასუხის კუთვნილ ორ უძრავ ქონებას. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ამ ეტაპზე არ არსებობდა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სსკ-ის 1991 მუხლის საფუძველზე გაუქმების საპროცესოსამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო საჩივარში აპელანტმა (მოსარჩელემ) მოითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება შუამდგომლობის სახით იმ დასაბუთებით, რომ რაიონული სასამართლოს განჩინებით მოპასუხის კუთვნილ უძრავ ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უკვე გამოყენებული ყადაღა ვერ უზრუნველყოფდა პირველი ინსტანციის სასამართლოში ნაწილობრივ მიღწეული წარმატებული შედეგის სახით დაკმაყოფილებული სასარჩე-

ლო მოთხოვნისა და სააპელაციო საჩივრის მიხედვით სადაცოდ გამხდარი დაუკმაყოფილებელი სარჩელის დარჩენილი ნაწილის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებას (აღსრულებას), რის გამოც აპელანტმა ისევ მოიძია სამომავლოდ აღსასრულებელი ქონებრივი მასა, რომელიც მოპასუხის საკუთრებას წარმოადგენდა და შესაძლებელი გახდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მოპასუხის კუთვნილ ქონებას ყადალა დაედო (სსსკ-ის 191-ე, 193-ე, 197-ე, 198-ე, 271-ე მუხლები).⁴²

- 4.5. საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის პირველი განცხადება არ დააკმაყოფილა, ხოლო მეორე განცხადება იმავე საფუძვლით განუხილველად დატოვა, სააპელაციო სამართლნარმოების ეტაპზე კი მოსარჩელის განცხადება დაკმაყოფილდა, შეჩერდა გადაწყვეტილების აღსრულება იმ საფუძვლით, რომ გამყიდველის შუამდგომლობა სხვა საფუძველს ემყარება, კერძოდ, იგი სსსკ-ის 271-ე მუხლით დადგენილ, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნას უკავშირდება და არა მისი სარჩელის უზრუნველყოფას, რომელიც საქმისწარმოების გარკვეულ ეტაპზე სასამართლომ უარყო. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება უცვლელად დატოვა.

გამყიდველმა მყიდველის, მერიისა და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ აღძრული სარჩელით მოითხოვა უძრავი ქონების გადადის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლილად ცნობა, მისი მესაკუთრედ აღრიცხვა და ქონების ყადალისაგან განთავისუფლება. ამასთან, საქალაქო სასამართლოს მოსთხოვა სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება, რომლის შესაბამისადაც, ნასყიდობის საგანს – უძრავ ქონებას, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართვის საფუძველზე, დაედო ყადალა.

სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სააღსრულებო ფურცლის

⁴² სუს განჩინება, 26 ივლისი, 2017, №ას-650-616-2015.

მოქმედების შეჩერების შესახებ გამყიდველის მოთხოვნა საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა და განჩინების დასაბუთები-სას აღნიშნა, რომ მოსარჩელემ მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეჩერება, ამასთან, გამყიდველს დამოუკიდებელი მოთხოვნით ჰქონდა აღძრული სარჩელი ისე, რომ თავად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართ (მისი გაუქმების თვალ-საზრისით) პრეტენზია არ გააჩნდა, არ ითხოვდა საქალაქო სასამართლოს გამოყანილი გადაწყვეტილების ბათოლად ცნობას.

გამყიდველმა იმავე სასამართლოს, იმავე მოთხოვნით, მეორედ მიმართა და მიუთითა, რომ, მისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი, რადგან სამოქალაქო საქმეში, სადაც ქონების მყიდველს დაეკისრა თანხის გადახდა მერიის სასარგებლოდ, გამყიდველი, როგორც მხარე ან დაინტერესებული პირი (თუნდაც მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით ან მოთხოვნის გარეშე) ვერ ჩაერთვებოდა და, ახლა-დალმორჩენილი გარემოების გამო, ვერ მიმართავდა საქმისნარმოების განახლების მოთხოვნით სასამართლოს, ვინაიდან ამ საქმისად-მი გამყიდველს არ გააჩნდა იურიდიული ინტერესი.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გამყიდველის განცხადება განუხილველად დარჩა სსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე: „სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზედა იმავე საფუძვლით მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების გა-ნუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.“.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გამყიდველს სასამართლომ ერთხელ უარი უთხრა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, სასამართლოსადმი ხელმეორედ მიმართვა, გამყიდველის მეორე მცდელობა იყო, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რადგან სასამართლოსადმი ორივე მიმართვის შემთხვევაში, დავის ფაქტობრივი გარემოები, რომლებიც საფუძლად ედო გამყიდველის მოთხოვნას იდენტური იყო, რის გამოც საკმარისი სამართლებრივი საფუძველი არსებოდა გამყიდველის მეორე განცხადების გაუ-

ხილველად დატოვებისათვის.

საქალაქო სასამართლოს განჩინებით გამყიდველის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად, გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქეყმდგომი სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, საჩივარი არ დააკმაყოფილა და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გამყიდველის სარჩელი მყიდველის წინააღმდეგ სრულად დაკმაყოფილდა, გარიგების მონანილის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, მოშლილად იქნა აღიარებული ნასყიდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლები). იმავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ გამყიდველი უნდა აღირიცხოს სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ და უძრავი ქონება გათავისუფლდეს სააღსრულებო ბიუროს მიმართვის საფუძველზე რეგისტრირებული ყადაღისაგან (სსკ-ის 352-ე მუხლი, 405-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოების ეტაპზე, გამყიდველმა (მოსარჩელემ) წარადგინა შუამდგომლობა უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენების თაობაზე, კერძოდ, მან მოითხოვა უძრავ ქონებაზე სააღსრულებო წარმოების შეჩერება, რათა საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება არ დარჩენილიყო აღუსრულებელი. წარდგენილი შუამდგომლობის არგუმენტებად, გამყიდველმა მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო მოთხოვნა, გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და სამართლიანობის გამო, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძვლები და გადაწყვეტილება უცვლელად დარჩება სააპელაციო სამართალნარმოების შემდეგაც.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა გამყიდველის შუამდგომლობა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ და, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე შეჩერდა საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება სადავო უძრავ ქონებაზე (შენიშვნა: სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებისა და 271-ე მუხლის ნორ-

მატიული შინაარსის მოქმედების შეჩერების თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია 13.11.2015 წ, №1/7/681 საოქმო ჩანაწერი).

სააპელაციო სასამართლომ განჩინების დასაბუთებისას, სსსკ-ის 271-ე და 191-ე მუხლებზე მითითებით, განმარტა, რომ მოსარჩევემ სააპელაციო საქმისნარმოებისას უკვე ახალ გარემოებაზე მიუთითა, ხოლო სსსკ-ის 198-ე მუხლი პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე მიუთითა, რომლის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია, შეაჩეროს ალსრულება იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის წარდგენისას, რომელზეც მიქცეულა გადახდა, სადავო ქონებაზე ალსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

მოპასუხეთაგან მერიამ, საჩივარი შეიტანა განჩინებაზე, მიუთითა სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილზე და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რადგან გამყიდველს რამდენჯერმე უთხრა უარი სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლო უთითებს ახალ გარემოებაზე, თუმცა, რომელი გარემოება მიაჩნია ასეთად და იმისგან განსხვავებულად, რაზეც სასამართლოებს პირველ ეტაპზე არ უმსჯელია, გაუგებარია.

მერიის საჩივარი სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩევემ (აპელანტის მოწინააღმდეგე გე მხარემ) ახალი განცხადებით – ახალი მოთხოვნითა და ახალ საფუძველზე დაყრდნობით, ამჯერად უკვე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და სწორედ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მისი ძალაში დატოვების შესახებ აღბათობისა და სარჩელის საბოლოოდ შესაძლო დაკმაყოფილების ვარაუდზე მითითებით მოითხოვა საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული საალსრულებო ფურცლის საფუძველზე, სარჩელით სადავო უძრავ ქონებაზე დაწყებული აღსრულების შეჩერება. ამავე განჩინებაში,

სასამართლომ სსსკ-ის 191-ე და 199-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე იმსჯელა, ასევე იმაზეც, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ წარმოადგენდა სხვა დავის ფარგლებში გადასაწყვეტი გარემოების განსახილველ საქმეზე დადგენასა და საჯარო აუქციონზე პოტენციურად ქონების შემძენი პირის კეთილსინდისიერების შეფასებას, როგორც ამაზე პრეტენზიას აცხადებდა საჩივრის ავტორი და დაასკვნა, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული იყო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება, რასაც ეფუძნებოდა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განმცხადებლის მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით მერიის საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ უარყო რა მოპასუხის საჩივარი,⁴³ აღნიშნა, რომ მოსარჩელის განცხადების დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი მართებულად შეაფასა სააპელაციო სასამართლომ, რადგან გამყიდველის შუამდგომლობა, სსსკ-ის 271-ე მუხლით დადგენილ, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნას უკავშირდება და არა მისი სარჩელის უზრუნველყოფას, რომელიც საქმისნარმოების გარკვეულ ეტაპზე სასამართლომ უარყო. დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, მისი მოწესრიგების საგანია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხიც, ამავდროულად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, თუ რამდენად შეუძლის ხელს ამ ღონისძიების გამოუყენებლობა მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 271-ე მუხლის „სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების

⁴³ სუს განჩინება, 12 თებერვალი, 2016, №ას-1238-1161-2015.

არსებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონიერულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართლწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ღონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედვე გვევლინება” (**სუსგ №ას- 69-63-2015, 19.03.2015**).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმასჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობოდა საგალღებულო შესრულებას. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, როგორც „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების ელემენტი, დაცული და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლით, რომლის მიხედვითაც „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“ კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი კი იმპლემენტირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტსა და სსსკ-ის მე-10 მუხლში“ (**იხ. სუსგ – პს-476-464-(კ13), 24.04.2014**).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და, თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე. ამ კონტექსტში

მნიშვნელოვანია ევროსასამართლოს გადაწყვეტილება „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებლის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის. (*Apostol v. Georgia*; §37; *ასევე იხ. Hornsby v. Greece*, §40). ამასთან, საქმეზე „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (*IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia*, §42; *sxva პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia*, §34; *Hornsby v. Greece*, §40).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებლობის თაობაზე განმცხადებლის არგუმენტი მართებულად გაიზიარა. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულების მიზნით, დასაბუთებული და კანონიერია გასაჩინოებული განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მართლზომიერი შუამდგომლობა, რადგან სასამართლოს დისკრეციის ფარგლებშია სარჩელისა თუ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და ასეთი ღონისძიების სახის შერჩევის საკითხი (სსკ-ის 191-ე, 198-199-ე მუხლები), რაც სარჩელში დასახელებული მოპასუხის უფლების იძულებით შეზღუდვას წარმოადგენს, რასაც დროებითი სახე აქვს და უზრუნველყოფს მოდავე მხარეთა ინტერესების თანაბრად დაცვას.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო, დამაჯერებელი და სარწმუნო არგუმენტებით დაუძლია სააპელაციო სასამართლოს განჩინების მსჯელობა და დასკვნები, რაც მერიის საჩივრის უარყოფისა და იმავე სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველი გახდა.

5. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით

(სსსკ-ის 196-ე მუხლი)

- 5.1. საკასაციო სასამართლოს განჩინებით შეიცვალა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის აკრძალვა გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით შეიცვალა.

საკასაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებული ღონისძიების შეცვლის შესახებ მოპასუხე სანარმოს შუამდებრივი და აკრძალვის აუქტორიუმის მიმღები სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა შეიცვალა ნაწილობრივ და მოპასუხეს აეკრძალა სადავო უძრავი ქონებების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 191-ე მუხლი ადგენს რა მოსარჩელის სადავოდ ქცეული უფლების წინასწარი დაცვის გარანტიას, იგი დასაშვებად მიიჩნევს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე დავის საგნის დაცვას. სასამართლომ მიუთითა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებულ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღდგენა, მისი მოსარჩელისათვის დაბრუნება, ანუ დავის საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული უძრავი ნივთია. სწორედ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე მისი საგნის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად გამოიყენა საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა. მართალია, შემაჯამებელი გადაწყვეტილებით ეს ღონისძიება გაუქმდა (სსსკ-ის 199¹ მუხლი), თუმცა გადაწყვეტილება სრულად გასაჩივრდა და არცერთ ნაწილში კანონიერ ძალაში არ არის შესული (სსსკ-ის 264-ე მუხლი). საკასაციო სასამართლომ დავის საგნის მიმართ მოსარჩელის პრე-

⁴⁴ სუს განჩინება, 6 მარტი, 2017, №ას-28-25-2017.

ტენზიების საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, მოიხმო ევრო-სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც წინასწარ სა-მართალნარმოებას (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება) შე-ეხება. საქმეზე „მიქალეფი მალტის წინააღმდეგ“ (საჩივარი №17056/06) ევროსასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა შემდე-გი: იმისათვის, რომ გამოყენებადი იყოს მე-6 მუხლი, მისი „სამოქა-ლაქო“ წანილის მხრივ, უნდა არსებობდეს დავა სამოქალაქო უფ-ლების ირგვლივ, რომელიც, თუნდაც სადაც საფუძვლებზე, აღია-რებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა კონვენციის მიერ. დავა უნდა იყოს ნამ-დვილი და სერიოზული; იგი შესაძლებელია, ეხებოდეს უფლების არა მარტო რეალურ არსებობას, არამედ მის მასშტაბსა და გან-ხორციელების საშუალებასაც; და ბოლოს, სამართალნარმოების შე-დეგი უნდა იყოს უმუალოდ გადამწყვეტი განსახილველი უფლები-სათვის, უფრო უმნიშვნელო კავშირი ან ზოგადი შედეგები არ არის საკმარისი მე-6 მუხლის 1 წანილის გამოსაყენებლად **inter alia, Mennitto v. Italy [GC], no. 33804/96, § 23, ECHR 2000 X; და Gülmez v. Turkey, no. 16330/02, § 28, 20 mai 2008**). იმ კანონმდებლობის ბუ-ნება, რომელიც არეგულირებს, თუ როგორ უნდა მოხდეს საკითხის განხილვა (სამოქალაქო, სავაჭრო, ადმინისტრაციული თუ სხვა კა-ნონით), ისევე, როგორც ორგანო, რომელსაც აკისრია განხილვის უფლებამოსილება (საერთო სასამართლო, ადმინისტრაციული ორ-განო თუ სხვა) წაკლები მნიშვნელობის მატარებელია (იხ. **J.S. and A.S. v. Poland, no. 40732/98, § 46, 24 მაისი 2005**). წინასწარი სამარ-თალნარმოება, მსგავსად დროებითი ღონისძიებებისა, მაგალითად, შემაკავებელი ორდერი, ჩვეულებრივ არ ითვლება სამოქალაქო უფ-ლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელად და, შესაბამისად, არ ხვდება ხოლმე მე-6 მუხლის დაცვის ქვეშ (იხ. **inter alia, Wiot v. France, (dec.), no. 43722/98, 15 მარტი 2001; APIS a.s. v. Slovakia, (dec.), no. 39794/98, 13 იანვარი 2002; Verlagsgruppe News GMBH v Austria, (dec.), no. 62763/00, 16 იანვარი 2003; და Libert v Belgium, (dec.), no. 44734/98, 8 ივლისი 2004**). აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო მე-6 მუხლს იყენებს მხოლოდ საქმის არსებითი მხა-რის განხილვის შემდეგ და არა მეგარი ღონისძიებების პირველა-დი მოთხოვნის მომენტიდან (იხ. **Jaffredou v. France (dec.), no. 39843/98, 15 დეკემბერი 1998, da Kress v. France [GC], no. 39594/98, §90, ECHR, 2001-VI**). მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლოს არაერთ საქმეში გამოუყენებია მე-6 მუხლი წინასწარი სამართალნარმოე-ბის დროსაც, კერძოდ კი – მათი გადამწყვეტი მნიშვნელობის გამო

მომჩივნის სამოქალაქო უფლებების განსაზღვრაზე (იხ. **Aerts v. Belgium, 30 ივლისი 1998, Reports 1998-V, da Boca v. Belgium, no. 50615/99, ECHR 2002-IX**), მეტიც, მან დაადგინა, რომ პრინციპიდან, რომ-ლის მიხედვითაც მე-6 მუხლი არ გამოიყენება წინასწარი სამართლნარმოებისას, დროებითი განჩინება გამონაკლისის სახით საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას, რადგანაც მოთხოვნილი ზომა არის რადიკალური, სათანადო ხარისხის არმქონება და, თუ აპელაციისას, მისი გაუქმების გარეშე იგი გავლენას იქონიებს მხარეებზე მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში (იხ. **Markass Car Hire Ltd v. Cyprus, (dec.), no. 51591/99, 23 ოქტომბერი 2001**). საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ინტერესების დაცვის მიზნით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოპასუხის უფლებათა დასპროტორული არ არის. ამ მიზნით სასამართლო იხელმძღვანელარა სასსკ-ის 196-ე მუხლით (მხარეთა თხოვნით დასაშვების სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა(1). სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია, დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოების გარკვევას(2) და საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით გაიზიარა მოსაზრება, რომ დავის საგანი მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებს შეკეთებას, ამასთანავე, მოპასუხე ნივთით ვერ სარგებლობს სრულყოფილად და, ვინაიდან მოსარჩელის ინტერესს თეორიულად წარმოადგენს დავის საგნის დაცვა, სარჩელის წარმატების შემთხვევაში, ამ ინტერესის მიღწევა შესაძლებელია გამოყენებული უზრუნველყოფის ნაკლებად მზღვდავ ფარგლებშიც.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, სასსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიები შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ ნორმის ფარგლებში დადგენილი „უფლებრივი დატვირთვა“ ფართო ცნებაა და უსაფუძვლოდ ხელყოფს მოპასუხის ინტერესებს, შესაბამისად, გამოყენებული ღონისძიება უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ და მხარეთა ინტერესების პროპორციიდან გამომდინარე მოპასუხეს უნდა აეკრძალოს უძრავი ქონებების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

5.2. საკასაციო სასამართლომ საჩივარი უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით უარყო.

საწარმომ მზღვევლის მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვა სამედიცინო მომსახურების ღირებულების, ასევე, მოსარჩელის სასარგებლოდ გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდის ვადაგადაცილებისათვის პირგასამტებლოს დაკისრება. მიუღებელი შემოსავლის სახით გარკვეული თანხის დაკისრება, სისხლის ექსპრესანალიზატორების შეუძენლობის, მიუღებელი მოგების, გადაუდებელი დახმარების განცოფილების მოუწყობლობითა და პოსპიტლის პროექტის შეწყვეტის გამო მიუღებელი მოგების დაკისრება.

სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საქალაქო სასამართლოს სამედიცინო საქმეთა კოლეგიის განჩინებებით ყადაღა დაედო: სხვადასხვა საწარმოებში მზღვევლის წილებს, მოპასუხეს, როგორც საწარმოს პარტნიორს, აეკრძალა საწარმოს უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვის შესახებ გარიგების დადებაზე ამ საწარმოთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებისათვის თანხმობის მიცემა.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკიმაყოფილდა ნაწილობრივ, რომელიც სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მზღვევლმა. სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება, რომლის მიხედვით მოპასუხეს მოპასუხესის მიმართ უზრუნველყოფა 975 000 (ცხრას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარის გადახდას შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

მორიგების აქტში მითითებულ სამოქალაქო საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ყველა ღონისძიება ძალაში რჩებოდა მზღვეველის მიერ ამ მორიგების აქტით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე, რის შემდეგ უზრუნველყოფის ღონისძიები გაუქმდებოდა სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი წესით.

მორიგების პირობების დამტკიცების შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს ფიზიკურმა პირებმა და მოითხოვეს მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგების პირობების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაბათი-

ლება და საქმისწარმოების განახლება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით განცხადება მიღებული იქნა განსახილველად და მზღვეველს აეკრძალა მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება – თანხების გადარიცხვა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მზღვევლის გენერალურმა დირექტორმა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველსაყოფად საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმება და მათი შეცვლა სხვა საშუალებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მორიგების პირობებით დადგენილი ვალდებულების ოდენბის (795 000 ლარის ფარგლებში) საბანკო გარანტიით ჩანაცვლება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მზღვევლის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს განჩინება საჩივრით გაასაჩივრა მზღვევლმა.

საჩივრის ავტორის განცხადებით, ყადაღის არსებობა კომპანიის ქონებაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში კომპანიას აყენებს მნიშვნელოვან ზიანს, ვინაიდან არსებული კანონმდებლობით ყადაღის პირობებში კომპანიას ეზღუდება ტენდერებში მონაწილეობის მიღება. მისივე განმარტებით, დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობაც იმის შესახებ, რომ საქმისწარმოების განახლების შემთხვევაში, რომლის გამოც გამოყენებული იქნა უზრუნველყოფის ღონისძიებები, საჩივრის ავტორის მიერ შემოთავაზებულმა უზრუნველყოფის ღონისძიებამ შესაძლოა, ვერ უზრუნველყოს მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. საჩივრის ავტორის აზრით, მის მიერ შეთავაზებული უზრუნველყოფის ღონისძიება – საბანკო გარანტია ბევრად უკეთეს და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს იმისათვის, რათა კრედიტორმა ისეთი გაჭიანურებული პროცედურების დაცვის გარეშე, როგორიცაა, დაყადალებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად

გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ საჩივარი უარყო ქვემოთ მითითებული მოტივაციით:⁴⁵

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა სააპელაციო პალატის განჩინების კანონიერება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის ღონისძიების მეორით შეცვლის შესახებ მხარის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, რომელთა თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებასა და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება მიაჩინა მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ სასამართლოს შეუქმნას რწმენა.

⁴⁵ სუს განჩინება, 18 ივლისი, 2016, №ას-454-436-2016.

სასამართლოს აზრით, აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სასამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ცვლილება გამართლებულია და შესაძლებელია 795 000 ლარის საპანკო გარანტიის გამყენებით უზრუნველყოფილ იქნეს სარჩელი.

სასამართლოს აზრით, მართალია, სსსკ-ის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა, მაგრამ ამ ნორმით გათვალისწინებული შესაძლებლობა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მონინააღმდეგე მხარის კანონიერი ინტერესებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია, მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მოპასუხის მხრიდან სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის და არა საკუთარი შეხედუ-

ლებისამებრ განსაზღვრული თანხის განთავსებას. იგივე პრინციპი გამოიყენება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების ნაცვლად მოპასუხის მხრიდან საბანკო გარანტიის შეთავაზებისას. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ თანხაზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საოქმო განჩინების აღსრულება, სსსკ-ის 432-ე მუხლის შესაბამისად, დროებით შეჩერდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, აღნიშნული საოქმო განჩინება და ამ განჩინებით დამტკიცებული მორიგება კვლავ კანონიერ ძალაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ საჩივრდება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე არ არსებობს მისი შეცვლის მექანიზმი (შესაბამისად, შეუძლებელია განჩინებით დამტკიცებული მორიგების რომელიმე პირობის შეცვლაც), გარდა სსსკ-ის 421-432-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურისა.

სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული განჩინების (და, შესაბამისად, განჩინებით დამტკიცებული მორიგების) ბათილად ცნობის შესაძლებლობას. ასეთი მოთხოვნა უკვე წარადგინეს განმცხადებლებმა და საპელაციო სასამართლომ მიღლივ წარმოებაში.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული განცხადება მიჩნეულ იქნება საფუძვლიანად, გაუქმდება სააპელაციო მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინებები. შედეგად, განახლდება საქმისწარმოება მხარეთა შორის სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული თანხების მოცულობაზე, რომელიც ბევრად აღმატება როგორც მორიგების პირობებით გათვალისწინებული თანხის ჯამურ მოცულობას (975 000 ლარს), ისე – იმ თანხას (795 000 ლარს), რომელზეც მხარემ საბანკო გარანტია წარადგინა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია იმის განსაზღვრა, საქმის განახლების შემთხვევაში, როგორ იმოქმედებს მოსარჩელე (მას შეუძლია, შეამციროს მოთხოვნა ან ხელახლა მოურიგდეს მოპასუხეს, რა

შემთხვევაშიც, შესაძლებელია მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია გახდეს უზრუნველყოფის ადეკვატური და უფრო უკეთესი საშუალება), თუმცა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია 795 000 ლარზე არ არის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის შესაბამისი.

საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ, საქმის განახლების შემთხვევაში, განახლებისთანავე და განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოპასუხეს უფლება აქვს, კვლავ იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების სხვა ღონისძიებით, მათ შორის, საბანკო გარანტიით შეცვლაზე, რაც სასამართლოს მისცემს საშუალებას, ახალი გარემოებების გათვალისწინებით, კვლავ იმსჯელოს ამ საკითხზე.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმისწარმოების ამ ეტაპზე არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლები და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვა.

5.3. საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ მოპასუხის საჩივარი და შუამდგომლობა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ გამოხატა მხოლოდ ფულადი თანხის განთვალების ნება, მაგრამ რეალურად არ განუხორციელებია.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შემკვეთის სარჩელი მენარდის წინააღმდეგ და, ამჟანასკნელს, ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შემკვეთის სასარგებლოდ დაეკისრა 7000 აშშ დოლარის ანაზღაურება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 629-ე, 639-ე, 641-ე მუხლები). მენარდის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე დაწყებული სამართალწარმოებისას მოსარჩელემ წარადგინა შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, კერძოდ, მოპასუხის კუთვნილ ქონებაზე ყადაღის დადება და დავის დასრულებამდე ამ ქონებაზე რაიმე სახის სამართლებრივი მოქმედების განხორციელების აკრძალვა.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებით წარმოებაში მიიღო შემკვეთის დაზუსტებული შუამდგომლობა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ სსსკ-ის 371-ე, 271-ე, 193-ე, 191-ე და 198-ე მუხლებზე დაყრდნობით, იმსჯელა უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის მთავარ პრინციპზე, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას უკავშირდება. სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსარჩევის კანონიერი ინტერესები დაცულია იმ რეალობის ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე, შესაძლოა, არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდეს და საკუთარი ქონება გაასხვისოს, ფინანსური სახსრები განკარგოს, გადამალოს, რის შედეგადაც მოსარჩელის უფლება განუხორციელებელი დარჩება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე, მხოლოდ მოთხოვნის იურიდიული მართებულობა მოწმდება, რადგან მოთხოვნის დასაბუთებულობა და საფუძვლიანობა სარჩელზე არსებითად მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

სასამართლომ ასევე იმსჯელა, უფლების დროებით შეზღუდვის დროს, გონივრული ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის და მიზანშეწონილად მიიჩნია მოსარჩელის შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილება იმგვარად, რომ მოპასუხეს აეკრძალა, მის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების 1/10 (ერთი მეათედი) იდეალური წილის გასხვისება და სანივთოსამართლებრივი უფლებით დატვირთვა.

სსსკ-ის 196-ე მუხლზე მითითებით, სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობით მხარეთათვის მინიჭებულია შესაძლებლობა, სარჩევის უზრუნველყოფის ერთი სახე მეორით შეიცვლოს, რაც მოპასუხება ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს უძრავ ნივთზე ყადაღის სახით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა სხვა, მისთვის უფრო მისაღები უზრუნველყოფის ღონისძიებით, თუკი სასამართლოს მიერ გამოყენებული ღონისძიება მისთვის მიუღებელი აღმოჩნდება. მოპასუხემ (აპელანტი) საჩივარი წარადგინა მითითებულ განჩინებაზე და აღნიშნა, რომ სანარმო წარმატებულია, ამდენად, ვარაუდი, რომ გაძნელდებოდა გადაწყვეტილების აღსრულება, დაუსაბუთებელი იყო, ხოლო სანარმოს საქმიანობასა და სახელზე, ნეგატიურად აისახებოდა უზრუნველყოფის გამოყენებული ღონისძიება, რომელიც ხელყოფდა მოპასუხის უფლებას, აყენებდა ზი-

ანს და გაართულებდა ურთიერთობას ინვესტორებთან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, არ დაკმაყოფილდა მოპა-სუხის საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

სასამართლომ მოპასუხის საჩივრის არგუმენტები არ გაიზიარა, რადგან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ნაკლები საფრთხის შემცველი იყო მოპასუხისათვის, ვიდრე მისი გამოუყენებლობა მოსარჩელისათვის. მოპასუხის საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოპასუხემდა, სსსკ-ის 196-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა, ვინაიდან მოპასუხეთანახმა იყო, სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე შეეტანა 7000 აშშ დოლარი, რაც სრულად უზრუნველყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლომ განიხილა მოპასუხის საჩივრისა და შუამდგომლობის საფუძვლიანობა და არ დააკმაყოფილა⁴⁶ შემდეგი მოტივაციით:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 196-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობას, რომელიც საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დაიშვება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუმცა, ეს არ არის მხარის აბსოლუტური უფლება და, შეიძლება, გამოყენებული იქნეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების არსებობისას. მითითებული ნორმის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია, რომ ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას, მოპასუხეს შეუძლია, მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, დავა სწორედ ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარეობს და კანონით დასაშვები უზრუნველყოფის ღონისძიების ზომად თანხის დე-

⁴⁶ სუს განჩინება, 28 ივლისი, 2016, №ას-498-478-2016.

პოზიტიური განთავსება მიიჩნევა, თუმცა მოპასუხეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომ მან უკვე განათავსა მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფად შესაბამისი თანხა სადეპოზიტო ანგარიშზე, მან მხოლოდ ასეთი შესაძლებლობა განიხილა და შესთავაზა სასამართლოს უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების – მოპასუხის საკუთრებად რიცხულ ქონებაზე ყადალის მოხსნის სანაცვლოდ, თანხის მომავალში შეტანა სადეპოზიტო ანგარიშზე.

სასამართლომ მხარეთა ლეგიტიმური ინტერესების შეპირისპირების გათვალისწინებით, გამართლებულად მიიჩნია გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება, რათა მოსარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნააღსრულდეს. რაც შეეხება მოპასუხის შეზღუდულ უფლებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ მას ჰქონდა პროცესუალურსამართლებრივი შესაძლებლობა, რომ მის მიერვე მითითებული რისკების (საწარმოს ავტორიტეტი, შესაძლო გართულებები ინვესტორებთან, საქმიანობის შეფერხება) საპირონოები, რეალურად განეთავსებინა სადეპოზიტო ანგარიშზე შესაბამისი თანხა, რაც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებასა და მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფდა, თუმცა მოპასუხემ ეს სასამართლებრივი შესაძლებლობა არ გამოიყენა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ბალანსის გრივრულად შეფასებისას, სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია გადაწყვეტილების აღსრულებადობა, რაც რეალური უნდა იყოს. მოპასუხის შეთავაზება ეხება არა არსებულ ფაქტს – სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანას, არამედ მომავალ მოქმედებას, რაც უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების აღსრულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. სსკ-ის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე „სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა არის სასამართლოს უფლებამოსილება და არა ვალდებულება, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებით და მიზანშეწონილობით“ (სუსგ №ას-1165-1095-2015, 25.11.2015წ.). საპოლონდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხემ ვერ ნარადგინა სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მნიშვნელოვნად შეცვლილ გარემოებას და დაარწმუნებდა საკასაციო სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის მიზანშეწონილობაში.

- 5.4. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც გაუქმდა უძრავი ქონების გასხვი-სებაზე დადგენილი აკრძალვა და სარჩელის უზრუნველ-ყოფა განხორციელდა სადეპოზიტო ანგარიშზე უზრუნ-ველყოფის გარანტიის სახითშეტანილი თანხით, უცვლე-ლად დატოვა.

საქალაქო სასამართლოს განჩინებით, სარჩელის აღმდერამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ მოსარჩელის განცხადებანანილობრივ და კმაყოფილდა, პოტენციურ მოპასუხეს აეკრძალა უძრავი ქონე-ბის გასხვისება, ხოლო ამავე უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნაზე განმცხადებელს ეთქვა უარი. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით – 20 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ზემოხსენე-ბული ღონისძიება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩე-ლებმ.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოპასუხემ და მოითხოვა, სსსკ-ის 196-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს სა-დეპოზიტო ანგარიშზე უზრუნველყოფის გარანტიის სახით მის მი-ერ შეტანილი თანხით საქალაქო სასამართლოს განჩინებით გამო-ყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, რაც სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა, შეიცვა-ლა საქალაქო სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნ-ველყოფის ღონისძიება, გაუქმდა უძრავი ქონების გასხვისებაზე დადგენილი აკრძალვა და სარჩელის უზრუნველყოფა განხორცი-ელდა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზი-ტო ანგარიშზე განთავსებული 48 115 ლარით.

სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ განჩინებაზე საჩივარი წა-რადგინა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩი-ნებით საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასა-ლებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამარ-თლოს.

საკასაციო სასამართლომ შეაფასა რა გამოყენებული სარჩელის

უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის კანონიერება, არ დააკმაყოფილა საჩივარი და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვა⁴⁷ შემდეგი დასაბუთებით:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავის საგანსწარმოადგენს ფულადი ვალდებულების შესრულება, რომელსაც მოსარჩელე უკავშირებს მასა და მოპასუხეს შორის დადებულ სესხის ხელშეკრულებას, კერძოდ, სარჩელის თანახმად, მხარეთა შორის არსებობდა სასესხო ვალდებულება, რომლის შესრულების ვადაც, ურთიერთმოლაპარაკების გზით არაერთხელ შეიცვალა, ასევე, შეიცვალა სესხის ძირი თანხის ოდენობა და ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გამსესხებელმა (მოპასუხებმ) მსესხებელს (მოსარჩელეს) მოსთხოვა გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება იმ პირობით, თუკი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა, მხარები გააუქმებდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებას. მოსარჩელის განმარტებით, მან ვალდებულების დღროულად შესრულება ვერ უზრუნველყო, რის გამოც უძრავი ქონება მოპასუხის საკუთრებად დარჩა და სარჩელით მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს უზრუნველყოფის საგნის ღირებულებასა და სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე – მოსარჩელის ვალდებულების სხვაობას.

მოსარჩელეს არც გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობა გაუხდია სადავოდ და არც საკუთრების უფლებაზეარ განუცხადებია პრეტენზია.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მოპასუხის განცხადება, რომლითაც ამ უკანასკნელმა მოითხოვა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსებით შეცვლა, დასაბუთებულია იმით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებად გამოყენებული სახლი, მდებარეობს ე.წ. იტალიურ ეზოში, რომლის დანგრევითა და მის ნაცვლად ახლის აშენებით, დაინტერესებულია ინვესტიორი და მოპასუხეს, არსებული ფართის მაგივრად, სთავაზობს მეტი იდენტობისა და ღირებულების ფართს, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით კი, ზიანი ადგება მას. მოპასუხის მიერ საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებუ-

⁴⁷ სუს განჩინება, 29 ივლისი, 2016, №ას-650-621-2016.

ლი თანხა – 48 115 ლარი ეკვივალენტურია 20 000 აშშ დოლარისა, რომლის ანაზღაურებასაც მოსარჩელე ითხოვს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი, რომელიც წესრიგდება სასაკუ-ის 191-ე მუხლით, სასამართლოს მხრიდან იმ პრევენციული ღონისძიების სახეა, რომელიც ორიგინტირებულია მართლმსაჯულების აქტის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობასა და მხარის დარღვეული უფლების რეალურად აღდგენაზე. თავად ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ დაქმაყოფილდება სარჩელი, თუმცა მხოლოდ ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება, არ აღმოჩნდეს დარღვეული უფლების აღდგენის საუკეთესო საშუალება. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ წარმოადგენს საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას, არამედ, იგი ფორმალურ გარემოებებზე დაყრდნობით შექმნილი მოსამართლის შინაგანი რწმენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებაა, რომელიც საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით დამკვიდრებულ კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპის განუხრელ დაცვას მოითხოვს. სწორედ ამ პრინციპის დაცვას ემსახურება უზრუნველყოფის ღონისძიების ნორმების ის დათქმა, სადაც საუბარია მოპასუხის უფლებაზე, გაასაჩივროს ან მოითხოვოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიებით შეცვლა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასაკუ-ის 196-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა, რომლის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი: ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად – მოსარჩელის მიერ მოითხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსება, რომელიც შეესაბამება სარჩელით მოთხოვნილ თანხას, სწორად გახდა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის საფუძველი, რადგანაც მოპასუ-

ხის მიერ შეთავაზებული ზომა დავის საგნის დასაცავად ადეკ-ვატურია როგორც დასაშვებობის, ისე – საკმარისობის თვალ-საზრისით და, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი ქმნის მიღებული გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების გარანტიას.

საკასაციო პალატამ გაიზიარა მისი დაუსაბუთებლობის თაობაზე ქვემდგომი სასამართლოს განჩინების დასკვნა, რადგანაც რეალურად საჩივარი არ შეიცავს პრეტენზიას-მითითებას იმაზე, თუ რატომ არ შეიძლებოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორითშეცვლა.

6. სარჩელის უზრუნველყოფით გამოცვაული ზარალის ანაზღაურება

(სსსკ-ის 199-ე მუხლი)

- 6.1. საკასაციო სასამართლომ მოპასუხის განცხადებაზენარმოება შეწყვიტა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ გაასაჩივრაუზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების შუამდგომლობაზე უარის თაობაზე განჩინება, რომელიც არ საჩივრდება.

ერთ-ერთ საქმეზე,⁴⁸ შპს-ს განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელისათვის გარკვეული თანხის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების თაობაზე წარმოებაშეწყდა.

საქმის ფაბულის მიხედვით, მოპასუხემ სააპელაციო სამართალ-წარმოების ეტაპზე ისარგებლა სსსკ-ის 199-ე მუხლით განსაზღვრული უფლებით და სასამართლოს მოსთხოვა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა და გარანტიის სახით მოსარჩელის დავალდებულება გარკვეული თანხის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელის დავალდებულების თაობაზე მოპასუხის (აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის) შუამდგომლობანარდგენილი მტკიცებულებების არასაკმარისობის საფუძვლით. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან, სსსკ-ის 199-ე მუხლი სსენებულ საკითხზე მიღებული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, იგი შესულია კანონიერ ძალაში. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობა არსებითად იმავე საფუძვლებსა და სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იმ მტკიცებულებებს ემყარება, რაც არის გაზიარებული სასამართლოს კანონი-

⁴⁸ სუს განჩინება, 6 მარტი, 2017, №ას-28-25-2017.

ერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, შესაბამისად, საკასაციო პალატამ სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილისა (თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები) და 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმისწარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომ ელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით) მიჩნევს, რომ მხარის მოთხოვნაზე უნდა შეწყვდეს საქმისწარმოება.

6.2. საკასაციო სასამართლომ მოპასუხის ხელახალი განცხადება საპასუხო უზრუნველყოფაზე განუხილველად კი არ დატოვა, არამედ წარმოება შეწყვიტა, რადგან აღნიშნული განჩინება არ საჩივრდება.

სხვა საქმეში სს-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს-ს და მესამე პირის – ბანკის მიმართ უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების გაუქმების, ამ ქონების მოსარჩელის ერთპიროვნულ საკუთრებად აღიარებისა და მისი (მათი) მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ წარმოადგენს ქონების კეთილსინდისიერ მესაკუთრეს, ამავე საფუძველზე მითითებით, არც მესამე პირი არ დაეთანხმა სასამარჩელო მოთხოვნას.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით, სსსკ-ის 199¹ მუხლის შესაბამისად, გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმადაც შპს-ს აკრძალული ჰქონდა საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი სრულად გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა აპელანტის მოწინააღმდეგ მხარემ (მოპასუხე) და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, კერძოდ, მოსარჩელის (აპელანტის) დავალდებულება, 15 575 000 ლარი და 2 000 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი განათავსოს საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე;

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 მარტის განჩინებით – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის თაობაზე შპს-ს (მოპასუხის) განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი შუამდგომლობით მიმართა შპს-მ და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიღებული ან მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით შპს-ს განცხადება დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. გააუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინება და შპს-ს განცხადებაზე, რომლითაც იგი მოითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას, წარმოება შეწყვიტა.⁴⁹

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქალაქო სასამართლოს გა-

⁴⁹ სუს განჩინება 6 მარტი, 2017, №ას-28-25-2017.

დაწყვეტილებით, სსსკ-ის 199¹ მუხლის საფუძველზე გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა დავის საგნის გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა, თუმცა გადაწყვეტილება სრულად იქნა გასაჩივრებული საპელაციო წესით და იგი არცერთ ნანილში (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში) კანონიერ ძალაში არ შესულა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლი წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მარებული-რებელ საპროცესო დანაწესს და იგი მიმართულია პროცესის სუპი-ექტთა შორის თანასწორობის დაბალანსებისაკენ. კანონმდებელი, ამავე კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, ადგენს რა მოსარჩელის უფლების დაცვის რეალურ გარანტიას და დასაშვებად მიიჩნევს დროებითი ღონისძიების სახით იმგვარი საპროცესო საშუალების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც დარღვეული/სადავოდ ქცეული უფლების დაცვას ისახავს მიზნად, ამავდროულად, სავალდებულოდ მიიჩნევს მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას. თავად ნორმა განასხვავებს ორ შემთხვევას: როდესაც სასამართლო-სათვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით სავარაუდოა მოპასუხისათვის ზიანის მიყენება და როდესაც მოპასუხე დაასაბუთებს ზიანის დადგომის აღბათობას. საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ სსსკ-ის XXIII თავი წარმოადგენს სამართლნარმოების საგამონაკლისო სახეს და კანონი ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრავს ამ თავით რეგულირებული წარმოების თითოეულ ეტაპს, მათ შორის, ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება, შეცვლა, გაუქმება, ერთი და იმავე მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა და სხვა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხემ საპელაციო პალატას მიმართა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული (შესაძლო) ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე, რაც საპელაციო სასამართლომ განჩინებით არ დაკმაყოფილა. ანალოგიური მოთხოვნით მხარემ კვლავ მიმართა სასამართლოს. სსსკ-ის 275-ე მუხლზე მითითებით, გასაჩივრებული განჩინებით, განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული.

მითითებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა კერძოსაჩივრის ავტორის მითითება გასაჩივრებული განჩინების საპროცესო დარღვევით მიღების თაობაზე და განმარტა, რომ მოქმედი რედაქციის სსსკ-ის 199-ე მუხლი სარჩელის უზ-

რუნველყოფის ლონისძიების გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საკითხზე მიღებული განჩინების გასაჩივრებას არ ითვალისწინებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება მიიჩნევა კანონიერ ძალაში შესულად. ასეთ ვითარებაში კი, თუ მხარე იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით განმეორებით მიმართავს სასამართლოს, საკითხი უნდა დარეგულირდეს არა სსკ-ის 275-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით (სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით), არამედ – 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმისწარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოყენებით დაგაზრდის მიავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით). შესაბამისად, საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინება გააუქმა სსკ-ის 393-ე (3) მუხლით დადგენილი საფუძვლით და შპს-ს განცხადებაზე წარმოება შეწყვიტა.

6.3. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ლონისძიება, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ შეასრულა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ანგარიშზე თანხის განთავსების ვალდებულება. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის საჩივარი არ დააკმაყოფილა და გადაგზავნა უზენაეს სასამართლოში. საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის საჩივარი განუხილველად დატოვა დაუშვებლობის გამო, ვინაიდან დაირღვა სსკ-ის 419-ე მუხლით დადგენილი წესი ზემდგომი სასამართლოს განჩინების კერძო საჩივრით გაუსაჩივრების შესახებ.

მოსარჩელის შუამდგომლობა მოპასუხეების მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების მოთხოვნით წარმობრივ დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლოს განჩინებით მეორე საწარმოს აეკრძალა მის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, ასევე – ბუნებრივი

რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, სასამართლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გასხვისება. მესამე საწარმოს აეკრძალა მის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. საქალაქო სასამართლოს განჩინებით მოპასუხეთა საჩივარი უარყოფილ იქნა და საქმე გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში. საქალაქო სასამართლოს პირველმა და მეორე მოპასუხებმა განცხადებით მიმართეს და მოითხოვეს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება – 8 594 247.07 აშშ დოლარის ოდენობით (სსკ-ის 199.1- მუხლი), რაც არ დაკმაყოფილდა სასამართლოს განჩინებით. ამავე განჩინებაზე იგივე მოპასუხეთა მიერ შეტანილი საჩივარიც უარყოფილ იქნა საქალაქო სასამართლოს განჩინებით და საქმე გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს. მოპასუხეებმა – პირველმა და მეორე საწარმოებმა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, შუამდგომლობით მიმართეს სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს მოპასუხეთათვის მოსალოდნებლი მინიმალური ზიანის – 8 594 247.07 აშშ დოლარის ოდენობით უზრუნველყოფის სახით მოსარჩელის დავალდებულება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სამი საწარმოს საჩივარი საქალაქო სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც მოსარჩელის სარჩელი უზრუნველყოფილ იქნა და უკვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით დაკმაყოფილდა პირველი და მეორე საწარმოების (მოპასუხეთა) შუამდგომლობა და საქალაქო სასამართლოს განჩინებით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის გარანტია, კერძოდ:

მოსარჩელეს დაევალა, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის განთავსება ამ განჩინების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით გაუქმდა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზ-

რუნველყოფის ღონისძიება, რასაც საფუძვლად დაედო ის გა- რემობა, რომ ამავე სასამართლოს განჩინებით მოსარჩელეს და- ევალა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის განთავსება, რაც მან ვერ უზრუნ- ველყოდადგენილი შვიდდღიანი ვადის მიხედვით. ვინაიდან გან- ჩინებით განსაზღვრული ვალდებულება მოსარჩელეს არ შეუს- რულებია, საპროცესო კოდექსით, სამართლებრივი შედეგი სარ- ჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმებაა (სსსკ-ის 199-ე მუხლი).

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სა- ჩივრით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა როგორც სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება, რომლითაც გაუქმდა საქალაქო სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნ- ველყოფის ღონისძიება, ისე – სააპელაციო სასამართლოს სა- მოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების გაუქმებაც, რომლი- თაც მოსარჩელეს დაევალა სარჩელის უზრუნველყოფის ღო- ნისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზ- ღაურების უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩი- ნებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და საჩივრი საქ- მის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სა- სამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის საჩივარი განუხილველად დატოვა დაუმცვებლობის გამო სსსკ-ის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.⁵⁰

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო პროცესი თა- ნაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მო- სარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნ- ველყოფის ინსტიტუტისა და მასზე წარდგენილი პრეტენზიაუნდა შეფასდეს ორივე მხარის პოზიციის გათვალისწინებით (იხ. სუსგ ნეას-859-825-206 წ. 28.11.2016 წ.).

⁵⁰ სუს განჩინება, 4 მაისი, 2017, ნეას-402-375-2017.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელის განცხადება დაკმაყოფილდა საქალაქო სასამართლოს განჩინებით. საქალაქო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია სარჩელზე და არ მიუღია გადაწყვეტილება. სარჩელის გამო სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოშია.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება მოპასუხეებმა გაასაჩივრეს, რაც არ დაკმაყოფილდა იმავე ინსტანციის სასამართლოს განჩინებით და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს (სსსკ-ის 1971 მუხლის მე-2 ნაწილი).

სააპელაციო სასამართლოს საქმისწარმოების ეტაპზე კი, მოპასუხეთაგან პირველმა და მეორე საწარმოებმა შუამდგომლობით მოითხოვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოპასუხეთათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად მოსარჩელის დავალდებულება, რათა ამ უკანასკენელს სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე განეთავსებინა გარკვეული თანხა. მოპასუხეთა აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, ხოლო იმავე სასამართლოს განჩინებით გაუქმდა საქალაქო სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მეორე და მესამე საწარმოების კუთვნილ ქონებაზე. სწორედ ამ ორი უკანასკნელი განჩინების თაობაზე მოსარჩელის მიერ წარდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 1971 მუხლით დადგენილია სასამართლოს მიერ საჩივრისა წარმოებაში მიღება და განხილვა და საჩივრისა და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში, კერძოდ: „1. სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად; 2. თუ სასამართლო საჩივარს დასასამართლებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში; 3. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემა-

ტებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს; 4. ზემდგომი ინ-სტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით“.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, განსახილველ შემ-თხვევაში, ზემდგომმა – სააპელაციო სასამართლომ მოპასუ-ხეთა შუამდგომლობა განიხილა სსსკ-ის 419-ე და 420-ე მუხლე-ბით დადგენილი წესებით და დააკმაყოფილა მოთხოვნა. მოსარ-ჩელის მიერ კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებ-ლობის გამო, მოსარჩელის სასარგებლოდ, საქალაქო სასამარ-თლოს განჩინების საფუძველზე გამოყენებული უზრუნველყო-ფის ღონისძიება გააუქმა სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატამ განჩინებით. სსსკ-ის 419-ე მუხლით დადგენილი წესის გამოყენება კი, იმას ნიშნავს, რომ ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის, განსახილველ შემ-თხვევაში, საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება და, ამდენად, სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე ამავე სასამართლოს განჩინებით დასრულდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონის-ძიების გაუქმების შესახებ მოსარჩელის მიერ წარდგენილი სა-ჩივრის განხილვა, რადგან სააპელაციო სასამართლომ, რო-გორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, იმსჯელა და გა-ნიხილა მოპასუხეთა შუამდგომლობა და ამასთან დაკავშირე-ბით წარდგენილი მოსარჩელის საჩივარი. აქედან გამომდინარე, მოპასუხის საჩივარი ზემდგომი სასამართლოს განჩინებაზე განუ-ხილველად უნდა დარჩენილიყო, რადგან სსსკ-ის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილით (რომელიც თავის მხრივ სსსკ-ის 419-420-ე მუხლებით დადგენილ წესზე მიუთითებს), სააპელაციო სასამართლოს განჩი-ნებაზე საჩივარი აღარ დაიშვებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სსსკ-ის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც ქვემდგომიდან ზემდგომ სასამართლოში საქმის გა-დაგზავნას გულისხმობს და სამართალწარმოების ორეტაპს მო-იცავს, პირველი ინსტანციის სასამართლოდან მოყოლებული მხარისათვის საკასაციო სასამართლოს ჩათვლით სამართალ-წარმოების უფლების მინიჭებით სამეტაპიან განხილვას წარ-მოადგენს. განსახილველ შემთხვევაში, პროცესუალური საკით-ხის მართებულად განსამარტად მნიშვნელოვანია, რომ პირვე-ლი ინსტანციის, როგორც ქვემდგომი სასამართლოს მიერ სარ-ჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული განჩინება და მასთან დაკავშირებული საჩივრებისა თუ შუამდგომლობების

წარდგენა მხარეთა მიერ და სასამართლოს მიერ განხილვა უნდა დასრულდეს ზემდგომ სასამართლოში. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეებმა საქმის საპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მოითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ) მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა, აღნიშნული მაინც ზემდგომი ინსტანციის სამართალწარმოებას განეკუთვნება და აქ უნდა დასრულებულიყო სსსკ-ის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი ორეტაპიანი სამართალწარმოება.

6.4. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის, ასევე – ამავე სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ და საპასუხო უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოპასუხება განცხადებახელა განსახილველად დაპრუნა სააპელაციო სასამართლოში.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობა და კმაყოფილდა ნაწილობრივ. მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებს აეკრძალათ თავიანთ საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედო მეორე და მესამე მოპასუხეების წილებს საწარმოებში, ასევე – მეორე და მესამე მოპასუხეების საკუთრებაში არსებულ ავტომობილებს. მოსარჩელის წარმომადგენლების შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის სახით საქართველოში არსებულ ყველა საბანკო დაწესებულებაში პირველი მოპასუხის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე 3 636 986 აშშ დოლარის ფარგლებში დაყადალების, ასევე, მეოთხე მოპასუხის რიცხულ ავტომობილებზე სამართლებრივი რეჟიმის შეცვლის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით – მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეების საჩივარი არ დაკ-

მაყოფილდა და უცვლელად დარჩასარჩელის უზრუნველყოფის შე-სახებ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს მეორე, მესა-მე და მეოთხე მოპასუხეებმა და მოითხოვეს მოსალოდნელი ზარა-ლის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტია.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩი-ნებით საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინებით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიე-ბაზე გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის გარანტია; მოსალოდ-ნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით კომპა-ნიას დაევალა 3 636 986 (სამი მილიონ ექვსას ოცდათექვსმეტი ათას ცხრას ოთხმოცდაექვსი) აშშ დოლარის განთავსება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარ-ტუმენტის სადეპოზიტო ანგარიშზე, სასამართლოს განჩინების ჩა-ბარებიდან 7 დღის განმავლობაში;

მოსარჩელეს განემარტა, რომ სასამართლოს განჩინებით დადგე-ნილი თანხის შეტანის დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა წარედგინა სააპელაციო სასამართლოში განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში. კომპანიას ისიც განემარტა, რომ განჩინე-ბით დადგენილი თანხის შეტანის დამადასტურებელი მტკიცებუ-ლების 7-დღიანი ვადით სააპელაციო სასამართლოში წარუდგენ-ლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გაუქმდებოდა სარჩელის უზ-რუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ საქალაქო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩი-ნებით, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით გამოყენე-ბული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რადგან მოსარჩე-ლემ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დადგენილი ვადით სა-ერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავ-სების დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარუდგინა.

სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა კომპანიამ და მო-ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინებების გაუქმება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად და-

აკვალიფიცირა მხარეები მეწარმე სუბიექტებად, ამასთან, სასამართლომ მათ მიმართ არასწორად გამოიყენა მეწარმე სუბიექტი-სათვის ზიანის მიყენების პრეზუმაცია. საჩივრის ავტორმა მიუ-თითა იმ მტკიცებულებათა არარსებობაზეც, რომელიც მხარეები-სათვის ზიანის მიყენების ფაქტს დაადასტურებდა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩი-ნებით კომპანიის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იგი საქმის მასა-ლებთან ერთად, სსსკ 1971-ე მუხლის თანახმად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეცვანა.

საკასაციო სასამართლომ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-ტის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყე-ნების გამომოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფისა და ამავე სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიე-ბის გაუქმების შესახებ. სასამართლომ ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხების მიერ ნარდგენილი განცხადება – მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ.⁵¹

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით აღნიშ-ნა, რომ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით კომპანიის მიერ აღძრული სარჩელი ოთხი მო-ვასუხის წინააღმდეგ ნაწილობრივ დაექმაყოფილდა და მოპასუხე-თაგან მხოლოდ პირველს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 3 636 986 აშშ დოლარის გადახდა. ამასთან, მოსარჩელის წარმომად-გენლების შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის სახით სა-ქართველოში არსებულ ყველა საბანკო დაწესებულებაში პირველი მოპასუხის კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებ-ზე 3 636 986 აშშ დოლარის ფარგლებში დაყადალების თაობაზე, ასევე, მეოთხე მოპასუხის რიცხულ ავტომობილებზე სამართლებ-რივი რეჟიმების შეცვლის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ამავე გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთხოვნა მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხებისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრე-ბის ნაწილში არ დაკმაყოფილდა და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღო-

⁵¹ სუს განჩინება, 11 იანვარი, 2018, №ას-1470-1390-2017.

ნისძიება, რომლითაც მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებს აეკრძალათ მათ საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონებების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა, ყადაღა დაედო მეორე და მესამე მოპასუხეების წილებს საწარმოებში, ასევე – მეორე და მესამე მოპასუხეების საკუთრებაში არსებულ ავტომობილებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, სარჩელის ერთ-ერთ ფაქტობრივ საფუძვლად მოსარჩელე, რომელიც ბელგიაში რეგისტრირებული იურიდიული პირია, უთითებს, რომ მეორე და მესამე მოპასუხე ფიზიკური პირები არიან მეოთხე მოპასუხე საწარმოს მესაკუთრეები, თავის მხრივ, მეოთხე მოპასუხე საწარმოს დირექტორია მესამე მოპასუხე; ამასთან, პირველი მოპასუხე საწარმოს მესაკუთრეა მეოთხე მოპასუხე საწარმო. მოპასუხეებმა მოსარჩელე კომპანიის მიმართ აღიარეს ვალი და იყისრეს მისი კონკრეტული გრაფიკით დაბრუნება, რაც ხელშეკრულებაშია ასახული, თუმცა, მისი პირობები დაირღვა. მოსარჩელის მიმართ არსებული დავალიანების ამოღება ვერ ხერხდება პირველი მოპასუხე საწარმოსაგან, რადგან მას ქონება არ გააჩნია.

სასამართლომ უზენაესი სასამართლოს მყარ პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი და მისი განხორციელების საპროცესო წინაპირობები და მიუთითა, რომ – „გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხესის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებულია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს“ (**ნეას-**

859-825-2016, 28.11.2016, სუსგ №ას-450-422-2017, 11.04.2017).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ პირველი მოპასუხისათვის დაკის-რებულია 3 636 986 აშშ დოლარი, ხოლო საქალაქო სასამართლოს განჩინებით არ დაკამაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელით მოთხოვნილი თანხის ფარგლებში პირველი მოპასუხე სანარმოს კუთვნილ საბანკუ ანგარიშებზე ყადალის დადებისა და მეოთხე მოპასუხე საწარმოზე რიცხულ ავტომობილებზე სამართლებრივი რეჟუმის შეცვლის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ რეალურად უნდა შეაფასოს მოსარჩელის მოთხოვნის პერსპექტიულობა, მათ შორის, მის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის საკითხი, რადგან გადაწყვეტილების აღსრულებადობა პირისათვის უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია.

საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელე კომპანიის საჩივრის პრეტენზიები და მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში, რომლითაც დაკამაყოფილდა მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეების განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის შესახებ, არ არის დასაბუთებული. ის ზიანი, რომელიც შესაძლოა, განმცხადებლებს (მოპასუხეებს) მიადგეთ მათ უძრავ-მოძრავ ქონებაზე მოსარჩელის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამო. მარტო დადგენ ის მსჯელობა, რომ მეოთხე მოპასუხე სანარმოა, ხოლო მეორე და მესამე მოპასუხეები, რომლებიც ფიზიკური პირები არიან და მათ, როგორც საქართველოში ერთ-ერთ წარმატებულ მენარმეებს, ზიანი ადგებათ, რადგან მათ საკუთრებაში არსებული ქონების სამენარმეო საქმიანობისათვის გამოყენება შეზღუდული აქვთ საქალაქო სასამართლოს განჩინებით, არასაკმარისი დასაბუთებაა, რადგან „საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით მოპასუხისათვის განსაზღვრულია უფლებამოსილება, განცხადებით მოითხოვოს მისი უზრუნველყოფის გარანტია სასამართლოსაგან. **თუმცა მისი გამოყენების აუცილებლობა მოპასუხის (მოვალის) მტკიცების ტვირთია (სსსკ-ის 102-ე მუხლი),** ვინაიდან ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დაგება მაშინ, როდესაც სასამართლოს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ უზრუნველ-

ყოფის ღონისძიებაშეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს და ასე-ვე სახეზეა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზრუნველყოფის ღონისძიებით ადგება ან შეიძლება მიადგეს. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ზიანის უზრუნველყოფის გამოუყენებლობის შემთხვევაში ზიანი მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება ხდება და მან უნდა ამტკიცოს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მისი უფლებები დაუშვებლად ილახება და ზიანი ადგება, ან გარდაუვალია მისთვის ზიანის მიყენება (სსსკ-ის 199-ე, მე-4 და 102-ე მუხლი)...“ (სუსგ ას-450-422-2017, 11.04.2017).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საჩივრის ხელახლა განმხილელმა სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რამდენად შეასრულა მოპასუხების ტკირთი და, თუკი დაადგენს მოპასუხეთათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების გამო მოსარჩელისათვის უზრუნველყოფის გარანტიის დავალებას, ისიც უნდა შეაფასოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სარჩელის, ანუ ფულადი თანხის იდენტური ოდენობით უნდა დაუვალოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, თუ შესაძლებელია ამ უკანასკნელისათვის სხვა ოდენობის თანხის დაკისრება. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს დავის ფაქტობრივი გარემოებები, მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სანდობა და დასაბუთებულობა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის და, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნიმა მოპასუხებაც უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტო და ეჭვის ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ. მოხმობილი ნორმით გათვალისწინებული საპასუხო უზრუნველყოფა არის მოპასუხის ინტერესების სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს გაუმართლებელი ღონისძიებით მი-

ყენებული ზარალის ანაზღაურებას. სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელის უზრუნველყოფის გარანტირება მოახდინოს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე -მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში, მისი გამოყენება დამოკიდებულია მოსალოდნელ, შესაძლო ზიანის წარმოშობის საფრთხესთან. ასეთი საფრთხის ვარაუდს უნდა ქმნიდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რამაც შესაძლოა მხარეს ზიანი მიაყენოს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის გამოყენებისა და მტკიცებულებათა სრულფასოვნად გამოკვლევის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება და მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა მოსთხოვა, რისი შეუსრულებლობის გამო გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ ართანასწორი მტკიცების ტვირთი დაკისრა მოსარჩელეს, რითაც საფრთხე შეექმნა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიას, რისთვისაც არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი. მხარემ, რომელიც ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, უნდა მიუთიოთს იმ მოსალოდნელ ზიანზე, რაც შეიძლება რეალურად მოჰყვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას და, შესაბამისად, სარწმუნოდ დასაბუთოს თავისი მოსაზრება. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ვალდებულება, რომელიც ადასტურებს მოსარჩელისაგან შესაბამისი გარანტიის წარდგენის აუცილებლობის ვარაუდს, ეკისრება განმცხადებელს, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (სუსგ № ას-832-884-2011, 13.06.2011).

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სააპელაციო სასამართლო-სათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მიზნად ისახავს, გარანტირებულ იქნეს მხარეთა თანასწორობისა და მტკიცებულებათა შეფასების სსსკ-ით დადგენილი სტანდარტები. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, თავისთვად ცხადია, მოვალის უფლებები იზღუდება, თუმცა, ეს კანონით გათვალისწინებული საშუალებაა, დაცულ იქნეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღუსრულებლობის საფრთხისგან. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო

ვარაუდის საფუძველზე იღებს (სსსკ-ის 191.1-ე მუხლი), ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილება უფრო მაღალ სტანდარტს ეფუძნება, ვიდრე ვარაუდია (სსსკ-ის 199.1-ე მუხლი). სწორედ ამიტომ, უზენაესმა სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ ზედმინევნით შეაფასოს მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხების განცხადება, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ, მოპასუხეთა კუთვნილი მტკიცების ტვირთის დაძლევის შეფასების გზით.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ-ის 196-ე მუხლი მოპასუხეს შესაძლებლობას აძლევს, შეიმსუბურეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით დაკისრებული ტვირთი, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის სარჩელი მისი მოთხოვნის ფარგლებში უზრუნველყოფილია და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას ეჭვქვეშ არ აყენებს.

6.5. საკასაციო სასამართლომ უარყო მოსარჩელის საჩივარი, ვინაიდან მოსარჩელემ არ განათავსა შესაბამისი თანხეა საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური დეპარტამენტის ანგარიშზე, რაც უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი გახდა.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით – მოსარჩელის წარმომადგენლის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ერთ-ერთ მოპასუხეს აეკრძალა საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებაზე საჩივარი შეიტანა მოპასუხის წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა მოსარჩელისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა 10350 აშშ დოლარის ეკვივალენტილარის სასამართლო სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების გაუქმება მოითხოვა. საჩივრის ავტორის

განმარტებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მნიშვნელოვანი ზიანი ადგება მოპასუხეს, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ მან გაყიდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და უნაღდო ანგარიშსნორებით მიიღო 335 000 აშშ დოლარი, ხოლო უძრავი ქონების გაყიდვისა და კლიენტის მოძიებისათვის ფიზიკურ პირს გადაუხადა 10350 აშშ დოლარი საშუამავლო ხელშეკრულების თანახმად.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით წარმომადგენლის მოთხოვნა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის, ასევე, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების გაუქმების შესახებ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. წარმომადგენლის საჩივარი საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების გაუქმების თაობაზე მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად გადაეცვა სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, საქალაქო სასამართლოს განჩინების (რომლითაც გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება) გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა. გაუქმდა საქალაქო სასამართლოს განჩინება, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე, მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების თაობაზე მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს დაევალა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 10350 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის შეტანა განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში და ამავე ვადაში სააპელაციო სასამართლოსათვის თანხის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. ამავე განჩინებით მოსარჩელეს განემარტა, რომ განჩინებით დადგენილ ვადაში თანხის გადაუხდელობისა და სააპელაციო სასამართლოსათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანის დამადასტურებელი საბუთის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდებოდა.

მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და საქალაქო სასამართლოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ითხოვა იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელეს განჩინება კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა და ჩაპარდა, თუმცა მან დადგენილ ვადაში სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით – გაუქმდა საქალაქო სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. მოიხსნა შეზღუდვა, რომლითაც მოპასუხეს აეკრძალა საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი შეიტანა მოსარჩელის წარმომადგენელმა, რომელმაც სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება და საქალაქო სასამართლოს განჩინებით მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვება მოითხოვა. ამის მიზეზად, მოსარჩელის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ მიღებული განჩინებით, მართალია, დაიცვა მოპასუხეების უფლებები, მაგრამ არ გაითვალისწინა მოსარჩელის უკიდურესად გაჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობა. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის, რომ მოსარჩელე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, ცხადია, ვერ შეიტანდა საქართველოს ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 10350 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარს. გარდა ამისა, მთელი მისი ოჯახი ცხოვრობს ნაქირავების ბინაში, ოჯახის წევრები არიან უმუშევრები, მოსარჩელის შანმრთელობა კი, საკმაოდ მძიმეა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ქონებაზე შეზღუდვის მოხსნა იყო არასწორი, რადგანაც არაკეთილსინდისიერ მოპასუხეებს საშუალება ეძლევათ, სადავო ქონებას მესამე პირზე გაასხვისონ.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლომ საჩივარი უარყო⁵² შემდეგი დასაბუ- თებით:

პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლი ითვალისწინებს მო-
პასუხის ინტერესების დაცვის ორნაირ საშუალებას, პირველი –
მოსარჩელის მიერ იმ ზარღლის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მო-
პასუხეს სარჩელის უზრუნველყოფით და მეორე – მოპასუხისათ-
ვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზ-
რუნველყოფის ეს კონკრეტული სახე ემსახურება მოპასუხის ინ-
ტერესების დაცვას.

სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი მიმართულია იმისკენ, რომ
იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის უზრუნველყოფა არამართებული
გამოდგება, მოპასუხის უფლებები სათანადოდ იქნება დაცული და
სარჩელის უზრუნველყოფით გამოყენებული ღონისძიების შედე-
გად მას ზიანი დაუსაბუთებლად არ მიადგება. მოპასუხე კი, სსსკ-
ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია,
სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების გა-
რანტიის გამოყენების საჭიროება, რაც, მოცემულ შემთხვევაში,
მოპასუხემ უზრუნველყო, მოსარჩელემ კი – ამის გაბათილება ვერ
შეძლო.

სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირ-
ველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი, რომელმაც
მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალ-
დებულია, უზრუნველყოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარა-
ლის ანაზღაურება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რო-
მელიც არ უხდა აღემატებოდეს 30 დღეს. წინააღმდეგ შემთხვევა-
ში, სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს სარჩელის უზრუნველ-
ყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინებას, რომელიც ექ-
ვემდებარება საჩივრის ფორმით გასაჩივრებას.

ვინაიდან მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს სამოქა-
ლაქო საქმეთა პალატის განჩინებით გაუქმდა საქალაქო სასამარ-
თლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება
და სადავო ქონებაზე მოიხსნა შეზღუდვა, აღნიშნულ განჩინებაზე
კი საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ მისი გაუქმების მოთხოვნით.
სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება დაუსაბუ-

⁵² სუს განჩინება, 15 ივლისი, 2019, №ას-939-2019.

თებლობის გამო გახდა საკასაციო სასამართლოს მსჯელობის სა-
განი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამარ-
თლომ სწორად გამოიყენა სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის
ბოლო წინადაღება და მას შემდეგ, რაც განჩინებით დადგენილ გა-
დაში მოსარჩელემ მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალი არ აა-
ნაზღაურა, გააუქმა საქალაქო სასამარლოს განჩინებით გამოყე-
ნებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარ სააპელაციო პალატის განჩი-
ნების დასაბუთება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-
უქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამდლვრების არსებობას-
თან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ განმცხადებელმა სარწმუნოდ
ვერ დაასაბუთა და სასამართლოს ვერ შეუქმნა დასაბუთებული ვა-
რაუდი, თუ რატომ არ შეასრულა მან დაკისრებული მოვალეობა,
კერძოდ, რატომ არ განათავსა დადგენილ ვადაში საქართველოს
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარ-
ტამენტის სადეპოზიტო ონგარიშზე 10350 აშშ დოლარის ეკვივა-
ლენტილარი. საკასაციო პალატა ასევე დაეთანხმა სააპელაციო პა-
ლატის მსჯელობას, რომ მოსარჩელის, როგორც შეზღუდული შე-
საძლებლობების მქონე პირის სტატუსი, ამ შემთხვევაში, არ გამო-
რიცხავდა მისთვის უზრუნველყოფის გარანტის მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა,

ვინაიდან, სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-
5 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი შეზღუდული შესაძ-
ლებლობების მქონე პირებს ათავისუფლებს მხოლოდ საერთო სა-
სამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გა-
დახდისაგან და არა სხვა საპროცესო კანონმდებლობით გათვალის-
წინებული ღონისძიებებისაგან, საპროცესო მოქმედების განხორ-
ციელების მიზნით, კანონით გათვალისწინებული თანხების გადახ-
დაში შხარისათვის შეღავათი დადგენილია მხოლოდ სახელმწიფო
ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი თანხებისათვის და არა,
მონინააღმდეგე მხარის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების
მიზნით, უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენაში.

სამართლებრივი დასკვნა

მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, რაც შესაძლებელია საქმეზე მხოლოდ სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გზით. მართლმსაჯულების შედეგი სამართლანობის მიღწევა, აღდგენა, **უზრუნველყოფა უნდა იყოს.** „ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტ. მ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.)⁵³

მოდავე მხარეების მიზანია მათი მოთხოვნების, სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილება, რაც მხოლოდ, ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებით ვერ მიიღწევა, თუ გადაწყვეტილება არ აღსრულდა. გადაწყვეტილების აღსრულება კი გარანტირებულია, არა მარტო იძულებითი აღსრულების ეტაპზე, არამედ, სამართალწარმოების განმავლობაში საპროცესო უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით.

კვლევაში მითითებულ საქმეთა ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ მოდავე მხარეთა ინტერესი მნიშვნელოვანნილად განპირობებულია სარჩელის უზრუნველყოფისა და ამ უზრუნველყოფით გამონვეული შესაძლო ზიანის (საპასუხო უზრუნველყოფის) უზრუნველყოფით. შესაბამისად, მხარეები საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ითხოვენ, როგორც სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფას, ისე ე.ნ. საპასუხო უზრუნველყოფას, რითაც მყარ გარანტიას იქმნიან მათთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების აღსასრულებლად ან გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამო მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

წინამდებარე სამართლებრივ დასკვნაში მოცემულია საპროცესო უზრუნველყოფის შესახებ უზენაესი სასამართლოს ძირითადი განმარტებები და მოსაზრებები, რაც ნათელყოფს განსახილველ თემაზე არსებულ პრაქტიკასა და სამართლებრივ ვითარებას.

- საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარ-

⁵³ სუს განჩინება, 4 დეკემბერი, 2019, №ას-1191-2019.

ტა, რა სსსკ-ის 191-ე მუხლის შინაარსი, აღნიშნა, რომ ამ ნორმიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მართლმსაჯულების რეალური განხორციელების ამოცანასა და სასამართლოს მიერ ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი სიკეთით კრედიტორის სარგებლობის ხელშეწყვეტას ემსახურება, რათა გადაწყვეტილების კანონიერ დალაში შესვლის დროისათვის, მისი ინტერესი მოვალის არაკეთილსინდისიერების გამო არ შეილახოს, ხოლო მართლმსაჯულება ფორმალური არ გახდეს. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მოსარჩელის ინტერესების დაცვის ქმედით, თუმცა დროებით ზომას. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენებისას, ბუნებრივია, შეფასების ობიექტი იმ სამომავლო სიკეთის დაცვაა, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებას შედეგია, თუმცა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია პროპორცია ამ სიკეთესა და მოპასუხის ინტერესის შეზღუდვას შორის, ანუ სასამართლომ უნდა დაასკვნას, რომ არსებობს სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობები და ამის პარალელურად მოპასუხისათვის დაწესებული შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული.⁵⁴

- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც წესი, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დასაბუთებული განცხადების პირობებში გამოიყენება, თუმცა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთები-სადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს არც სსსკ-ის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება-

⁵⁴ სუს განჩინება 9 ნოემბერი, 2018, №ას-1368-2018.

სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა წონიდეს ვარა-უდს მის არარსებობაზე.⁵⁵

- საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებასა და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუწინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებგანჩინებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება, დაკამაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. თუმცა, გასათვალისწინებელი, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტი უნდა შეფასდეს როგორც მოსარჩელის, ისე – მოპასუხესის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, ერთი მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა

⁵⁵ სუს განჩინება, 3 დეკემბერი, 2012, №ას-1461-1379-2012.

შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს.⁵⁶

- საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ შეუქმნას რწმენა.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების, თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

საკასაციო სასამართლოს აზრით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი უკავშირებს სარჩელის სა-

⁵⁶ სუს განჩინება, 28 ნოემბერი, 2016, № ას-859-825-2016.

მართლებრივ პერსპექტიულობასაც და აფასებს, თუ რამდენად მო-
სალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული და-
ვის სამართლებრივ ბეჭდზე გავლენას ვერ მოახდენს.

- სსსკ-ის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო
პალატამ მიუთითა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამო-
ყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ
იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიე-
ბის გარეშე, თუ რამდენად შეუძლის ხელს მართლმსაჯულების
მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გა-
დაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

საკასაციო პალატის განმატებით, სსსკ-ის 271-ე მუხლის სიტყვა-
სიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველ-
ყოფილი იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსას-
რულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არ-
სებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულე-
ბის უზრუნველყოფა, გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ დაუ-
ყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანო-
ნის ამგვარი განმარტება დასახელებული წორმის მიზნებიდან გა-
მომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით
დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე, სა-
ვალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში
დაცვა, რათა სამართლწარმოება ფორმალური ხასიათის არ გახ-
დეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწ-
ყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წე-
სის გამო, მსგავს ღონისძიებასასასამართლოს მხრიდან არ საჭირო-
ებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვე-
ტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედ გვევ-
ლინება.

განმცხადებლის დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვე-
ვაში, სასამართლოს უფლებაა და, იმავდროულად, ვალდებულე-
ბაც ლეგიტიმურ საფუძველზე და გონივრულ ფარგლებში განახორ-
ციელოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღო-
ნისძიება (სსსკ-ის 271-ე, 191-ე 198-ე მუხლები).⁵⁷

⁵⁷ სუს განჩინება, 19.03.2015, №ას-69-63-2015. მითითებულია: 11 აპრილი,
2017, №ას-450-422-2017.

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითად დარჩენილიყო. წებიშიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ანილად უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. საქმეშპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ”). სხვა საქმეში ევროსასამართლომ ასევე განმარტა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ – ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება (იხ. Hornsby, cited above, §§40 and seq).⁵⁸
- წინასწარი სამართალწარმოება (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება), ევროსასამართლის განმარტებით, ზოგიერთ შემთხვევაში, ექცევა კიდევაც ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სფეროში. საქმეზე – „მიქალეფი მაღატის წინააღმდეგ“ (საჩივარი №17056/06) ევროსასამართლოს დიდა პალატამ განმარტა შემდეგი: იმისათვის, რომ გამოყენებადი იყოს მე-6 მუხლი, მისი „სამოქალაქო“ ნაწილის მხრივ, უნდა არსებობდეს დავა სამოქალაქო უფლების ირგვლივ, რომელიც, თუნდაც სადაცვო საფუძვლებზე, აღიარებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა იგი კონვენციის მიერ. დავა უნდა იყოს ნამდვილი და მნიშვნელოვანი; იგი შესაძლებელია, ეხებოდეს უფლების არა მარტო რეალურ არსებობას, არამედ მის მასშტაბსა და განხორციელების საშუალებასაც; და ბოლოს, სამართალწარმოების შედეგი უნდა იყოს უშუალოდ გადამწყვეტი განსახილველი უფლებისათვის, უფრო უმნიშვნელო კავშირი ან ზოგადი შედეგები არ არის

⁵⁸ სუს განჩინება, 27 აპრილი, 2018, №ას-413-413-2018.

საკმარისი მე-6 მუხლის 1 ნაწილის გამოსაყენებლად *inter alia, Mennitto v. Italy [GC], no. 33804/96, § 23, ECHR 2000 X*; და *Gülmez v. Turkey, no. 16330/02, § 28, 20 maisi 2008*). იმ კანონმდებლობის ბუნება, რომელიც აწესრიგებს, თუ როგორ უნდა მოხდეს საკითხის განხილვა (სამოქალაქო, სავაჭრო, ადმინისტრაციული თუ სხვა კნონით), ისევე, როგორც ორგანო, რომელსაც აკის-რია განხილვის უფლებამოსილება (საერთო სასამართლო, ად-მინისტრაციული ორგანო თუ სხვა) ნაკლები მნიშვნელობისაა (იხ. *J.S. and A.S. v. Poland, no. 40732/98, § 46, 24 მაისი 2005*). წინას-ნარი სამართალწარმოება, მსგავსად დროებითი ღონისძიებებისა, მაგალითად, შემაკავებელი ორდერი, ჩვეულებრივ არ მი-იჩნევა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განმსაზ-ღვრელად და, შესაბამისად, არ ხვდება ხოლმე მე-6 მუხლის დაც-ვის ქვეშ (იხ. *inter alia, Wiot v. France, (dec.), no. 43722/98, 15 მარტი 2001; APIS a.s. v. Slovakia, (dec.), no. 39794/98, 13 იანვა-რი 2002; Verlagsgruppe News GMBH v Austria, (dec.), no. 62763/00, 16 იანვარი 2003; და Libert v Belgium, (dec.), no. 44734/98, 8 ივლისი 2004*). აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სასამარ-თლო მე-6 მუხლს იყენებს მხოლოდ საქმის არსებითი მხარის განხილვისას და არა ამგვარი ღონისძიებების პირველადი მოთ-ხოვნის მომენტიდან (იხ. *Jaffredou v. France (dec.), no. 39843/98, 15 დეკემბერი 1998, da Kress v. France [GC], no. 39594/98, § 90, ECHR, 2001-VI*). მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთ საქმეში, სასამართლოს გამოუყენებია მე-6 მუხლი წინასწარი სამართალ-წარმოების დროსაც, კერძოდ კი, მათი გადამწყვეტი მნიშვნე-ლობის გამო მომჩინენის სამოქალაქო უფლებების განსაზღვრა-ზე (იხ. *Aerts v. Belgium, 30 ivlisi 1998, Reports 1998-V, და Boca v. Belgium, no. 50615/99, ECHR 2002-IX*), მეტიც, ევროსასამარ-თლომ დაადგინა, რომ პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც მე-6 მუხლი არ გამოიყენება წინასწარი სამართალწარმოებისას, დრო-ებითი განჩინება გამონაკლისის სახით საჭიროებს განსხვავე-ბულ მიდგომას, რადგანაც მოთხოვნილი ზომა არის რადიკალუ-რი, სათანადო ხარისხის არმქონე და აპელაციისას, მისი გაუქ-მების გარეშე, იგი გავლენას იქონიებს მხარეებზე მნიშვნელო-ვანი დროის განმავლობაში (იხ. *Markass Car Hire Ltd v. Cyprus, (dec.), no. 51591/99, 23 ოქტომბერი 2001*).⁵⁹

⁵⁹ სუს განჩინება, 9 ნოემბერი, 2018, №ას-1368-2018.

- საკასაციო პალატის განმარტებით, სსსკ-ის 191-ე მუხლი ადგენს რა სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნებს, იგი წარმოადგენს ამ მიზნის მიღწევის დროებით და ეფეტურ საშუალებას, რომელიც რეალიზებული უფლების აღსრულების ხელშეწყობას ემსახურება და უნდა არსებობდეს მანამ, ვიდრე ვლინდება მართლმსაჯულების ინტერესის დაცვის კრიტიკული აუცილებლობა, თუმცა, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოთხოვნის წარმატებულობის ვარაუდს, ბუნებრივია, არსებობს მისი გაუქმებისა თუ შეცვლის დიდი შესაძლებლობაც. ასეთ პირობებში კი, მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული წონასწორობის დაცვის საჭიროება თავად განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს, კერძოდ, სასამართლო, რომელიც დაადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას, ვალდებულია, შეაფასოს ასევე უზრუნველყოფის გამოყენებული საშუალების მასშტაბები და დაიცვას თანაზომიერება მხარეთა ინტერესებს შორის.⁶⁰
- თანხის დაკისრების თაობაზე წარმოებულ დავაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი სარჩელი მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებითი სარჩელია. ეს ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე, არამედ მოპასუხის ნებაზე – განახორციელოს გარკვეული მოქმედება, გადაიხადოს დაკისრებული თანხა. თანხის გადახდის თაობაზე ნების არასებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგი დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა – ისულებითი აღსრულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან შეუზღუდავია მესაკუთრის ნება, განახორციელოს საკუთარი ქონების მიმართ სამართლებრივი შედეგის მქონე მოქმედებები, მაგალითად: გაყიდვა, გაჩუქრება და სხვა, მოცემულ შემთხვევაში, არ არის უსაფუძვლო, რომ საარბიტრაჟო მოპასუხემ, სხვადასხვა მოტივით, მითითებული მოქმედებები შეასრულოს და უძრავი ქონება აღმოჩნდეს

⁶⁰ სუს განჩინება, 16 დეკემბერი, 2019, №ას-1609-2019.

მესამე პირთა, შესაძლო კეთილსინდისიერ პირთა მფლობელობა-ში. ასეთ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს ქონება, რომელზედაც, შე-საძლოა, მიქცეულ იქნეს იძულებითი აღსრულება, გადაწყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადაწყვეტილებად, ხოლო სარჩელის მიზანი მიღწეული ვერ იქნება, ამიტომ გადაწყვეტილების აღსრუ-ლების შეუძლებლობის თაობაზე განცხადება შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.⁶¹

- უზრუნველყოფის ღონისძიების სახის განსაზღვრის თაობა-ზე სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა, მიუხე-დავად მხარის მოთხოვნისა, საბოლოოდ, სასამართლოს პრე-როგატივა, რომელიც მან უნდა შეარჩიოს გონივრულობის პრინციპით. ამ შემთხვევაში, შეფასების საგანს წარმოად-გენს, როგორც სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შესაბამისი გარანტიის შექმნა, ისე მო-ნინააღმდეგე მხარის ინტერესების შეძლებისდაგვარად მი-ნიმალურად შეზღუდვა.⁶²
- სასამართლოს დასკვნით, სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნა-წილისა (საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტის სასა-მართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად) და ამავე ნორ-მის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (სარჩელის უზრუნველყო-ფის ღონისძიების შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა) მიხედვით, სარჩელის უზ-რუნველყოფის ღონისძიების არჩევა დამოკიდებულია არა მხო-ლოდ მხარეზე, რომლის როლი აღნიშნულ პროცესში შემოიფარ-გლება დისპოზიციურობის დაცვით სასამართლოსათვის იმ სა-ხის ღონისძიების გამოყენებაზე მითითებით, რომლითაც თა-ვად სურს სარჩელის უზრუნველყოფა, არამედ საბოლოოდ გა-დამწყვეტია სასამართლოს შეფასება, მისი არჩევანი, თუ რო-მელი ღონისძიებითა შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღ-წევა – სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულე-ბის გარანტირება. სასამართლოს ამგვარი უპირატესობა განპი-

⁶¹ სუს განჩინება, 6 ივნისი, 2019, №ას-54-2019.

⁶² სუს განჩინება, 30 მარტი, 2018, №ას-157-157-2018.

რობებულია იმით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებით არ და-ირღვეს სამართლიანი ბალანსი მხარეთა ინტერესების დაცვას, ასევე, დასაცავ სიკეთესა და უზრუნველყოფის შედეგად მხა-რის უფლების შეზღუდვას შორის.⁶³

- პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული განჩინების დასკვნა, რომ მოძრავი ნივთის გასხვისების/უფლებრივი დატვირთვის მესა-კუთორისათვის აკრძალვა (სსკ-ის 198.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) წარმოადგენს, როგორც მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუ-ალებას, ისე მოპასუხის ინტერესების საკმარისად დამცავ სა-შუალებას, რადგანაც ამ შემთხვევაში მესაკუთრეს სსკ-ის 170-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებათაგან მხოლოდ საკუთრების განკარგვის მესაძლებლობა ეკრძალება, როდესაც მეტ-ნაკლე-ბად შენარჩუნებულია საკუთრების სუბსტანცია და მესაკუთ-რის, როგორც უფლებრივი, ისე – ფიზიკური კავშირი საკუთრე-ბის ობიექტთან.⁶⁴
- საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველ-ყოფის ღონისძიების სახის არჩევისას მნიშვნელოვანია დავის საგნის თავისებურებათა განსაზღვრა. ფულადი ვალდებულე-ბის შესრულების შესახებ სარჩელებზე მეტად ეფექტურია უზ-რუნველყოფის სახით ქონებაზე ყადაღის დადების ან მისი გას-ხვისების სხვაგვარი აკრძალვის გამოყენება, რათა თავიდან იქ-ნეს აცილებული მატერიალური სიკეთის განკარგვა და ამ გზით ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება. თუმცა, რო-დესაც საუბარია უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა (ნეგატორულ) და უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შე-სახებ (სავინდიკაციო) სარჩელებზე (სსკ-ის 170-ე, 172-ე მუხ-ლები) ზემოთ მითითებული ღონისძიება არაეფექტურია და ინ-ვეს მოპასუხისათვის საქართველოს კანონმდებლობით გარან-ტირებული უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას, რაც და-უშვებელია.⁶⁵
- სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საჩივრის შეტა-

⁶³ სუს განჩინება, 21 ოქტომბერი, 2016, №ას-958-923-2016.

⁶⁴ სუს განჩინება, 9 ნოემბერი, 2018, №ას-1368-2018.

⁶⁵ სუს განჩინება, 21 ოქტომბერი, 2016, №ას-958-923-2016.

ნა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღ-
სრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია, გარკვეული
დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყო-
ფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები. მითითებული ნორმა
არ შეიცავს საკითხის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების
გასაჩივრების წესს, რაც, ერთი შეხედვით, შეიძლება განჩინე-
ბის გასაჩივრების დაუშვებლობაზე მიუთითებდეს, თუმცა უნ-
და აღინიშნოს, რომ თავად სარჩელის უზრუნველყოფის ღონის-
ძიების თაობაზე მიღებული განჩინება, ამავე კოდექსის 195-ე
მუხლის თანახმად, აღსრულდება დაუყოვნებლივ, სასამართლო
გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით. ამ
ნორმათა ერთობლივი ანალიზის შედეგად საკასაციო პალატამ
დაასკვნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებული
ღონისძიების აღსრულების შეჩერების საკითხის გადაწყვე-
ტის პროცესუალურ წესს, სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-4 ნაწილ-
თან ერთად, ამავე კოდექსის 267¹ მუხლი წარმოადგენს, რომ-
ლის პირველი ნაწილი პროცედურულია, ხოლო მე-2 ნაწილი გან-
საზღვრავს, რომ გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორ-
მით. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული
საკითხების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება
კერძო საჩივრის შეტანა.⁶⁶

- საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, მართალია, მოსარჩელის
მიერ წარდგენილი განცხადება ფორმალურსამართლებრი-
ვი თვალსაზრისით შეეხება მოპასუხის ქონებრივი მდგრადო-
ბის შენარჩუნებას (მოპასუხისათვის გარკვეული ქმედების
აკრძალვას), თუმცა საკითხის მხოლოდ ფორმალურად შეფა-
სება არ ემსახურება უზრუნველყოფის მიზანს, გამოყენებუ-
ლი ზომა იჭრება არა მოპასუხის, როგორც ფიზიკური პირის
ქონებრივ სფეროში, არამედ მისი, როგორც მენარმეს სუბიექ-
ტის (საწარმოს 100%-იანი დამფუძნებლის) სამენარმეო უფ-
ლებამოსილებაში, რაც რეალურად ადგენს არაპროპორცი-
ულ ჩარევას იურიდიული პირის მმართველობაში და ფაქტობ-
რივად კრძალავს საწარმოს საქმიანობას. შედეგად კი, სამარ-
თლის დამოუკიდებელი სუბიექტი პარალიზდება, რომლის მიმარ-
თაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს

⁶⁶ სუს განჩინება, 4 მაისი, 2018, №ას-753-704-2017.

ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.⁶⁷

- ანალიზმა აჩვენა, რომ მოპასუხე ხშირად შუამდგომლობს სსსკ-ის 199-ე მუხლის საფუძველზე საპასუხო უზრუნველყოფის გა-მოყენების თაობაზე, მაგრამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემ-თხვევები არცთუ ხშირია, უზრუნველყოფის ღონისძიების გამო-ყენებით მიყენებული ზიანის დადასტურების სირთულის გამო.
- სასამართლოს ინიციატივით, სსსკ-ის 199-ე მუხლის გამოყენე-ბასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა ეხება სარჩელის უზრუნველყოფით გა-მოწვეული ზარალის ანაზღაურებას. მისი პირველი ნაწილის ძა-ლით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველ-ყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება, მიად-გეს ზარალი, მას ძალუდს, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველ-ყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რო-მელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზ-ღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასა-მართლომ შეიძლებაგამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის გან-ცხადების საფუძველზეც.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კანონის მითითე-ბული დანაწესი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღო-ნისძიების გამოყენებისაგან მოპასუხის თავდასაცავ მექანიზმს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ სახის ღონისძიების გამოყენების შედეგი მოპასუხისათ-ვის ზიანის მომტანია. ასეთ დროს დასაშვებია, მოსარჩელეს მოეთ-ხოვოს ობიექტურად სავარაუდო ზარალის ანაზღაურების უზრუნ-ველყოფა. სასამართლო საკუთარი ინიციატივით აამოქმედებს აღნიშნულ მექანიზმს მხოლოდ მაშინ, თუ მოპასუხისათვის ზი-ანის მიყენების საფრთხე აშკარაა, ნინააღმდეგ შემთხვევაში – მითითებული გარემოების სარწმუნოდ დადასტურების ტვირ-თი მოპასუხეს ეკისრება (სსსკ-ის 102-ე მუხლი).⁶⁸

- საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე საინტერესოდ მსჯე-

⁶⁷ სუს განჩინება, 2 თებერვალი, 2016, №ას-1215-1140-2015.

⁶⁸ სუს განჩინება, 21 ოქტომბერი, 2016, №ას-958-923-2016.

ლობს სსსკ-ის 199-ე მუხლთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მენარმე სუბიექტის საბანკო ანგარიშების დაყადალებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს სასამართლო, რადგან იმთავითვე პრეზუმირებულია, რომ ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირი, სამენარმეო თავისუფლების ფარგლებში, მისი საბანკო ანგარიშების დაყადალებისას, იზღუდება ისეთი ქმედებებით, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მისი ფუნქციონირებისათვის (მაგალითისათვის, საკუთართანამშრომლებთან, სხვა კონტრაპენტებთან არსებული ვალდებულებები და ა.შ.). საბანკო ანგარიშების დაყადალებით, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება ფულადი სახსრების განკარგვა, რაც მენარმეობის ხელის შემშლელი გარემოებაა.

- საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რა სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციაზე აღნიშნა, „თუ სასამართლო **მიიჩნევს**, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, **მას შეუძლია**, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. აღნიშნული ნორმის დებულება წარმოადგენს მოპასუხის ინტერესების დაცვას და მიმართულია იმისკენ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის უმართებულობის შემთხვევაში, სათანადო იყოს უზრუნველყოფილი მოპასუხის უფლებები, რათა მას დაუსაბუთებლად არ მიადგეს ზიანი. აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება არა ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ მაშინ, როდესაც სასამართლოს ექმნება ვარაუდი შესაძლო ზიანის დადგომაზე. ზიანის დადგომის ალბათობა შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც უშუალოდ საქმის მასალებიდან, ისე მოპასუხის მითითებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოპასუხე, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება“.⁶⁹

⁶⁹ სუს განჩინება, 13 ივნისი, 2011, №ას-832-884-2011., მითითებულია: სუს განჩინებაში, 2 ნოემბერი, 2016, №ას-956-921-2016.

- სსსკ-ის 199-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დადგენილია სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება, რომელმაც უნდა შეაფასოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართებულობის საკითხი, ცხადია, ამ საპროცესოსამართლებრივი ეტაპის მიხედვით, არა საქმის არსებითი განხილვის, არამედ მოსარჩელის მოთხოვნის წარმატების შემთხვევაში, მისი აღსრულების შესაძლებლობის დაცვის ფარგლებში. სსსკ-ის 199-ე მუხლი თითქოს და იმპერატიულად არ ადგენს სასამართლოს ამგვარ ვალდებულებას, მაგრამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს სასამართლოს მეტად სპეციფიკური დისკრეციული უფლებამოსილება, კერძოდ, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება, მიადგეს ზარალი, მას ძალუძს გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული დეფინიცია მოიცავს იმპერატიულ ელემენტსაც, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, იმავდროულად უზრუნველყოფა მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. კანონმდებლის აღნიშნული ნება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველ ნაწილში ფორმულირებულია ზედმიწვნითი სიზუსტით და სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება ესება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის გადაწყვეტას, ხოლო, თუ ასეთი ღონისძიების გამოყენებას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, კანონმდებელი „და“ კავშირებითი სიტყვით ვალდებულებას ადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ „იმავდროულად“ უნდა მოსთხოვოს მოსარჩელეს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა, როგორც მოწინააღმდეგე მხარის ინტერესის დამაბალანსებელი საპროცესოსამართლებრივი საშუალება. აღნიშნული დანაწესი ერთგვარ სამართლებრივ წონასწორობას ადგენს, ერთი მხრივ, მოპასუხის შეზღუდულ უფლებას შორის.⁷⁰

⁷⁰ სუს განჩინება, 2 ნოემბერი, 2016, №ას-956-921-2016.

- საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დასახელებული ნორ-მით დადგენილი დასკრეციული უფლებამოსილება სასამარ-თლოს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, სარჩელის უზ-რუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის შეფასების შემდეგ, თუკა, მიიჩნევს, რომ დასაბუთებულია ასე-თი ღონისძიების გამოყენება, იმავდროულად, სასამართლო კონ-ტროლის ფარგლებში, მოპასუხის ინტერესების დაცვის მიზნით, იმსჯელოს შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა-ზეც. საქართველოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილე-ბის აღსრულების მიზნით, სასამართლომ, დავისა და მისი მონაწილე სუბიექტების სპეციფიკურობის გათვალისწინე-ბით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეძლოს მის ხელთ არსებული ყველა საპროცესოსამართლებრივი საშუ-ალების გამოყენება.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საკასაციო სასამართლოს მითითე-ბით, როდესაც სამენარმეო სუბიექტის საბანკო ანგარიშებისათ-ვის ყადაღის დადება, მაღალი ალბათობით ქმნის პრეზუმუციას, რომ მისი საქმიანობა პარალიზდება, სასამართლო კონტროლის ფარგლებში, უზრუნველყოფის ღონისძიების თანმდევი, მხარე-თავის თანაბარი რისკების გათვალისწინებით, სასამართლო-ებმა, რომლებიც გადაწყვეტინ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხს, უნდა იმსჯელონ მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების დამაპა-ლანსებელი ბერკეტის გამოყენების თაობაზე.⁷¹

- ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნიმა მოპასუხებაც უნდა დაასაბუ-თოს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლო-ბა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთე-ბული ვარაუდი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არა-მედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ. მოხმობილი ნორმით

⁷¹ სუს განჩინება, 2 ნოემბერი, 2016, №ას-956-921-2016.

გათვალისწინებული საპასუხო უზრუნველყოფა არის მოპასუხის ინტერესების სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს გაუმართლებელი ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელის უზრუნველყოფის გარანტირება მოახდინოს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე – მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში, მისი გამოყენება დამოკიდებულია მოსალოდნელ, შესაძლო ზიანის წარმოშობის საფრთხესთან. ასეთი საფრთხის ვარაუდს უნდა ქმნიდეს ისე-თი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რამაც შესაძლოა, მხარეს ზიანი მიაყენოს.

მხარემ, რომელიც ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, უნდა მიუთითოს იმ მოსალოდნელ ზიანზე, რაც შეიძლება რეალურად მოჰყევს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას და, შესაბამისად, სარწმუნოდ დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ვალდებულება, რომელიც ადასტურებს მოსარჩელისაგან შესაბამისი გარანტიის წარდგენის აუცილებლობის ვარაუდს, ეკისრება განმცხადებელს, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.⁷²

- საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სააპელაციო სასამართლო-სათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მიზნად ისახავს, გარანტირებულ იქნეს მხარეთა თანასწორობისა და მტკიცებულებათა შეფასების სსსკ-ით დადგენილი სტანდარტები. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, თავისითავად ცხადია, მოვალის უფლებები იზღუდება, თუმცა, ეს კანონით გათვალისწინებული საშუალებაა, დაცული იქნეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღუსრულებლობის საფრთხისგან. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას სასამართლო ვარაუდის საფუძველზე იღებს (სსსკ-ის 191.1-ე მუხლი), ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილება უფრო მაღალ

⁷² სუს განჩინება, 13 ივნისი, 2011, №ას-832-884-2011, მითითებულია სუს განჩინებაში, 11 იანვარი, 2018, №ას-1470-1390-2017.

სტანდარტს ეფუძნება, ვიდრე ვარაუდია (სსსკ-ის 199.1-ე მუხლი).⁷³

- მოქმედი რედაქციის სსსკ-ის 199-ე მუხლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საკითხზე მიღებული განჩინების გასაჩივრებას არ ითვალისწინებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება მიიჩნევა კანონიერ ძალაში შესულად. ასეთ ვითარებაში კი, თუ მხარე იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით განმეორებით მიმართავს სასამართლოს, საკითხი უნდა დარეგულირდეს არა სსსკ-ის 275-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით (სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით), არამედ 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმისწარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავათზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით).⁷⁴
- საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უზენაეს სასამართლოს საჩივრის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება აქვს მხოლოდ სააპელაციო პალატის მიერ თავისი მოტივირებული განჩინებით საჩივრის საფუძვლების გაუზიარებლობის შემთხვევაში. იმ პირობებში, როდესაც მოცემული საჩივარი სააპელაციო სასამართლოს არ განუხილავს, საკასაციო სასამართლო მოკლებულია მასზე მსჯელობის შესაძლებლობას და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო პალატას, რათა არ დაირღვეს მოპასუხის საპროცესო უფლება საჩივრის ორი ინსტანციით განხილვასთან დაკავშირებით.⁷⁵

⁷³ სუს განჩინება, 11 იანვარი, 2018, №ას-1470-1390-2017.

⁷⁴ სუს განჩინება 6 მარტი, 2017, №ას-28-25-2017.

⁷⁵ სუს განჩინება 14 მარტი, 2017. №ას-228-217-2017.

- სსსკ-ის 197¹.3 და 419.3 მუხლებიდან გამომდინარე, ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრის ფარგლებში მიღებული განჩინება, მიუხედავად სამართლებრივი შედეგისა, საბოლოოა და არცერთი მხარის მიერ მისი გასაჩივრების შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. აღნიშნული განჩინება წარმოადგენს სსსკ-ის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ, ზემდგომი სასამართლოს განჩინებას, რომლის კანონიერების შემონმების საკითხის განხილვაში, შეუძლებელია, რამე ფორმით შევიდეს მესამე ინსტანცია – საკასაციო სასამართლო.⁷⁶
- სხვა საქმეში ზემოთ მითითებულის იდენტურ საკითხზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა – სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეთა შუამდგომლობა განიხილა სსსკ-ის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით და დააკმაყოფილა მოთხოვნა. მოსარჩევლის მიერ კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოსარჩევლის სასარგებლოდ საქალაქი სასამართლოს განჩინების საფუძველზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით. სსსკ-ის 419-ე მუხლით დადგენილი წესის გამოყენება კი, მოცემულ შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის, განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება და, ამდენად, სააპელაციო სამართალნარმობების ეტაპზე ამავე სასამართლოს განჩინებით დასრულდა სარჩევლის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ მოსარჩევლის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვა, რადგან სააპელაციო სასამართლომ, როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა და განიხილა მოპასუხეთა შუამდგომლობა და ამასთან დაკავშირებით წარდგენილი მოსარჩევლის საჩივარი. აქედან გამომდინარე, მოპასუხის საჩივარი ზემდგომი სასამართლოს განჩინებაზე განუხილველად უნდა დარჩენილიყო, რადგან სსსკ-ის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილით (რომელიც, თავის მხრივ, სსსკ-ის 419 – 420-ე მუხლებით დადგენილ წესზე მიუთითებს),

⁷⁶ სუს განჩინება, 19 აპრილი, 2017, №ას-471-439-2017.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი აღარ დაიშვებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სსსკ-ის 1971 მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც ქვემდგომიდან ზემდგომ სასამართლოში საქმის გადაგზავნას გულისხმობს და სამართალწარმოების ორ ეტაპს მოიცავს, პირველი ინსტანციის სასამართლოდან მოყოლებული მხარისათვის საკასაციო სასამართლოს ჩათვლით სამართალწარმოების უფლების მინიჭებით სამეტაპიან განხილვას წარმოადგენს. განსახილველ შემთხვევაში, პროცესუალური საკითხის მართებულად განსამარტად მნიშვნელოვანია, რომ პირველი ინსტანციის, როგორც ქვემდგომი სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული განჩინება და მასთან დაკავშირებული საჩივრებისა თუ შუამდგომლობების წარდგენა მხარეთა მიერ და სასამართლოს მიერ განხილვა უნდა დასრულდეს ზემდგომ სასამართლოში. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხებმა საქმის სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მოითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ) მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა, აღნიშნული მაინც ზემდგომი ინსტანციის სამართალწარმოებას განეკუთვნება და აქ უნდა დასრულებულიყო სსსკ-ის 1971 მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი ორეფაპიანი სამართალწარმოება.⁷⁷

- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, კერძოდ, მოპასუხის თავითზე ყადაღის გამოყენების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნადაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის სხვა ქონებაზე ყადაღის გამოყენების შესახებ აპელანტის (მოსარჩელი) შუამდგომლობაც, იმ საფუძვლით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უკვე გამოყენებული ყადაღა ვერ უზრუნველყოფდა პირველი ინსტანციის სასამართლოში ნაწილობრივ მიღწეული წარმატებული შედეგის სახით დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნისა და სააპელაციო საჩივრის მიხედვით სადაცოდ გამხდარი დაუკმაყოფილებელი სარჩელის დარჩენილი ნაწილის სა-

⁷⁷ სუს განჩინება, 4 მაისი, 2017, №ას-402-375-2017.

აპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხისათვის დაკისრებული თანხების ამოღებას (აღ-სრულებას).⁷⁸

- სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისათვის დადგენილი 5- დღიანი საპროცესო ვადის დარღვევით, მოსარჩევემ თვითონვე გამოაცალა სამართლებრივი საფუძველი უზენაეს სასამართლოში გადაგზავნილი საჩივრის განხილვას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ განიხილავს საჩივრას, რომელიც ჯერ კიდევ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე ვადის დარღვევით იქნა წარდგენილი, რის გამოც იგი დაუშვებლად მიიჩნია. საკასაციო სასამართლოს მითითებით, რომ არა დაუშვებლობა, საჩივრარი წარუმატებელია, ვინაიდან, მოსარჩელის მოთხოვნა – ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, რომლითაც მოპასუხებ დაირეგისტრირა საკუთრების უფლება სადაც ქონებაზე, თავისი არსით, უარყოფითი ხსასიათის აღიარებითი ანუ დადგენითი მოთხოვნაა, რომლისთვისაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია.⁷⁹
- საკასაციო პალატამ ნაწილობრივ საფუძვლიანად მიიჩნია მოპასუხის საჩივრარი, კერძოდ: პალატამ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უძრავი ქონება, რომლის მიმართაც გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, არ წარმოადგენს მეორე მოპასუხის საკუთრებას. საქმის მასალების მიხედვით, უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული უძრავი ქონების მესაკუთრე არ არის მოცემულ საქმეში მეორე მოპასუხედ დასახელებული პირი, ვინაიდან მათი პირადი ნომრები ერთმანეთს არ ემთხვევა.

პალატა დაეთანხმა საჩივრის ავტორის (მოპასუხის) მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეორე უძრავი ქონება, რომლის მიმართაც გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ასევე, არ არის მეორე მოპასუხის საკუთრება, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, რომლითაც იხელმძღვანელა სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებული უძრავი ქონების მესაკუთრეს ნამ-

⁷⁸ სუს განჩინება, 26 ივლისი, 2017, №ას-650-616-2015.

⁷⁹ სუს განჩინება, 22 აპრილი, 2016, №ას-299-284-2016.

დვილად წარმოადგენდა მეორე მოპასუხე, მაგრამ გასაჩივრებული განჩინების მიღების დროს ეს უკანასკნელი უკვე აღარ იყო მითითებული ქონების მესაკუთრე. სადაც უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებულია სხვა ფიზიკური პირი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის საფუძვლიანობა საქმის არსებითი განხილვის დროს უნდა შემოწმდეს, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვის ეტაპზე საკმარისია, არსებობდეს ვარაუდი, რომ სარჩელი შეიძლება – დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი, გასაჩივრებული განჩინება გააუქმადა საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს, იმ საფუძვლით, რომ გამოკვეთილი არაა სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების ვარაუდი.⁸⁰

- კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეჩერების მოთხოვნით მოსარჩელის განცხადება საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რაც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ. მოსარჩელის მეორე განცხადება სასამართლომ განუხილველად დატოვა სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე: „სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივარით“.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა გამყიდველის შუამდგომლობა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ და დავის საბოლოო გადაწყვეტამდე შეჩერდა საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება სადაც უძრავ ქონებაზე. საკასაციო სასამართლომ უარყო რა მოპასუხის საჩივარი, აღნიშნა, რომ გამყიდველის შუამდგომლობა, სსსკ-ის 271-ე მუხლით დადგენილ, გადაწყვეტილების აღსრუ-

⁸⁰ სუს განჩინება, 31 მარტი, 2017, №ას-1109-1066-2016.

ლების უზრუნველყოფის მოთხოვნას უკავშირდება და არა მი-
სისარჩელის უზრუნველყოფას (ე.ი. შეუძლია სხვა საფუძ-
ველს ემყარება), რომელიც საქმისწარმოების გარკვეულ ეტაპზე
სასამართლომ უარყო.⁸¹

- ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საკა-
საციონპალატას და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღო-
ნისძიების გამოყენება – საქართველოს უზენაესი სასამარ-
თლოს გადაწყვეტილებით მოპასუხის სასარგებლოდ დაკის-
რებული თანხის მოთხოვნის უფლებაზე ყადაღის დადება,
კერძოდ კი, მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე არსებული ყა-
დაღადადებული თანხიდან გარკვეული თანხის მოთხოვნის
უფლების დაყადაღება.

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით მო-
პასუხის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა წარმოადგენს მის ერ-
თადერთ აქტივს (მოპასუხის სახელზე არ ირკვება არანაირი ქო-
ნება), საკასაციო პალატამ სსსკ-ის 198.3 (სასამართლოს შეუძლია,
გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის
უზრუნველყოფისათვის) მუხლის საფუძველზე, მიზანშეწონილად
მიიჩნია, ისეთი ღონისძიების გამოყენება, რაც აუცილებელია გან-
სახილველი სარჩელის უზრუნველყოფისათვის, კერძოდ, აღმასრუ-
ლებელს დაევალა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწ-
ყვეტილების აღსრულებისას განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე
არსებული, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით ყა-
დაღადადებული, 120 000 ლარიდან 115 056.9 ლარის მოპასუხისათ-
ვის გადაცემისას, ყადაღა დაადოს 9 495 აშშ დოლარის ეკვივალენტ
ლარს და შეტანოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზი-
ტო ანგარიშზე. აღმასრულებლისათვის ასეთი ვალდებულების და-
კისრების სამართლებრივ საფუძველს სსსკ-ის 198.3 მუხლთან ერ-
თად ქმნის, ასევე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქარ-
თველოს კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი (აღმასრულებელს
ყადაღადადებული ფული დაუყოვნებლივ შეაქვს აღსრულების
ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე).⁸²

- განსახილველ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყო-

⁸¹ სუს განჩინება, 12 თებერვალი, 2016, №ას-1238-1161-2015.

⁸² სუს განჩინება, 31 ოქტომბერი, 2019, №ას-1601-2019.

ფილა საჩივარი უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორე სახით შეცვლის თაობაზე შემდეგი მოტივაციით, იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა უკვე წარდგენილია განმცხადებლების მიერ და იგი სააპელაციო სასამართლომ მიიღო წარმოებაში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული განცხადება მიჩნეული ქნება საფუძვლიანად, გაუქმდება სააპელაციო სასამართლოს განჩინებები მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების შესახებ. შედეგად, განახლდება საქმისწარმოება მხარეთა შორის სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული თანხების მოცულობაზე, რომელიც ბევრად აღმატება როგორც მორიგების პირობებით გათვალისწინებული თანხის ჯამურ მოცულობას, ისე – იმ თანხას, რომელზეც მხარემ საბანვო გარანტია წარადგინა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია იმის განსაზღვრა, საქმის განახლების შემთხვევაში, რა ქმედებებს განახორციელებს მოსარჩელე (მას შეუძლია, შეამციროს მოთხოვნა, ან ხელახლა მოურიგდეს მოპასუხეს, რა შემთხვევაშიც, შესაძლებელია მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია გახდეს უზრუნველყოფის აღკვატური და უფრო უკეთესი საშუალება). თუმცა მოცემულ ეტაპზე, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია, არ არის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის შესაბამისი.

საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საქმის განახლების შემთხვევაში, განახლებისთანავე და განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოპასუხეს უფლება აქვს, კვლავ იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების სხვა ღონისძიებით, მათ შორის, საბანკო გარანტიით შეცვლაზე, რაც სასამართლოს მისცემს საშუალებას, ახალი გარემოებების გათვალისწინებით კვლავ იმსჯელოს ამ საკითხზე.⁸³

- სასამართლომ აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, დავასწორედ ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარეობს და კანონით დასაშვები უზრუნველყოფის ღონისძიების ზომად თანხის დეპოზიტზე განთავსება მიიჩნევა (სსსკ-ის 196.3 მუხლი), თუმცა მოპასუხეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომ მან

⁸³ სუს განჩინება, 18 ივლისი, 2016, №ას-454-436-2016.

უკვე განათავსა მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად შესაბამისი თანხა სადეპოზიტო ანგარიშზე, მან მხოლოდ ასეთი შესაძლებლობა განიხილა და შესთავაზა სასამართლოს უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების – მოპასუხის საკუთრებად რიცხულ ქონებაზე ყადაღის მოხსნის სანაცვლოდ, თანხის მომავალში შეტანა სადეპოზიტო ანგარიშზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ბალანსის გონივრულად შეფასებისას, სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია გადაწყვეტილების აღსრულებადობა, რაც რეალური უნდა იყოს. მოპასუხის შეთავაზება ეხება არა არსებულ ფაქტს – სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანას, არამედ მომავალ მოქმედებას, რაც უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების აღსრულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

სსსკ-ის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე „სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა არის სასამართლოს უფლებამოსილება და არა ვალდებულება, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებით და მიზანშეწონილობით“ (სუსკ №ას-1165-1095-2015, 25.11.2015წ.). საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხებ ვერ წარადგინა სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მნიშვნელოვნად შეცვლილ გარემოებას და დაარწმუნებდა საკასაციო სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის მიზანშეწონილობაში.⁸⁴

- საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა საჩივარი და სსსკ-ის 196-ე მუხლის საფუძველზე უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორე სახედ შეცვლის გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია, იმ დასაბუთებით, რომ თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსება, რომელიც შეესაბამება სარჩელით მოთხოვნილ თანხას, სწორად გახდა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქალაქო სასამართლოს მიერ გამყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის საფუძვლი, რადგანაც მოპასუხის მიერ შეთავაზებული ზომა და

⁸⁴ სუს განჩინება, 28 ივლისი, 2016, №ას-498-478-2016.

ვის საგნის დასაცავად ადეკვატურია როგორც დასაშვებობის, ისე – საკმარისობის თვალსაზრისით და, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქმნის მიღებული გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების გარანტიას.⁸⁵

მივგაჩნია, რომ წინამდებარე ანალიზი საინტერესოა საკითხით დაინტერესებული პირებისათვის, ვინაიდან უზრუნველყოფს სასარჩელო მოთხოვნისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების საპროცესო უზრუნველყოფის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკის გაცნობას, რაც, საბოლოოდ, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს მისაწვდომს ხდის.

⁸⁵ სუს განჩინება, 29 ივლისი, 2016, №ას-650-621-2016.

შეტყოფის თარიღი

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge